

243598
3

ისტორიული
ენობრმობის

ნანა გოგოლიაშვილი

Nana Gogolaschwili

გერმანული ენის

გრამატიკა

Deutsche Grammatik



F 8900

3




ნანა გოგოლაშვილი

Nana Gogolashvili

გერმანული ენის გრამატიკა

(მოწყობილია, სინთაქსი, სიტყვათარაოება)

Deutsche Grammatik
(Morphologie, Syntax, Wortbildung)



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004, თბილისი
Verlag der Universität Tbilissi, 2004, Tbilissi



၁၃၂ (UDC) 803.0

8611

၁၆၀

„გერმანული ენის გრამატიკა“ მოიცავს გრამატიკულ ფორმებსა და წესების მინიმუმს, რომლის ცოდნაც აუცილებელია გერმანული ენის დაუფლების საწყის ეტაპზე. გერმანული ენის გრამატიკის წესების ახსნა ხდება ქართული ენის გრამატიკის წესებისა და მაგალითების მოშველიებით.

აღნიშვნული გრამატიკული ცნობარი განკუთვნილია მათვის, ვისაც
სურვილი აქვს, ხელი მოკიდოს გრამატიკის შესწავლას ან
გაიღრმავოს ცოდნა ამ სფეროში.

რედაქტორი პროფ. დ. ფანჯიკიძე

ରେପ୍ରେନ୍ଶେନ୍ଟ୍ସିଙ୍କ୍ ମୁଦ୍ରଣ ପାତ୍ରଙ୍କାରୀ: ଡାସାତିଳାନା

ଲୋପ. ଟ. କ୍ଷେତ୍ରଫଳିତ

სპეც-2000
შემოზღვევა

©თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004

ISBN 99940 -13-35-1

ପ୍ରକାଶନ ତଥା ଲାଇସେ
ପାଠ୍ୟ ବିଭାଗ ମୁଦ୍ରଣ
କରିଛି ।

706 სიტყვაობა

თუ თქვენ გადაწყვეტით შეისწავლოთ გერმანული ენის გრა-
 მატიკა ან განაახლოთ თქვენი ცოდნა ამ სფეროში, მაშინ ჩვენი მკუ-
 ლე ცნობარი აუცილებელად დაგეხმარებათ ამაში. თქვენ აქ ნახავთ
 გრამატიკული წესების ამ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია გერ-
 მანული ენის შესწავლის საწყის ეტაპზე. აღნიშნული მინიმუმი შესა-
 ძლებლობას მოგცემთ, ლორად შეადგინოთ გერმანული წინადაღე-
 ბები და ლექსიკის გამდიდრების შემთხვევაში სრულყოფილად გამო-
 ხატოთ თქვენი აზრი გერმანულ ენაზე.

გერმანული ენის ნორმატიული გრამატიკის აღნიშნული ცნო-
 ბარის დახმარებით აღვილად გადალახავთ თავდაპირველ სიძნელე-
 ბს, რადგან გრამატიკული წესები წარმოდგენილია მარტივად, მა-
 გალითები შეძლებისდაგვარად თარგმნილია ქართულად და თვალსა-
 ჩინოს ხდის მსგავსებებსა თუ განსხვავებებს გერმანულ და ქართულ
 გრამატიკას შორის.

ცნობარის მცირე ფორმატი შესაძლებლობას მოგცემთ, გამო-
 იყნოთ იგი ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადგილისა და დროისაგან
 დამოუკიდებლად.

ცნობარი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან:

1. მორფოლოგია, რომელშიც უმთავრესი როლი ენიშება ზმნას, ხოლო შემდეგ განხილულია მეტყველების დანარჩენი ნაწილები, მათი ფუნქციები და გამოყენების სფერო.
2. სინტაქსი, რომელშიც წარმოდგენილია ძირითადი ცნობები გერმანული ენის მარტივი და რთული წინადაღებების აგებისა და მათი ხმარების შესახებ ამათუ იმ კონტექსტში.
3. სიტყვათწარმოება, რომელშიც ასახულია მეტყველების ძირითადი ნაწილების წარმოების წესები.

ცნობარის ბოლოს თქვენ ნახავთ ხშირად ხმარებული ძლიერი ზმნების ძირითადი ფორმების სიას.

აღნიშნული გრამატიკული ცნობარი გამიზნულია გერმანული ენის შემსწავლელი ნებისმიერი პიროვნების, აბიტურიენტის, სტუ-

დენტისა და ყველა მათოვის, ვინც მოსურვებს უკვე მიღებული
ცოდნის გაღრმავებასა და გადახალისებას.

გისურვებთ წარმატებებს!

გერმანული ენის გრამატიკა

ნებისმიერი ენის გრამატიკის მსგავსად, გერმანული ენის გრა-
მატიკაც ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება. ესენია: მორფოლო-
გია და სინტაქსი.

მორფოლოგია შეისწავლის მეტყველების ნაწილებს, რომლე-
ბიც განლაგდება ვერტიკალურ ხაზზე. ამ ხაზზე წარმოდგენილია
ყველა ის შესაძლებელი ფორმა და მნიშვნელობა, რომელიც შეიძ-
ლება გააჩნდეს თითოეულ მეტყველების ნაწილს. მეტყველების
ნაწილთა ფორმებისა და მნიშვნელობების ამგვარ სისტემაში თავ-
მოყრას მორფოლოგიური პარადიგმები ეწოდება.

არსებობს მეტყველების ნაწილები, რომელთაც ცვლადი პარა-
დიგმები გააჩნიათ; არაცვლადი მეტყველების ნაწილების პარა-
დიგმები ენის სისტემაში უმცირესობას შეადგენს.

გერმანული ენის მორფოლოგიაში განასხვავებენ მეტყველების
ნაწილებს, ესენია:

1. ზმნა – das Verb
2. არსებითი სახელი – das Substantiv
3. ნაცვალსახელი – das Pronomen
4. ზედსართავი სახელი – das Adjektiv
5. ზმნიზედა – das Adverb
6. რიცხვითი სახელი – das Numerale
7. წინდებული – die Präposition
8. კავშირი – die Konjunktion
9. ნაწილაკი – die Partikel
10. შორისდებული – die Interjektion

აღნიშნული მეტყველების ნაწილებიდან ენაში უმთავრეს
როლს ასრულებს ის მეტყველების ნაწილები, რომელთაც ცვლადი



პარადიგმები გააჩნიათ. ასეთებია: ზმნა, არსებითი სახელი, ნოცვალური სახელი, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა, რიცხვითი სახელი.

დანარჩენ მეტყველების ნაწილებს უცვლელი პარადიგმა გააჩნიათ და მათ „ფუნქციურ სიტყვებს“ (Funktionswörter) უწოდებენ. ისინი ცვლადი მეტყველების ნაწილებისაგან იმით განსხვავდებიან, რომ მათი ელემენტები უმთავრესად გრამატიკულ ფუნქციებს ასრულებენ; მათი რიცხვი ენაში შედარებით მცირეა, მაგრამ სმარების სიხშირე ძალზე ინტენსიურია და, აზრის ჩამოყალიბების თვალსაზრისით, მათი როლი უაღრესად მნიშვნელოვანია. ასეთებია: წინდებული, კავშირი, ნაწილაკები, მოდალური სიტყვები, შორისდებული.

მორთოლოგის დონეზე გრამატიკის შესწავლა აუცილებლად გულისხმობს ამ პროცესს შემდგომ დონეს – სინტაქსს; მაგრამ ეს არ ნიშნავს, თითქოს გრამატიკის ეს ორი დონე ერთმანეთისაგან იზოლირებულად უნდა შეისწავლებოდეს. პირიქით, ხშირად გვიხდება მეტყველების ნაწილების დაკავშირება სინტაქსურ ფუნქციებთან, ანუ იმ როლთან, რომელსაც თამაშობს ესა თუ ის მეტყველების ნაწილი წინადაღებაში. ამრიგად, სინტაქსი შეისწავლის მეტყველების ნაწილს, რომელიც გადაიქცევა წინადაღების წევრად და შესაძლებელს ხდის, წინადაღება ავაგოთ უკვე პორიზონტალურ საზზე, მეტყველების იმ ნაწილებისაგან განსხვავებით, რომელიც შეისწავლება ვერტიკალურ საზზე და სიტყვათა ცალკეულ ფორმასა თუ შინაარსს გამოხატავენ. წინადაღების წევრების საშუალებით, უკვე უნდა შევეცადოთ აზრის გაღმოცემას წინადაღების, აბზაცის ან ტექსტის დონეზე.

ამ ელემენტარული წესების ცოდნა აუცილებელია ყოველი ქართველისათვის, ვინც გადაწყვეტს გერმანული ენის შესწავლას. ცნობილია, რომ ამ შემთხვევაში არ იგულისხმება ბავშვობის ასაკი, როდესაც ტვინში ხდება უცხო ენის მოდელების მექანიკური ფიქსაცია. გერმანელ ავტორთა გრამატიკის სახელმძღვანელოები არ ითვალისწინებენ ენის შესწავლელთა ასაკსა და მშობლიური ენის თავისებურებებს, რის გამოც ბევრი გრამატიკული მოვლენა გაურკვეველი და გაუგებარი რჩება.

მიგვაჩნია, რომ გრამატიკის შესწავლა დამწყებოთათვის უნდა ხდებოდეს მშობლიურ ენაზე; ეს ხელს შეუწყობს ენის შესწავლის სწორ ორიენტაციას გერმანული ენის ლექსიკის რთულ ლაბი-რინთებში.

მიზანშეწონილია, ზემოთქმულის განმტკიცება სქემით, რაც დაქმარება გერმანული ენის შემსწავლელებს, უფრო თვალნა-თლივ დაინახონ განსხვავება მორფოლოგიასა და სინტაქსის შორის და გაეცნონ ელემენტარულ გრამატიკულ ტერმინოლოგიას გერ-მანულ ენაზე.

გრამატიკა die Grammatik

მორფოლოგია die Morphologie	სინტაქსი die Syntax
მეტყველების ნაწილები die Redeteile	წინადაღების წევრები, წინადაღება die Satzglieder, der Satz
1. ზმნა – das Verb	1. შემასმენელი – das Prädikat
2. არსებითი სახელი – das Substantiv	2. ქვემდებარე – das Subjekt
3. ნაცვალსახელი – das Pronomen	3. დამატება – das Objekt
4. ზედსართავი სახელი – das Adjektiv	ა) პირდაპირი – direktes ბ) ორიბი – indirektes
5. ზმნი ზედა – das Adverb	გ) წინდებულიანი – präpositionales
6. რიცხვითი სახელი – das Numerale	4. განსაზღვრება – das Attribut
7. წინდებული – die Präposition	5. გარემოება – die Adverbial-bestimmung
8. კავშირი – die Konjunktion	
9. ნაწილაკი – die Partikel	
10. შორისდებული – die Interjektion	

ମର୍ବିତାନ୍ତକାଳୀନ

(Morphologie)

§1 გერბი (Das Verb)



გერმანულ ენაში, სხვა ენების მსგავსად, ზმნა წარმოადგენს წინადადებაში მისი წევრების შემაკავშირებელ მეტყველების ნაწილს და აზრის გაღმოცემის უმთავრეს საშუალებას. მიზანშეწონილად მიგვაჩინია, გრამატიკის შესწავლა დაგიწყოთ ზმნით. ზმნა უმთავრესად გამოხატავს მოქმედი პირის თუ საგნის ქმედებას ან მდგომარეობას.

ზმნების ძირითად ჯგუფებს გერმანულ ენაში ქმნიან სუსტი და ძლიერი ზმნები, მაგრამ, მათ გარდა არსებობს კიდევ მეშველი (დამხმარე), მოდალური, წესგარეშე და შერეული ზმნების ჯგუფები, რომელთა შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

ზმნის ძირითადი ფორმები

(Stammformen des Verbs)


გერმანულ ენაში ზმნას აქვს **საში** ძირითადი ფორმა, რომელთა წარმოება და დამახსოვრება აუცილებელია ზმნის ღროის სისტემის საწარმოებლად. ეს ფორმებია:

1. ინფინიტივი – der Infinitiv
2. პრეტერიტუმი (ანუ იმპერაფექტი) – das Präteritum (das Imperfekt)
3. II მიმღეობა - das Partizip II

ამ ფორმებიდან, რომლებიც გრაფიკულად განლაგებული არიან ჰორიზონტალურ ხაზზე და ფორმაულებელნი არიან, ვა-წარმოებთ ზმნის შემდეგ ღროებს; ესენია:

1. პრეზენსი – das Präsens
2. პრეტერიტუმი – das Präteritum
3. პერფექტი – das Perfekt
4. პლუსკვამპერფექტი – das Plusquamperfekt
5. I ფუტურუმი – das Futurum I
6. II ფუტურუმი – das Futurum II

სექტემბერი გერმანული ზმნის ძირითადი ფორმები და მათი მეშვეობა
ვეობით დროთა სისტემის წარმოება შემდეგნაირად გამოიხატება:



თავდაპირველად საუბარი გვექნება სუსტი და ძლიერი ზმნების ძირითადი ფორმების წარმოებაზე; დანარჩენი ზმნების ძირითად ფორმებს მათ შესახებ საუბრისას განვიხილავთ.

1. Infinitiv-ი არის ზმნის საწყისი ანუ განუსაზღვრელი ფორმა, რომელსაც არ გააჩნია პირი, რიცხვი, დრო და გამოხატავს მხოლოდ ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას.

ინფინიტივის ნიშანია დაბოლოება – **en**; ძლიერსა და სუსტ ზმნებს შორის ინფინიტივში ფორმალური განსხვავება არ ჩანს, ამიტომ, საჭიროა წინასწარ ცოდნა იმისა, ზმნა ძლიერია თუ სუსტი;

სუსტი ზმნები :

- machen** – კეთება
- sagen** – თქმა
- antworten** – პასუხი
- weinen** – ტირილი

ძლიერი ზმნები:

- lesen** - წაკითხვა
- schreiben** - წერა
- kommen** - მოსვლა
- fangen** - დაჭრა

შენიშვნა 1. თუ ზმნის ფუძე ბოლოვდება **er-ზე** ან **el-ზე**, მაშინ ინფინიტივში მას აქვს დაბოლოება – **n.** მაგ.,

- **rudern** - ნიჩბის მოსმა
 - **wandern** - სეირნობა, ხეტიალი
 - **dauern** - გაგრძელება (გრძელდება)
 - **lächeln** - ღიმილი
 - **klingeln** - რეკვა, წკარუნი
 - **basteln** - ძერწვა, ჩხირკელელაობა

შენიშვნა 2. ზმნები, რომლებიც ბოლოვდებიან - el, -er, -ig, -lich და -ier - სუფიქსებზე, უმთავრესად სუსტი უღლების არიან. მაგ.,

verfertigen – დამზადება

verwirklichen – განხორციელება

reparieren – შეკეთება, გარემონტება

2. Imperfekt-o (ანუ **Präteritum-o**) არის მეორე ძირითადი ფორმა, რომლის საშუალებითაც იწარმოება მარტივი წარსული დრო. ამ ფორმას ძლიერი და სუსტი ზმნები განსხვავებულად აწარმოებენ და ქართულად ითარგმნება ზმნის სრული ან უსრული ასპექტით; ამ დროს ზმნა პასუხობს კითხვაზე: რას შვრებოდა საგანი ან პირი? ან რა ქნა საგანმა ან პირმა? ზმნის თარგმანი დამოკიდებულია იმ კონტექსტზე, რომელიც განსაზღვრავს მის შინაარსს.

ა. სუსტი ზმნები Präteritum-ს აწარმოებენ ზმნის ფუნქციებს -te - სუფიქსის დართვით, მაგ.,

sag-en – თქმა, **sagte** – თქვა ან ამბობდა

wohn-en – ცხოვრება, **wohnte** – იცხოვრა ან ცხოვრობდა

klingel-n – რეკვა, წკარუნი, **klingelte** – დარეკვა ან რეკავდა, დაიწკარუნა ან წკარუნებდა

dauer-n – გაგრძელება, გრძელდება, **dauerte** – გაგრძელდა ან გრძელდებოდა.



შენიშვნა. თუ სუსტი ზმნის ფუძე ბოლოვდება **d**, **t**, **gn**, **chn**, **dm**, **tm**, **ffn**-ზე, მაშინ იგი კეთილხმოვნებისათვის დაირთავს –**ete** დაბოლოებას. მაგ.,

antwort-en – პასუხი, **antwort-ete** – უპასუხა ან პასუხობდა
bad-en – ბანაობა **bad-ete** – იბანავა ან ბანაობდა

zeichn-en – ხატვა, ხაზვა (ფანჯრით), **zeichn-ete** – დახატა ან ხატავდა, დახაზა ან ხაზავდა

widm-en – მიძღვნა **widm-ete** – მიუძღვნა ან უძღვნიდა

begegn-en – შეხვედრა **begegn-ete** – შეხვდა ან ხვდებოდა

öffn-en – გაღება **öffn-ete** – გააღო ან აღებდა

ბ. ძლიერი ზმნები Präteritum-ს აწარმოებენ ფუძისეული ხმოვნის შეცვლით, რის დროსაც ზმნას ნულოვანი დაბოლოება აქვს; მაგ.,

fahr-en – გამგზავრება, **fuhr** – გაემგზავრა ან მიემგზავრებოდა

les-en – წაკითხვა **las** – წაიკითხა ან კითხულობდა

schreib-en – წერა, **schrieb** – დაწერა ან წერდა

komm-en – მოსვლა **kam** – მოვიდა ან მოდიოდა

nehm-en – ალება **nahm** – აიღო ან იღებდა

– **3. Partizip II** (Partizip Perfekt-ი) ანუ II მიმღეობა წარმოადგენს ზმნის მესამე ძირითად ფორმას და გამოიყენება რთული დროების საწარმოებლად.

Partizip II პასუხობს კითხვაზე: როგორი? რის გამოც ზოგიერთი ზმნა შეიძლება ამ ფორმაში იდგეს არსებით სახელთან და ასრულებდეს განსაზღვრების ფუნქციას. (მაგალითები იხილეთ ქვევით).

Partizip II-ის ფორმას სუსტი და ძლიერი ზმნები ასევე განსხვავებულად აწარმოებენ.

ა. სუსტი ზმნები Partizip II-ს აწარმოებენ **ge-** თავსართისა და **t-** ბოლოსართის დართვით. **-(e)t** დაბოლოება ზმნას დაერთვის იმავე შემთხვევაში, თუ ზმნის ფუძე ბოლოვდება **d**, **t**, **chn**, **dm**, **gn**, **tm**, **ffn** -ზე; სუსტ ზმნებს ამ შემთხვევაში შემდეგი ფორმა ექნებათ:

sag-en – თქმა, sagte – თქვა ან ამბობდა, gesagt – წათქვაში; თქმული

mach-en – კეთება; machte – გააკეთა ან აკეთებდა, gemacht – გააკეთებული

widm-en – მიძღვნა, widmete – მიუძღვნა ან უძღვნიდა, gewidmet – მიძღვნილი

öffn-en – გაღება, öffnete – გააღო ან აღებდა, geöffnet – გაღებული

ბ. ძლიერი ზმნები Partizip II-ს აწარმოებენ ge- თავსართისა და en - ბოლოსართის დართვით. ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობის თაობაზე ამ შემთხვევაში მარტივია დ შეიძლება ვთქვათ, რომ იგი იმეორებს Infinitiv-ის ან Präteritum-ის ხმოვას ან საერთოდ იცვლება. მაგ.,

kommen – მოსვლა, kam – მოვიდა ან მოდიოდა, gekommen – მოსული.

lesen – წაკითხვა, las – წაკითხა ან კითხულობდა, gelesen – წაკითხული.

schreiben – წერა, schrieb – დაწერა ან წერდა, geschrieben – დაწერილი.

bleiben – დარჩენა, blieb – დარჩა ან რჩებოდა, geblieben – დარჩენილი.

nehmen – აღება, nahm – აიღო ან იღებდა, genommen – აღებული.

შენიშვნა: როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ზმნის Partizip II-ს შეუძლია განსაზღვრების ფუნქციის შესრულება. მაგ.,

das gelesene Buch – წაკითხული წიგნი

der geschriebene Brief – დაწერილი წერილი

das geöffnete Fenster – გაღებული ფანჯარა

das gezeichnete Bild – (ფანქრით) დახატული სურათი



ზმნის ძირითადი ფორმების წარმოების სქემა

Infinitiv	Präteritum		Partizip II	
	სუსტი ზმნები	ძლიერი ზმნები	სუსტი ზმნები	ძლიერი ზმნები
en	te	ფუძისეული	ge-t	ge-en
ან	ან	ხმოვნის	ან	ფუძისეული
n	ete	შეცვლა	ge-eti	ხმოვნის ან
[r, l - ზე]	[d,t,chn,d m,gn, ffn- ზე]	ღდაბოლოება	[d,t,chn,dm,g n, tm,ffn-ზე]	Infinitiv-ის, ან Präteritum-ის, ან შეცვლილი

ზმნის ულლება სხვადასხვა დროში


ზმნა წარმოადგენს ერთადერთ კლასს შეტყველების ნაწილთა შორის, რომელიც იულლება, ე. გ. გააჩნია პირის, რიცხვის, დროის, გვარის და კილოს კატეგორიები. ამ კატეგორიათაგან, ზმნის ულლების დროს, ჯერჯერობით განვიხილავთ პირის, რიცხვის, დროის და ნაწილობრივ კილოს (თხრობითი) კატეგორიებს. დანარჩენ კატეგორიებზე საუბარი გვექნება მასალის თანდათანობით გართულების შესაბამისად.

აწმყო დრო

(Das Präsens)

როდესაც საუბარია გერმანული ზმნის დროთა სისტემაზე, პირველ რიგში საქმე ეხება Präsens-ის წარმოებას, რომელშიც ვლინდება ყველა ტიპის ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური თავისებურებანი. ამ თვალსაზრისით, ზმნის ძირითად ფორმებთან ერთად, განვიხილავთ Präsens-ში ყველა ზმნის ულლების ნიმუშებს. სქემატურად ეს პრობლემა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

Infinitiv	Präteritum	Partizip II
-----------	------------	-------------



1. სუსტი ზმნები

2. ძლიერი ზმნები

3. დამხმარე (მეშველი) ზმნები.

4. a-ფურმიანი ძლიერი ზმნები.

5. e-ფურმიანი ძლიერი ზმნები.

6. მოუცილებადთავსართიანი ზმნები.

7. მოცილებადთავსართიანი ზმნები.

8. მერყევთავსართიანი ზმნები.

9. შერეული ზმნები ანუ სუსტი ზმნების განსაკუთრებული ჯგუფი.

10. წესგარეშე ზმნები.

11. მოდალური ზმნები.

12. უკუქცევითი ზმნები.

ყველა ამ ზმნის ძირითადი ფორმების შესწავლის შემდეგ, ვიწყებთ მათ უღლებას Präsens-ში.

Präsens-ის წარმოება

Präsens-ი იწარმოება ინფინიტივის ფუქეზე პირის ნიშნების დართვით, რის დროსაც ზმნას აუცილებლად უნდა ახლდეს პირის ნაცვალსახელი.

Singular

ich - e	
du - (e) - st	
er	
sie	(e)-t
es	

Plural

wir - (e)-n	
ihr - (e)-t	
sie	
Sie	(e)-n

machen, machte, gemacht

ich mach-e

wir mach-en

du mach-st

ihr mach-t

er	
sie	mach-t

sie	
Sie	mach-en

kommen, kam , gekommen

ich komm-e

wir komm-en

du komm-st

ihr komm-t

er	
sie	komm-t
es	

sie	
Sie	komm-en

schreiben, schrieb, geschrieben

ich schreib-e

wir schreib-en

du schreib-st

ihr schreib-t

er	
sie	schreib-t

sie	
Sie	schreib-en

შენიშვნა 1: ოუ ზმნის ფუქე ბოლოვდება **d**, **t**, **chn**, **dm**, **tm**, **gn**, **ffn** – ზე, მაშინ მას ე- ჩაემატება ზმნის კეთილხმოვნებისათვის მს. რიცხვის II და III პირში, აგრეთვე მრ. რიცხვის II პირში. მაგ.,



atmen, atmete, geatmet

du atm-est **ihr atm-et**

sie } atm-e-t Sie } atm-en

es $\pi - \theta = \pi w$

öffnen, öffnete, geöffnet

ich öffn-e wir öffn-e

du öffn-e-st **ihr öffn-e-t**

er] sie]

sie öffn-e-t **Sie** öffn-e-t

Sic *SMR* *3-6* *Sic* *SMR* *3-6*

With much enthusiasm.

Figure 3: The %EELs under different conditions

ଶ୍ରୀମତୀ କୁମାରୀ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ ପାତ୍ରଙ୍କ

6 Prasens-ის ძხ. ლიცენის II და III ვირის

sitzen, sass, gesessen — չընծա

du sitz-t ihr sitz-t

er [ə] is [ɪz]

sie { sitz-t Sie } sitz-en

heissen, hiess, geheissen – ჰეისი, ეწოდება

sie heiss-t **Sie** heis-

See [Scripted](#) for more information.

შენიშვნა 3: ა) თუ ზრდის ფაქტი ბოლოვალი

klingeln klingelte geklingelt

er } werden N+N sie }
 sie } klingelt Sie } klingel-n
 es }

ბ) თუ ზმნის ფუძე ბოლოვდება **er**-ჲე, **e**-შესაძლოა მხ. რიცხვის I პირში ან დარჩეს ან ამოვარდეს:

wandern, wanderte, gewandert

ich	wander-e/wandr-e	wir	wander-n
du	wander-st	ihr	wander-t
er		sie	
sie	wander-t	Sig	wander-n
es			

Präsens-ის მნიშვნელობა და გამოყენება

Präsens-ში ზმნა შეიძლება გამოხატავდეს შემდეგ მნიშვნელობებს:

1. **მოქმედებას**, რომელიც სრულდება ლაპარაკის მომენტში:

Die Freunde rufen das Mädchen.

მეგობრები ეძახიან გოგონას.

2. **პროცესს**, რომელიც არ არის მიმართებაში ლაპარაკის მომენტთან, მუდმივი და საყოველთაო. ხშირია მისი ხმარება ანდაზებში:

Die Erde bewegt sich um die Sonne.

დედამიწა ბრუნავს მზის გარშემო.

Lügen haben kurze Beine.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

3. **მოქმედებას**, რომელიც მეორდება:


Er geht oft ins Kino.

ის ხშირად დადის კინოში.

4. **მოქმედებას**, რომელიც მოხდა წარსულში (ისტორიული პრეზენსი).

In diesem Jahr bricht der erste Weltkrieg aus.

ამ წელს იწყება პირველი მსოფლიო ომი.



5. მოქმედებას, რომელიც მოხდება მომავალში. ამ დროს გა-
მოიყენება სიტყვები, რომლებიც მომავალზე მიუთითებენ: bald,
morgen, in einigen Tagen, in dieser Woche და ა.შ.

Morgen fahren sie nach Wien

ხვალ ისინი ვენაში მიდიან.

6. გენას Präsens-ში du ან Sie ნაცალსახელების ფორმაში
შეუძლია გამოხატოს ბრძანება ან მოთხოვნა:

Du räumst sofort das Zimmer auf!

ახლავე დაალაგებ ოთახს!

Sie verlassen jetzt das Zimmer!

ახლავე დატოვებთ ოთახს!

დამხმარე (შეშველი) ზმნები და მათი ულლება Präsens-ში

გერმანულ ენაში გვაქვს სამი დამხმარე (მეშველი) ზმნა, რომ-
ლებიც, უმთავრესად, რთული დროების საწარმოებლად გამოიყე-
ნება. გარდა ამისა, მათ თავიანთი დამოუკიდებელი მნიშვნელობე-
ბიც გააჩნიათ. ეს ზმნებია:

haben, hatte, gehabt – ქონა, ყოლა

sein, war, gewesen – ყოფნა, არსებობა

werden, wurde, geworden- გახდომა (ვიღოცად, რაღაცად)

აღნიშნული ზმნები განეკუთვნებიან წესგარეშე ანუ უწესო
ზმნათა ჯგუფს, რადგან ისინი Präsens-ს და ძირითად ფორმებს გან-
სხვავებულად აწარმოებენ.

haben N+Akk

ich habe

wir haben

du hast

ihr habt

er

sie

sie hat

Sie haben

es

sein N+N

ich bin

wir sind

du bist

ihr seid

er

sie

sie ist

Sie sind

es



werden N+N

ich werde	wir werden
du wirst	ihr werdet
er}	sie}
sie}	Sie}
es	werden

ა-ფუძიანი ძლიერი ზმნების უღლება Präsens-ში

ა-ფუძიანი ძლიერი ზმნები Präsens-ის მხოლობითი რიცხვის II

და III პირში a-ს შეიცვლიან a- უმლაუტით.

a → ä

backen, buk, gebacken – გამოცხობა

blasen, blies, geblasen – შებერვა, ჩაბერვა

fahren, fuhr, gefahren – გამგზავრება

fallen, fiel, gefallen – დავარდნა, დაცემა

fangen fing, gefangen – დაჭრა (იჭრას)

graben, grub, gegraben – თხრა (თხრის)

halten, hielt, gehalten – ჭერა (უჭირავს)

laden, lud, geladen – დაპატიჟება, მიწვევა

lassen, liess, gelassen – დატოვება

laufen, lief, gelaufen – სირბილი, გაქცევა

raten, riet, geraten – რჩევა

schlafen, schlief, geschlafen – ძილი

schlagen, schlug, geschlagen – ცემა, დარტყმა

wachsen, wuchs, gewachsen – ზრდა (იზრდება)

waschen, wusch, gewaschen – დაბანა, რეცხვა

tragen, trug, getragen – ტარება (ატარებს).

გამნაკლისია ზმა schaffen, schuf, geschaffen – შექმნა

Präsens

backen

ich backe

du bäägst

wir backen

ihr backt



er }
sie }
es } bäckt

sie }
Sie } backen

braten

ich brate	wir braten
du brätst	ihr bratet
er }	sie }
sie } brät	Sie } braten
es }	

halten

ich halte	wir halten
du hältst	ihr haltet
er }	sie }
sie } hält	Sie } halten
es }	

laufen

ich laufe	wir laufen
du läufst	ihr lauft
er }	sie }
sie } läuft	Sie } laufen
es }	

შენიშვნა: გამონაკლისს შეადგენს ზმნა stossen, რომელიც მიიღებს ძ-ს მხ. რიცხვის II და III პირში.

stossen, stiess, gestossen – ხელის კვრა, ბიძგი (უბიძგებს)	
ich stosse	wir stossen
du stösst	ihr stossst
er }	sie }
sie } stösst	Sie } stossen
es }	

ე-ფუძიანი ძლიერი ზმნების უდლება Präsens-ში
ე-ფუძიანი ზმნები Präsens-ის მხოლობითი რიცხვის II და III პირში ა-ს შეიცვლიან გრძელი ან მოკლე **i-** ით;



(i) **sieht** (i)

bergen, barg, geborgen – დაცვა, დამალვა, გადარჩენა

(i) **stehlen** (i)

brechen, brach, gebrochen – გატეხვა, დამტვრევა

(i) **stiehlst** (i)

essen, ass, gegessen – ჭიბა

(i) **stichlit**

flechten, flocht, geflochten – დაწვნა

(i) **fressen** (i)

frass, gefressen – შესანსკლა, შეოქვლეფა

(i) **geben** (i)

gab, gegeben – მიცემა

(ie) **geschehen**, geschah, geschehen – მოხდომა (ხდება)

(i) **helfen**, half, geholfen – შეულა, დახმარება

(ie) **lesen**, las, gelesen – წაკითხვა

(i) **messen**, mass, gemessen – გაზომვა

(i) **nehmen**, nahm, genommen – აღება

(i) **schmelzen**, schmolz, geschmolzen – დნობა

(ie) **sehen**, sah, gesehen – დანახვა, ყურება

(i) **sprechen**, sprach, gesprochen – ლაპარაკი



(ie)

stehlen, stahl, gestohlen – მოპარება

(i)

sterben, starb, gestorben – სიკვდილი

(i)

treffen, traf, getroffen – შეხვედრა

(i)

treten, trat, getreten – შესვლა

(i)

werfen, warf, geworfen – გადაგდება

(i)

შენიშვნა: გამონაკლისია შემდეგი ზმები: stehen, gehen,
bewegen, weben, heben.

Präsens

essen

ich esse

wir essen

du isst

ihr esst

er}

sie}

sie} isst

Sie} essen

es}

helfen

ich helfe

wir helfen

du hilfst

ihr helft

er}

sie}

sie} hilft

Sie} helfen

es}

nehmen

ich nehme

wir nehmen

du nimmst

ihr nehmst

er}

sie}

sie} nimmt

Sie} nehmen

es}

**sehen**

ich sehe	wir sehen
du siehst	ihr seht
er	sie}
sie} sieht	Sie} sehen
es	

stehlen

ich stehle	wir stehlen
du stiehlst	ihr stehlt
er	sie}
sie} stiehlt	Sie} stehlen
es	

treten

ich trete	wir treten
du trittst	ihr tretet
er	sie}
sie} tritt	Sie} treten
es	

მოუცილებადთავსართიანი ზმები

(Verben mit untrennbaren Präfixen)

- გერმანულ ენაში ზმნას დაერთვის მოუცილებადი თავსართე-
ო, რომლებიც:
1. ზმნას უცვლიან მნიშვნელობას,
 2. Partizip II-ში ge-თავსართს აღარ მოითხოვენ,
 3. მახვილს არ დაირთავენ,
ეს თავსართებია:

be-	ge-	er-	ver-	zer-
emp-	ent-	miss		

ძირითადი ფორმებისა და Präsens-ის წარმოებისას, მოუცი-
ლებადთავსართიანი ზმები ინარჩუნებენ სუსტი და ძლიერი ზმნე-

ბისათვის დამახსიათებელ ყველა ნიშან-ოვისების; მიზანშეწონილია ყველაზე გავრცელებული ზმნების ძირითადი ფორმებისა და მნიშვნელობების დამახსოვრება:

besuchen, besuchte, besucht – მონახულება, სტუმრობა,
(საღმე) სიარული

bekommen, bekam, bekommen – მიღება

erhalten, erhielt, erhalten – მიღება

gefallen, gefiel, gefallen – მოწონება

versprechen, versprach, versprochen – დაპირება

zerbrechen, zerbrach, zerbrochen – დამტვრევა, დამსხვრევა

entsprechen, entsprach, entsprochen – შეესაბამება

empfinden, empfand, empfunden – გრძნობა, შეგრძნება

missverstehen, missverstand, missverstanden – არასწორად
გავება (ვინძეს, რამის).

შენიშვნა: ზოგიერთ მოუცილებადთავსართიან ზმნას არ გააჩნია საკუთარი ფუძე, მისი მნიშვნელობა დაკარგულია ენის განვითარების რომელიღაც ეტაპზე. მაგ.,

gelingen, gelang, gelungen – მოხერხება, შეძლება

verlieren, verlor, verloren – დაკარგვა

vergessen, vergaß, vergessen – დავიწყება

empfehlen, empfahl, empfohlen – რჩევა და სხვ.

Präsens

bekommen

ich bekomme

wir bekommen

du bekommst

ihr bekommt

er } nehmend

sie }

sie bekommt

Sie } bekommen

es

-ed

erhalten

ich erhalte

wir erhalten

du erhältst

ihr erhaltet

er sie es	erhält	sie Sie	erhalten
-----------------	--------	------------	----------

vergessen

ich vergesse du vergisst er sie es	wir vergessen ihr vergesst sie Sie	vergessen
--	---	-----------

შენიშვნა: სუსტი ზმნები, რომელთა ფუძე ბოლოვდება **ier-** სუფიქსზე, Partizip II-ში მოუცილებადთავსართიანი ზმნების მსგავსად არ დაირთავენ **ge-** თავსართს. მაგ.,

studieren, studierte, **studiert** – სწავლა (უმაღლეს სასწავლებლში)

telefonieren, telefonierte, **telefoniert** – ტელეფონზე დარეკვა

gratulieren, gratulierte, **gratuiert** – მილოცვა

diktieren, diktierte, **diktiert** – კარნახი

reparieren, reparierte, **repariert** – შეკეთება, გარემონტება

absolvieren, absolvierte, **absolviert** – დამთავრება, (სკოლის ან უმაღლესის).

marschieren, marschierte, **marschiert** – ნაბიჭით სიარული.

მოცილებადთავსართიანი ზმნები

(Verben mit trennbaren Präfixen)

გერმანულ ენაში ზმნას დაერთვის მოცილებადი თავსართი, რომელიც:

1. ზმნას უცვლის მნიშვნელობას;

2. **Präteritum**-ში ანუ მეორე ძირითად ფორმაში ზმნას სცილდება და დგას მის შემდეგ;

3. Partizip II-ში ანუ მესამე ძირითად ფორმაში დგას -ge თავსართის შინ;



4. ყოველთვის მახვილს დაირთავს;
 ყველაზე ხმარებული თავსართებია:
an, auf, ab, aus,
ein, bei, mit, nach,
zu, vor, zurück, teil,
statt, hin, her, fort,
weg, zusammen, los, empor და სხვ.

მიზანშეწონილია ყველაზე გავრცელებული ზმნების ძირითადი
 ფორმებისა და მნიშვნელობების დამახსოვრება:

ankommen, kam **an**, **angekommen** – ჩამოსვლა,

zuhören, hörte **zu**, **zugehört** – მოსმენა

aufstehen, stand **auf**, **aufgestanden** – აღვიდა

abfragen, fragte **ab**, **abgefragt** – გამოკითხვა

einstiegen, stieg **ein**, **eingestiegen** – ასვლა (საღმე)

aussteigen, stieg **'aus**, **ausgestiegen** – ჩამოსვლა, გაღმოსვლა (საიდანება)

mitnehmen, nahm **mit**, **mitgenommen** – თან წაყვანა, წაღება

zumachen, machte **zu**, **zugemacht** – დაკეტვა, დახურვა

stattfinden, fand **statt**, **stattgefunden** – ჩატარება (ტარდება),
 შეღობა (შედგება).

შენიშვნა 1: მოცილებადი თავსართების როლში შეიძლება
 გამოვიდნენ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვებიც,
 რომელებიც ზმნას მნიშვნელობას უცვლიან. ასეთი ზმნებია, მაგ.,

kaputtfahren, fuhr **kaputt**, **kaputtgefahren** – მანქანის
 დამტკრევა

fernsehen, sah **fern**, **ferngesehen** – ტელევიზორის ყურება
teilnehmen, nahm **teil**, **teilgenommen** – მონაწილეობა
schwarzfahren, fuhr **schwarz**, **schwarzgefahren** – უბილეთოდ,
 (ჩუმაღ) მეზავრობა.

შენიშვნა 2: მოცილებადი თავსართის ოოლში შეიძლება გა-
მოვიდეს სხვა ზმნა. ასეთ შემთხვევაში, ორთოგრაფიულა
ფორმის თანახმად, ეს ზმნები ცალ-ცალკე იწერება. მაგ.,

kennen lernen, lernte **kennen**, **kennen** gelernt—გაცნობა
spazieren gehen, ging **spazieren**, **spazieren** gegangen—სასეირნოდ წასვლა
stehen bleiben, blieb **stehen**, **stehen** geblieben—გაჩერება.

მოცილებადთავსართიანი ზმნების უღლება Präsens-ში

Präsens-ში უღლებისას ზმნას მოცილებადი თავსართი ან ამ
ფუნქციით ხმარებული სიტყვა სცილდება და გადაღის
წინადაღების ბოლოს.

Präsens

aufstehen

ich stehe früh auf	wir stehen früh auf
du stehst früh auf	ihr steht früh auf
er}	sie}
sie}	Sie}
steht früh auf	stehen früh auf
es	

fernsehen

ich sehe fern	wir sehen fern
du siehst fern	ihr seht fern
er}	sie}
sie}	Sie}
sieht fern	sehen fern
es	

teilnehmen

ich nehme teil	wir nehmen teil
du nimmst teil	ihr nehmt teil
er}	sie}
sie}	Sie}
nimmt teil	nehmen teil
es	



kennen lernen

ich lerne kennen	wir lernen kennen
du lernst kennen	ihr lernt kennen
er	sie
sie	Sie
es	lernen kennen

მერყევთავსართიანი ზმნები

(Verben mit trennbaren und untrennbaren Präfixen)

გერმანულ ენაში ზმნას დაერთვის, აგრეთვე, თავსართები, რომლებიც მას ხან სცილდება და ხან არა. ეს თავსართები ჟემდევებია:

durch, über, um, unter, wider, wieder.

აღნიშნული თავსართები ემორჩილებიან მოცილებადი და მოცილებადი თავსართების ხმარების წესს: ოუ მახვილი თავსართს მოუდის, იგი მოცილებადია. ოუ მახვილი ზმნის ფუქს ეცემა, იგი მოცილებადია. ამგვარ ზმნებს ლექსიკონში ან წარმოთქმისას ვანსხვავებთ მახვილით, რომელიც ზმნას ან თავსართზე მოუდის, ან ფუქსზე. მახვილი ზმნას უცვლის მნიშვნელობას და მოცილებად-თავსართიან ზმნებს უმთავრესად პირდაპირი მნიშვნელობა აქვთ, მოცილებადს კი – გადატანითი. მაგ.,

მოცილებადია:

durchbrechen, brach **durch**, **durchgebrochen**—გადატეხვა

Er bricht den Stock durch.

ის გადატეხავს ჭოხს.

untergehen, ging **unter**, **untergegangen**—ჩაძირვა

Die Insel geht im Meer unter.

კუნძული ზღვაში იძირება.

widerspiegeln, spiegelte **wider**, **widergespiegelt**—არეკვლა, ასახვა.

Das spiegelt die Lage wider.

ეს ასახავს მდგომარეობას.

übersehen, übersah, übersehen—გამორჩენა (გამორჩი),
გამოვპარა

Der Lehrer übersieht den Fehler.

მასწავლებელს შეცდომა ეპარება.

umarmen, umarmte, umarmt— მოხვევა (ეხვევა).

Das Kind umarmt die Mutter.

ბავშვი ეხვევა ღედას.

unterschreiben, unterschrieb, unterschrieben — ჰელის მოწერა

Der Präsident unterschrieb das Gesetz.

პრეზიდენტმა კანონს ხელი მოაწერა.

ზოგიერთ ზმნას აღნიშნული თავსართები სცილდება ან არ
სცილდება, მისი მნიშვნელობის შესაბამისად.

wiederholen, holte wieder, wiedergeholt—(რამის) უკან მო-
ტანა

Der Hund holt den Stock wieder.

ძალლს უკან მოაქვს ჭოხი.

wiederholen, wiederholte, wiederholt—გამეორება

Er wiederholt die Aufgabe.

ის დავალებას იმეორებს.

durchschneiden, schnitt durch, durchgeschnitten—(რამის)
გაჭრა, გადაჭრა

Die Fischer schneiden die Leine durch.

მეოვეზეები ჭრიან თოკს.

durchschneiden, durchschnitt, durchschnitten—გადაჭვეთა
(ცვეთა)

Der Kanal durchschneidet das Land.

არხი გადაჭვეთს ჭვეყანას.

hintergehen, ging hinter, hintergegangen—უკან სვლა,
უკანიდან შესვლა

Er geht allmählich hinter.

ის თანდათან უკან—უკან მიღის.

hintergehen, hinterging, hintergangen—(გინშეს) მოუწყება
შეცდომაში შეყვანა

Er hintergeht den Lehrer.

მას მასწავლებელი შეცდომაში შეჰქავს.

შენიშვნა: საერთოდ, ძნელია შერყევი თავსართების განსხვავება გრამატიკულად და შინაარსობრივად, ამიტომ, საჭიროა, მათი გულდასმით მოქებნა ლექსიკონში.

შერეული ზმნები ანუ სუსტი ზმნების

განსაკუთრებული ჯგუფი

(Mischverben)

გერმანულ ენაში არსებობს ზმნების ერთი ჯგუფი, რომელსაც ახასიათებს როგორც სუსტი, ასევე ძლიერი ზმნების ნიშნები:

1. შერეული ზმნები ძირითად ფორმებში მიიღებენ სუსტი ზმნების დაბოლოებებს;

2. შერეული ზმნები ძირითად ფორმებში ფუძისეულ ხმოვანს შეიცვლიან ძლიერი ზმნების მსგავსად.

ამ ჯგუფს განეკუთვნება:

brennen, brannte, gebrannt—წვავს ან იწვის

bringen, brachte, gebracht—მოტანა, წაღება

kennen, kannte, gekannt—ცოდნა, ცნობა

nennen, nannte, gennant—წოდება, უწოდებს

rennen, rannte, gerannt—მიქრის, სწრაფად გარბის

senden, sandte, gesandt } გაგზვნა

senden, sendete, gesendet }

wenden, wandte, gewandt }

wenden, wendete, gewendet } (რამის) მიბრუნება, მიტრი-

ალება

denken, dachte, gedacht—ფიქრი

wissen, wusste, gewusst—ცოდნა

wissen—ზმა Präsens-ს თავისებურად აწარმოებს:

ich weiß
 du weisst
 er }
 sie } weiß
 es

wir wissen
 ihr wisst
 sie }
 Sie } wissen

წესგარეშე ანუ უწესო ზმნები (Unregelmässige Verben)

გერმანულ ენაში არსებობს შემდეგი წესგარეშე ზმნები:

haben, hatte, gehabt—ქონა, ყოლა

sein, war, gewesen—ყოფნა, არსებობა

werden, wurde, geworden—(რაიმედ, ვინმედ) გახდომა

stehen, stand, gestanden—დგომა

gehen, ging, gegangen—სიარული, წასვლა

tun, tat, getan—კეთება.

ყველა ზმნა განვიხილეთ ზემოთ, გარდა **tun** ზმნისა, რომელიც

Präsans-ში შემდეგნაირად იულლება:

ich tu-e	wir tu-n
du tu-st	ihr tu-t
er } sie } tu-t	sie } Sie } tu-n
es	

მარტივი წარსული დრო (Das Präteritum)

როდესაც საუბარია გერმანული ზმნის წარსული დროების სისტემაზე, პირველ ჩიგში უნდა განვიხილოთ Präteritum-ი, ანუ მარტივი წარსული დრო.

როგორც აღნიშნეთ, ზმნის ძირითადი ფორმები გვეხმარება დროთა სისტემის წარმოებაში. ყველა განვიხილეთ Präsens-ის წარმოების ნიმუშები პირველი ძირითადი ფორმიდან ანუ Infinitiv-დან ყველა ზმნისათვის. ახლა განვიხილოთ, მეორე ძირითადი

ფორმიდან ანუ Präteritum-დან როგორ იწარმოება ამავე სახელ-წოლების დრო-Präteritum-ი, ანუ მარტივი წარსული.

Präteritum-ის წარმოება

Präteritum-ი ანუ მარტივი წარსული იწარმოება ზმნის მეორე
ძირითად ფორმაზე, Präteritum-ზე, Präsens-ის პირის ნიშნებისა და
პირის ნაცვალსახელების დართვით, გარდა მხოლობითი რიცხვის I
და III პირისა, სადაც ზმნას ნულოვანი დაბოლოება აქვს. რაღაც
ყველა ზმნის Präteritum-ის წარმოება ვიცით, უბრალოდ ვიღებთ ამ
ფორმას და ვაწარმოებთ წესისამებრ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ
ვიცით ამ დროში ზმნის თარგმნის პრინციპიც.

Präteritum

სუსტი 9865

schicken, schickte , geschickt-გაგზავნე ან გზავნილი	
ich schickte	wir schickten
du schicktest	ihr schicktet
er}	sie}
sie} schickte	Sie} schickten
es	

ዳንበኛ ዓመት

kommen, kam , gekommen—	მოვედი ან მოვდიოდი
ich kam	wir kamen
du kamst	ihr kamt
er}	sie}
sie}	Sie}
es	kamen

მოკილებათავსართიანი ზენა

შენიშვნა: როგორც II ძირითადი ფორმიდანაც ჩანს,
Präteritum-ში ზმნას, Präsens-ის მსგავსად, მოცილებადი თავსართი
სცილდება და გადადის წინადადების ბოლოს.

გეშველი ზმნები

haben, **hatte**, gehabt-მქონდა, მყავდა

ich hatte	wir hatten
du hattest	ihr hattet
er	sie}
sie}	Sie}
es	hattten

sein, **war**, gewesen—ვიყავი

ich war	wir waren
du warst	ihr wart
er	sie}
sie}	Sie}
es	waren

werden, **wurde**, geworden—გავხდი (ვინგედ, ლაგედ)

ich wurde	wir wurden
du wurdest	ihr wurdet
er	sie}
sie}	Sie}
es	wurden

შერეული ზმნა

bringen, **brachte**, gebracht-მოიტანა, მოჰქონდა, მო-

ich brachte	wir brachten
du brachtest	ihr brachtet
er	sie}
sie}	Sie}
es	brachten

aufstehen, stand - გადასტონ + **Präsenz II**

წესგარეშე ზმა

tun, **tat**, getan—გავაკეთე, ვაკეთებდი

ich tat	wir taten
du testest	ihr taret
er}	sie}
sie}	Sie}
es	taten.

Präteritum-ის მნიშვნელობა და გამოყენება

მარტივი წარსული დრო ანუ Präteritum-ი, როგორც ზმნის ძირითადი ფორმების წარმოებისას აღვნიშნეთ, ქართულად ითარებება როგორც ზმნის სრული ან უსრული ასპექტი და პასუხობის კითხვაზე: რა ქნა მოქმედმა პირი? რას შვრებოდა მოქმედი პირი?

Präteritum-ი გამოყენება უმთავრესად მონოლოგურ მეტყელებაში, საავტორო თხრობისას, ზღაპრებში. Präteritum-ს მარტივ დროს ვუწოდებთ, რაღაც მის საწარმოებლად Präsens-ის მსგავსად, არ არის საჭირო დამხმარე ზმნის გამოყენება. მაგ.,

Ein junger Mann kam in eine fremde Stadt und sah ein hübsches Mädchen.

ერთი ახალგაზრდა კაცი ჩამოვიდა უცხო ქალაქში და ნახა მშვენიერი გოგონა.

რთული წარსული დრო

ich kam

(Das Perfekt)

გერმანული ზმნის სისტემაში Perfekt-ი რთული წარსული დროის ფორმას წარმოადგენს, რომელიც საწარმოებლად, გარდა ზმნის ძირითადი ფორმისა, დამხმარე ზმნასაც მოითხოვს.

Perfekt-ის წარმოება

Perfekt-ი ანუ რთული წარსული დრო იწარმოება დამხმარე ზმნის – haben-ის ან sein-ის Präsens-ით და საუღლებელი ზმნის მესამე ძირითადი ფორმით ანუ Partizip II-თი.

$$\text{Perfekt-ი} = \underline{\text{haben/sein}} + \begin{array}{l} \underline{\text{საუღლ. ზმნის}} \\ \text{Präsens} \qquad \qquad \text{Partizip II} \end{array}$$

Perfekt-ის წარმოების დროს სირთულეს ქმნის მეშველი ზმნის შერჩევის პროცესში, ამიტომ აუცილებელია იმ ზოგადი მარტივი წესების დამახსოვრება, რომელთა მიხედვითაც სწორად შეიძლება მეშველი ზმნის შერჩევა. აქევ უნდა აღინიშნოს, რომ გერმანული ზმნების უმრავლესობა Perfekt-ს haben-ით აწარმოებს. ასეთ შემთხვევაში ლექსიკონში მეშველი ზმნა არ არის მითითებული. სამაგიეროდ, ყოველთვის აღინიშნულია sein-ის ხმარების შემთხვევები, რაზედაც მიუთითებს ზმნის გასწვრივ ფრჩხილებში მოთავსებული ასო (s).

1. Perfekt-ს sein-ზმნით აწარმოებენ:

ა) ზმნები, რომლებიც გამოხატავენ გადაადგილებას სივრცეში, მოძრაობას ადგილის გადანაცვლებით.

მაგ., kommen, fahren, reisen, gehen, springen, laufen, wandern და სხვ.

ბ) ზმნები, რომლებიც გამოხატავენ ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლას ანუ მდგომარეობის შეცვლას.

მაგ., aufstehen, einschlafen, aufwachen, aufblühen, wachsen, sterben, ertrinken (დახრჩობა, იხრჩობა) და სხვ.

გ) ზმნები sein და werden

დ) აგრეთვე ზმნები:

begegnen, folgen, gelingen, misslingen, bleiben, geschehen (ამ ზმნას მხოლოდ მხ. და მრ. რიცხვის მესამე პირი გააჩნია).

Perfekt

fahren, fuhr, gefahren sein

ich bin gefahren	wir sind gefahren
du bist gefahren	ihr seid gefahren
er}	sie}
sie}	Sie}
es,	sind gefahren

aufstehen, stand auf, aufgestanden sein

ich bin aufgestanden	wir sind aufgestanden
du bist aufgestanden	ihr seid aufgestanden

er	sie	ist aufgestanden	sie	sind aufgestanden
es				
		sein, war, gewesen sein		
ich bin gewesen		wir sind gewesen		
du bist gewesen		ihr seid gewesen		
er		sie		
sie	ist gewesen	Sie	sind gewesen	
es				
		werden, wurde, geworden sein		
ich bin geworden		wir sind geworden		
du bist geworden		ihr seid geworden		
er		sie		
sie	ist geworden	Sie	sind geworden	
es				
		begegnen, begegnete, begegnet sein		
ich bin begegnet		wir sind begegnet		
du bist begegnet		ihr seid begegnet		
er		sie		
sie	ist begegnet	Sie	sind begegnet	
es				

2) Perfekt-ს გარდამავალი ზმნები:

ა) გარდამავალი ზმნები

(გერმანულში ზმნა გარდამავალია, თუ იგი მოითხოვ პირდაპირ დამატებას Akkusativ-ში). მაგ.,

bauen, fragen, essen, lieben, machen, lesen, öffnen, schreiben.

ბ) უკუჭცევითი ზმნები (იხ. ქვემოთ)

გ) მოღალური ზმნები (იხ. ქვემოთ)

დ) გარდაუვალი ზმნების ის ჯგუფი, რომელიც უცვლელ მდგომარეობას ან გახანგრძლივებულ მოქმედებას გამოხატას (უასპექტო ზმნები). მაგ.,



liegen, stehen, sitzen, hängen, schlafen, arbeiten, leben, wohnen და სხვ.

გ) ზმები, ომლებიც ირიბ დამატებას მოითხოვენ Dativ-ში და სივრცეში გადაადგილებას არ გამოხატავენ. მაგ., antworten, danken, drohen, gefallen, glauben, schaden და სხვ.

გ) ზმა – haben

ზ) უპირო ანუ პირნაკლი ზმები (იხ. ქვემოთ)

Perfekt

lesen, las, gelesen haben

ich habe gelesen	wir haben gelesen
du hast gelesen	ihr habt gelesen
er	sie}
sie	Sie}
es	haben gelesen

schlafen, schlief, geschlafen haben

ich habe geschlafen	wir haben geschlafen
du hast geschlafen	ihr habt geschlafen
er	sie}
sie	Sie}
es	haben geschlafen

danken, dankte, gedankt haben

ich habe gedankt	wir haben gedankt
du hast gedankt	ihr habt gedankt
er	sie}
sie	Sie}
es	haben gedankt

haben, hatte, gehabt haben

ich habe gehabt	wir haben gehabt
du hast gehabt	ihr habt gehabt
er	sie}
sie	Sie}
es	haben gehabt

Perfekt-ის მნიშვნელობა და გამოყენება

1) Perfekt-ი გამოხატავს წარსულ დროს, რომელიც Präteritum-ის მსგავსად, კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ზმნის სრული ან უსრულო ასპექტით ითარგმნოს. Perfekt-ი გამოიყენება უმთავრესად დიალოგურ მეტყველებაში, რომელიც გვხვდება როგორც ტექსტებში, ასევე ყოველდღიურ საუბრებში. მაგ.,

-**Hast du gut geschlafen?**

-Ja, ich **bin** plötzlich **eingeschlafen**.

-კარგად გეძინა?

-ოჲ, უცბად ჩამეძინა.

-Was **hat** sie gestern **gemacht**?

-Sie **ist** in die Schule gegangen und **hat** eine Arbeit **geschrieben**.

-რას აკეთებდა ის გუშინ?

-კვლაში წავიდა და სამუშაო დაწერა.

2) Perfekt-ის საშუალებით შეიძლება გადმოვცეთ აგრეთვე, ისეთი მოქმედება, რომელიც მომავალში უკვე დასრულებული იქნება. ამ დროს აუცილებელია მომავალი დროის გამომხატველი სიტყვების დართვა. მაგ.,

-Wenn du **morgen** früh um 10 Uhr kommst, **habe** ich schon **gefrühstückt**.

თუ ხვალ დილის 10 საათზე მოხვალ, მე უკვე ნასაუზმევი ვიქნები.

-Wenn sie am **Abend** kommt, **habe** ich das Kind schon **gewaschen**.

თუ ის სალამოს მოვა, მე ბავშვი უკვე დაბანილი მეყოლება.

შენიშვნა: ამიერიდან ზმნის ძირითადი ფორმების წარმოებისას საუღლებელი ზმნის Partizip II-ს ყოველთვის ვიხმართ შესაბამისი დამხმარე ზმნის Infinitiv-თან (haben ან sein). მაგ.,

gekommen sein

geschrieben haben

geschlafen haben

aufgestanden sein

ରୁତୁଳି ପିନାର୍ଜ ପାର୍ଶ୍ଵଲି ଫର୍ମ
(Das Plusquamperfekt)

გერმანული ზმნის სისტემაში Plusquamperfekt-I, აგრეთვე, როგორც წარსული დროის ფორმას წარმოადგენს, რომელიც გარდა ზმნის ძირითადი ფორმისა, დამხმარე ზმნასაც მოითხოვს.

Plusquamperfekt-ის წარმოება

როცული წინარე წარსული დრო-Plusquamperfekt-ი იწარმოება დამხმარე ზმების *haben*-ის ან *sein*-ის Präteritum-ით და საულებელი ზმის მესამე ძირითადი ფორმით ანუ Partizip II-თი.

Plusquamperfekt-o = hatte/war + საუკლ.ზმნის
Partizip II

Plusquamperfekt-ის წარმოებისას მეშველი ზმნის შერჩევა ზუსტად იმ წესით ხდება, რაც **Perfekt**-ის წარმოების დროს.

Plusquamperfekt

einladen, lud ein, **hatte eingeladen**-ବୁଦ୍ଧିଗ୍ରହଣ

ich hatte eingeladen wir hatten eingeladen

du hattest eingeladen ihr hattet eingeladen

er] sie]

sie } hatte eingeladen Sie } hatten eingeladen

es | [Resumo](#) [Comentários](#) [Compartilhar](#)

fahren, fuhr, war gefahren—გაემგზავრა

ich war gefahren wir waren gefahren

wir waren gefahren
ihr wart gefahren

er] sie]

sie war gefahren Sie waren gefahren

Sie { war gefangen **Sie** } waren gefangen
es { war gefangen **Sie** } waren gefangen

haben, hatte, **hatte gehabt**—ହୁବୁନ୍ତା, ହୁକୁମା

du hatte gehabt **wir hatten gehabt**
du hattest gehabt **ihr hattet gehabt**

er } sie } es } hatte gehabt sie } Sie } hatten gehabt

sein, war, war gewesen—იყო

ich war gewesen wir waren gewesen

du warst gewesen ihr wart gewesen

er } sie } es } war gewesen sie } Sie } waren gewesen

werden, wurde, war geworden—გახდომა (რაიმედ, ვინ-
გედ)

ich war geworden wir waren geworden

du warst geworden ihr wart geworden

er } sie } es } war geworden sie } Sie } waren geworden

Plusquamperfekt-ის შნიშვნელობა და გამოყენება

Plusquamperfekt-ის ფორმა გამოხატავს ისეთ წარსულ დროს, რომელიც Präteritum-ის ან Perfekt-ის ფორმებით გამოხატული წარსული დროის წინ მოხდა. ამიტომაც მას წინარე წარსულის ანუ „წარსულის წარსული“ დროის ფორმას უწოდებენ, რომელიც დამოუკიდებლად არ იხმარება. Plusquamperfekt-ს ფარდობითი დრო ეწოდება Präteritum-ისა და Perfekt-ისაგან განსხვავებით, რომლებიც აბსოლუტურ დროს გამოხატავენ. გერმანულში Plusquamperfekt-ის ფორმა მიგვითითებს, რომ მოქმედება მინარე წარსულში გადაინაცვლა. მისი ქართულად თარგმნისას კი აუცილებელია იმ სიტყვების გამოყენება, რომლებიც დროში გადანაცვლებაზე მიუთითებენ.

Plusquamperfekt-ი უმთავრესად მხატვრულ ლიტერატურაში გამოიყენება. მაგ.,

Ein junger Mann liebte ein Mädchen und stand jeden Abend vor ihrem Fenster, aber er hatte noch nie mit ihr gesprochen.

ერთ ყმაწვილს ერთი გოგონა უყვარდა და ყოველ საღამოს
მისი ფანჯრის წინ იდგა, მაგრამ მას არასოდეს არ დალაპარაფებიფ. 53
ჩვეულებრივ Plusquamperfekt-ი იხმარება ოთულ ქვეშ ყობილ
წინადადებაში. მთავარ წინადადებაში ზმნა უმთავრესად დგას
Präteritum-ში, დამოკიდებულ ში კი – Plusquamperfekt-ში. მაგ.,

Es war klar, dass er die Prüfung nicht abgelegt hatte.

აშენობა იყო, რომ მას გამოკვლა არ ჩაუტარებია.

I ፳፻፲፭፻፲፭፻፭፻

(Das Futurum I)

მომავალი დროის გამოსახატავად გერმანულში იხმარება Futureum I-ის ფორმები.

Futurum I-ის წარმოება

ხდება დამხმარე ზმნის werden-ის Präsens-ით და საუღლებელი ზმნის Infinitiv-ით.

Futurum I = werden + საული. გმნის

Futurum I-ის ხმარების წესი ყველა ზმნისათვის ერთნაირია. მაგ.,

aufstehen, stand auf, aufgestanden sein

ich werde aufstehen – ۱۳۰۲۶۷۰

wir werden aufstehen

du **wirst** **aufstehen**

ihr werdet aufstehen

er

sie

sie wird aufstehen

Sie } werden aufstehen

haben, hatte, gehabt haben

ich werde haben – მექნება, მეყოლება, wir werden haben

du **wirst haben** ihr **werdet haben**

er **sie**

sie { wird haben **Sie** } werden haben

Sie wird haben Sie werden haben
es

sein	war, gewesen sein	wir werden sein
ich werde sein – ვიქები		ihr werdet sein
du wirst sein		sie}
er}		Sie}
sie} wird sein		werden sein
es}		

werden, wurde, geworden sein

ich werde werden – გავხდები	wir werden werden
du wirst werden	ihr werdet werden
er}	sie}
sie} wird werden	Sie}
es}	werden werden

Futurum I-ის მნიშვნელობა და გამოყენება

1) როგორც აღვნიშეთ, Futurum I გამოხატავს მომავალ დროს, ანუ ისეთ მოქმედებას, რომელიც მომავალში უნდა შესრულდეს. მაგ.,

Mein Freund **wird** im Sommer nach Berlin **fahren**.

ჩემი მეგობარი ზაფხულში ბერლინში გაემგზავრება.

Er **wird** in der Schule Deutsch **lernen**.

ის სკოლაში გერმანულს ისწავლის.

2) თუ მოქმედების, პროცესის ან მდგომარეობის განხორციელება მომავალში ეჭვეჭვეშ დგას, მაშინ დამხმარე ზმნა „werden“ გამოდის მოდალური ზმნის როლში და გამოხატავს მოქმედი პირის დამოკიდებულებას წინადაღებაში გამოხატული მოქმედების მიმართ. ამ შემთხვევაში „ვარაუდის“ გამოხატვა ძლიერდება მოდალური სიტყვების დართვით, როგორიცაა: wohl, vielleicht, wahrscheinlich და სხვ. მაგ.,

Mein Nachbar wird das Auto wohl reparieren.

ჩემი მეზობელი ალბათ შეაკეთებს მანქანას.

Er wird zu mir vielleicht heute kommen.

ის ჩემთან შესაძლოა დღეს მოვიდეს.

vor ihrem Fenster, aber er hatte noch nie mit ihr gesprochen.

3) როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მომავალი დროს გამოიყენება (იხ. Präsens-ისა და Perfekt-ის წარმოება).

II მომავალი დრო

(Das Futurum II)

გერმანულ ენაში Futurum II-ის ფორმები სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება და არ წარმოადგენს მხოლოდ მომავალი დროს გამოხატვის საშუალებას.

Futurum II-ის წარმოება

Futurum II იწარმოება დამხმარე ზმნის werden-ის Präsens-ით, საუღლებელი ზმნის Partizip II-ით და იმ დამხმარე ზმნის (haben ან sein) Infinitiv-ით, რომლის საშუალებითაც საუღლებელი ზმნა აწარმოებს Perfekt-ს.

Futurum II =werden + საუღლებელი + haben/sein
Präsens Partizip II Infinitiv-I

Futurum II

schreiben, schrieb, geschrieben haben

ich werde geschrieben haben

wir werden geschrieben haben

du wirst geschrieben haben

ihr werdet geschrieben haben

er}

sie}

sie}

Sie}

es}

Sie}

kommen, kam, gekommen sein

ich werde gekommen sein

wir werden gekommen sein

du wirst gekommen sein

ihr werdet gekommen sein

er}

sie}

sie}

Sie}

es} wird gekommen sein

wir werden gekommen sein

Futurum II-ის მნიშვნელობა და გამოყენება

Futurum II-ის ფორმა გამოიყენება ორი ძირითადი მნიშვნელობით:

1. **Futurum II გამოხატავს** სავარაულო მოქმედებას წარსულში; ამ შემთხვევაში დროის მისათითებლად იხმარება დამატებითი სიტყვები. მაგ., gestern, vor einigen Tagen და სხვ.

Futurum II-ის ფორმას ამ შემთხვევაში Perfekt-ის მნიშვნელობა გააჩნია, ოღონდ წარსული დრო შეფერილია მოდალური ალბათობით. ამიტომ აქ გამოიყენება მოდალური სიტყვები: wohl, sicher, gewiss, vielleicht, vermutlich და სხვ.

ა) **Er wird (gestern) die Stadt besichtigt haben.**

მან გუშინ აღბათ დაათვალიერა ქალაქი.

ბ) **Die Kinder werden (neulich) im Gebirge gewandert sein.**

ბავშვებმა, ეტყობა ნამდვილად, (ამას წინათ) მოებში იხეტიალეს.

გ) **Er hat gestern wohl die Stadt besichtigt.**

მან ქალაქი გუშინ, აღბათ, დაათვალიერა.

დ) **Die Kinder sind (neulich) im Gebirge gewiss gewandert.**

ბავშვებმა ამას წინათ ნამდვილად ბევრი იხეტიალეს მოებში.

2. **Futurum II გამოხატავს მოქმედებას, რომელიც მომავალში დამთავრებულია.** ამ დროს გამოიყენება მომავალი დროის აღმნიშვნელი სიტყვები: morgen, bald, bis Sonnabend და სხვ. მაგ..

Er wird die Arbeit morgen beendet haben.

მას სამუშაო ხვალისთვის დამთავრებული ექნება.

Der Gast wird am Abend schon gekommen sein.

სტუმარი საღამოს უკვე მოსული იქნება.

მოდალური ზმნები

(Modalverben)

მოდალური ზმნები გერმანულ ენაში ქმნიან ზმნათა განსაკუთრებულ ჯგუფს. ისინი აღნიშნავენ მოქმედი პირის დამოკიდებულებას ძირითადი ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართ.

მოდალური ზმნები გამოხატავენ: აუცილებლობას, შესაძლებლობას და სურვილს. გერმანულში გვაქვს 6 მოდალური ზმნა. ისინი ძირითად ფორმებს აწარმოებენ სუსტი ზმნების მსგავსად. ის 4 მოდალური ზმნა, რომელსაც Infinitiv-ის ფორმაში უმღაუტი აქვს, მას დანარჩენ ძირითად ფორმებში კარგავს. ეს ზმნებია:

müssen, musste, gemusst	აუცილებლობა შესაძლებლობა სურვილი	
sollen, sollte, gesollt		
können, konnte, gekonnt		
dürfen, durfte, gedurft		
wollen, wollte, gewollt	მიუხედავად ამ ზმნების ზოგადი მნიშვნელობებისა, თითოეულ მათგანს თავისი საკუთრივი მნიშვნელობა გააჩნია.	
mögen, mochte, gemocht	1. müssen -გამოხატავს აუცილებლობას, რომელიც, შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც მოქმედ პირთან, ასევე ობიექტურ გარემოებებთან დაკავშირებული პირობებით.	

1. **müssen**-გამოხატავს აუცილებლობას, რომელიც, შესაძლოა გამოწვეული იყოს როგორც მოქმედ პირთან, ასევე ობიექტურ გარემოებებთან დაკავშირებული პირობებით.
2. **sollen**-გამოხატავს სუბიექტურ აუცილებლობას, ბრძანებას ან განზრახვას.

3. **können**-გამოხატავს შესაძლებლობას, ფიზიკურ ან გონიეროვნარს, ნებართვას.

4. **dürfen**-გამოხატავს უფლებრივ, იურიდიულ ან მორალურ შესაძლებლობას. უარყოფით ფორმაში მას აკრძალვის მნიშვნელობა აქვს.

5. **wollen**-გამოხატავს ნეიტრალურ სურვილს, განზრახვას.

6. **mögen**-ის საკუთრივი მნიშვნელობა არის „სიყვარული“ (მიყვარს); მოდალური მნიშვნელობით გამოიყენება ამ ზმნის კავშირებითი კილოს Präteritum-ის ფორმა **möchte**, რომელიც ნატვრას ან თავაზიან სურვილს გამოხატავს და ყოველთვის აწმყოს მნიშვნელობა აქვს.



წარსული დროის გამოსახატავად ზმნა **wollen** გამოიყენება. ეს არის ჩვენ ჩამოვთვალეთ მოდალური ზმნების ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობები. მოდალური ზმნები ტექსტში ხშირად ენა-ცვლებიან ერთმანეთს.

მოდალური ზმნების უდლება Präsens-სა და Präteritum-ზი

მოდალურ ზმნებს პრეტერიტო – პრეზენციულ ზმნებსაც უწოდებენ იმის გამო, რომ ისინი Präsens-ის წარმოებისას იმავე ნი-ზმნებს ავლენენ, რასაც ძლიერი ზმნები Präteritum-ის წარმოებისას. სახელდობრ:

1. მოდალური ზმნები (გარდა *sollen*-ისა) მხოლობითი რიცხვის ყველა პირში იცვლიან ფუძისეულ ხმოვანს, რომელსაც მრავლობით რიცხვში ისევ აღიდგენენ.
2. მოდალურ ზმნებს Präsens-ის მხოლობითი რიცხვის I და III პირში დაბოლოება არ გააჩნიათ.

Präsens Singular

müssen	sollen	können	dürfen
ich muss du musst er } muss sie } es	ich soll, du sollst er } soll sie } es	ich kann du kannst er } kann sie } es	ich darf du darfst er } darf sie } es

Plural

wir müssen	wir sollen	wir können	wir dürfen
ihr müsst sie } müssen Sie }	ihr sollt sie } sollen Sie }	ihr könnt sie } können Sie }	ihr dürft sie } dürfen Sie }



Singular

wollen	mögen	möchte
ich will	ich mag	ich möchte
du willst	du magst	du möchtest
er } will	er } mag	er } möchte
sie es	es	sie es

Plural

wir wollen	wir mögen	wir möchten
ihr wollt	ihr mögt	ihr möchtet
sie } wollen	sie } mögen	sie } möchten
Sie }	Sie }	Sie }

Präteritum-ს მოდალური ზმნები ჩვეულებრივ აწარმოებენ მეორე ძირითადი ან Präteritum-ის ფორმიდან ყველა საერთო წესის დაცვით. მოდალური ზმნები ჩვეულებრივ იხმარებიან აზრობრივი ზმნის Infinitiv-თან ერთად, რის დროსაც ფორმას იცვლის მხოლოდ მოდალური ზმნა.

აუცილებლობა	→	Modalverb + აზრობრ. ზმნის Infinitiv-ი
შესაძლებლობა	→	
სურვილი	→	

მოდალური ზმნების მნიშვნელობა და გამოყენება

Präsens-სა და Präteritum-ზე

müssen, musste

Er muss um 5 Uhr zu Hause sein.

ის ხუთ საათზე სახლში უნდა იყოს.

Er musste um 5 Uhr zu Hause sein.

ის ხუთ საათზე სახლში უნდა ყოფილიყო.

sollen, sollte

Der Lektor soll alles verständlich erklären.

ლექტორმა ყველაფერი გასაგებად უნდა ახსნას.

Der Lektor sollte alles verständlich erklären.

ლექტორს ყველაფერი გასაგებად უნდა აეხსნა.

können, konnte

Der Student kann den Text übersetzen.

სტუდენტი შეუძლია ტექსტის თარგმნა.

Der Student konnte den Text übersetzen.

სტუდენტს შეეძლო ტექსტის თარგმნა.

dürfen, durfte

Die Mädchen dürfen ins Kino gehen.

გოგონებს შეუძლიათ (წება აქვთ დართული) კინოში წავიდნენ.

Die Mädchen durften ins Kino gehen.

გოგონებს შეეძლოთ კინოში წასვლა.

wollen, wollte

Im Juni will er nach Berlin fahren.

ივნისში მას ბერლინში უნდა (სურს) წასვლა.

Im Juni wollte er nach Berlin fahren.

ივნისში მას ბერლინში უნდოდა წასვლა.

mögen—მიყვარს, მომწონს (დამოუკიდებელი მნიშვნელობით)

Ich mag diesen Menschen nicht.

ეს ადამიანი არ მიყვარს

möchte—თავაზიანი სურვილი, ნატერა

Er möchte das Mädchen gern kennenlernen.

ის სიამოვნებით გაიცნობდა (გაიცნობს) ამ გოგონას.

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში, მოდალური ზმნის ხმარებისას, შესაძლებელია აზრობრივი ზმნის Infinitiv-ის გამოტოვება, რომლის შინაარსიც იგულისხმება. მაგ.,



Ich muss nach Hause (gehen).

სახლში უნდა წავიდე.

Sie kann gut Englisch (sprechen).

მას კარგად შეუძლია ინგლისურად საუბარი.

მოდალური ზმნების ჯგუფს მიაკუთვნებენ აგრეთვე ზმნა: lassen-ს, რომელსაც

1. აქვს თავისი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ნიშნავს „დატოვებას“ (ტოვებს). ფორმის მიხედვით იგი განეკუთვნება აუქსიან ტლიერ ზმნებს.

2. მოდალური ზმნების ფორმულის მიხედვით ხმარების დროს „lassen“ კარგავს თავის საკუთრივ მნიშვნელობას და გამოხატავს მოდალობას, ანუ მოქმედი პირი ვინმეს აიძულებს, შეასრულოს რაიმე მოქმედება (ე.ი. ვინმეს რამეს აკეთებინებს).

lassen + აზრობ. ზმნის Infinitiv

რა ამრიგოდ, ზმნა **lassen** მოდალურ ზმნებს განეკუთვნება არა ფორმით, არამედ შინაარსით. მაგ.,

Er lässt den Taxifahrer warten.

ის ტაქსის მძღოლს ალოდინებს.

Er liess den Freund das Mädchen nach Hause fahren.

მან მეგობარს გოგონა სახლში წააყვანინა.

მოდალური ზმნების ხმარება რთულ დროებში

(Perfekt, Plusquamperfekt, Futurum I)

1. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მოდალური ზმნები რთულ წარსულ დროებს აწარმოებენ დამხმარე ზმნით „haben“, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რას გამოხატავს აზრობრივი ზმნა.

2. მოდალური ზმნები Futurum I-ს აწარმოებენ დამხმარე ზმნის „werden“-ის საშუალებით. იგივე ეხება ზმნა „lassen“-საც.

რთული დროების წარმოებისას დამხმარე ზმნები წარმოადგენენ ულლებად ნაწილს, მოდალური ზმნა და აზრობრივი ზმნა კი Infinitiv-ის ფორმაში დგანან. ამ დროს მოდალური ზმნა ბოლო აღვილზე დგას აზრობრივი ზმნის Infinitiv-ის შემდეგ.

Perfekt, Plusquamperfekt, Futurum I

Er hat weggehen müssen }
er hatte weggehen müssen } ის უნდა წასულიყო.

Er wird weggehen müssen—ის უნდა წავიდეს.

Er hat den Freund anrufen können } მას შეეძლო მე-

Er hatte den Freund anrufen können } გობრისთვის დაერეკა.

Er wird den Freund anrufen können— იგი შეძლებს მეგობარს დაურეკოს.

Die Frau hat das nicht sagen dürfen } ქალს არ ჰქონდა ამის

Die Frau hatte das nicht sagen dürfen } თქმის უფლება.

Die Frau wird das nicht sagen dürfen— ქალს არ ექნება ამის თქმის უფლება.

შენიშვნა: მოდალური ზმნები Futurum II-ის ფორმებს არ აწარმოებენ.

მოდალური ზმნა ორი ინფინიტივთან ერთად და

Sie will den Freund nicht weggehen lassen.

მას არ უნდა მეგობრის გაშვება.

Sie wollte den Freund nicht weggehen lassen.

Sie hat den Freund nicht weggehen lassen wollen.

მას არ უნდოდა მეგობრის გაშვება

Sie wird den Freund nicht weggehen lassen wollen.

ის არ მოინდომებს მეგობრის გაშვებას (რომ მეგობარი წავიდეს).

უკუქცევითი ზმნები

(Reflexive Verben)

გერმანულ ენაში უკუქცევითი ზმნები გამოხატავენ ისეთ მოქმედებას ან მღვმარეობას, რომელიც თითქოსდა უკან უბრუნდება მოქმედ პირს და უკუქცევითი ნაცვალსახელის მეშვეობით მისი იდენტური ხდება. ქართულში ასეთი ზმნები ნაწილობრივ შევ-

საბამება სათავისო ქცევის შინაარსს; მაგ., ვიბან, ვივარცხნი, ვიცხამდას სხვ.

უკუქცევითი ზმნა ხასიათდება:

1. **sich** ნაცვალსახელით, რომელიც მუდამ თან ახლავს ზმნას და იხმარება მხოლოდ მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის III პირში.

ზმნის დანარჩენ პირებში ანუ მხოლ. და მრავლ. რიცხვის I და II პირში **sich** უკუქცევით ნაცვალსახელს ცვლის პირის ნაცვალსახელის Akkusativ-ი. შესაბამისად გვაქვს უკუქცევითი ნაცვალსახელის შემდეგი ფორმები:

Singular

Plural

ich – mich	wir - uns
du – dichw. anseh-	ihr - euch
er	sie
sie	Sie
es	sich

როგორც ვხედავთ, მხოლობით და მრავლობით რიცხვში I და II პირის უკუქცევითი ნაცვალსახელის ფორმები ემთხვევა პირის ნაცვალსახელის ფორმებს Akkusativ-ში. მათი ერთმანეთისაგან გასარჩევად საჭიროა მოვძებნოთ წინადაღებაში ქვემდებარე. თუ ზმნის მოქმედება ქვემდებარიდან სხვა პირზე გადადის, საქმე გვაქვს პირის ნაცვალსახელის Akkusativ-თან პირდაპირი დამატების ფუნქციით. თუ ქვემდებარე და ნაცვალსახელი ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ პირის ნაცვალსახელი უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქციას იძენს. იგი ზმნის შემადგენელი ნაწილია და მოქმედება თავად ქვემდებარეს უბრუნდება უკან. მაგ.,

Ich kämme **dich** გვარცხნი

Ich kämme **mich** ვივარცხნი

2. ზმნების ერთი ჯგუფი მჭიდროდ არის დაკავშირებული უკუქცევით ნაცვალსახელთან Akkusativ-ში; მაგ.,

sich beeilen – აჩქარება (ვჩქარობ)

sich entschuldigen – ბოდიშის მოხდა

sich erkälten – გაციება (ცცივდები)
sich befinden – იმყოფება, მდებარეობს (არის)
sich wundern – გაოცება (გავოცდები)

3. ზოგიერთი ზმნა იხმარება რეფლექსურ ნაცვალსახელთან ერთად, ხოლო მის გარეშე თავისუფალ Akkusativ-თან ერთად მნიშვნელობას იცლის.

sich ändern – შეცვლა (იცვლება)

Er ändert sich wirklich.

ის მართლაც იცვლება

ändern – შეცვლა (ცვლის)

Er ändert seine Pläne.

ის თავის გეგმებს ცვლის

sich aufregen – აღელვება (ლელავს)

Warum regst du dich auf?

რატომ ლელავ?

aufregen – აღელვება (აღელვებს)

Deine Worte regen das Mädchen auf.

შენი სიტყვები გოგონას აღელვებენ.

4. თუ უკუქცევით ზმნასთან გვაძეს კიდევ Akkusativ-ის ფორმა პირდაპირი დამატების სახით, მაშინ გამოდის, რომ ორი Akkusativ-ი ხვდება ერთმანეთს. ამიტომაც მს. და მრ. რიცხვის I და II პირში უკუქცევითი ნაცვალსახელის Akkusativ-ის ფორმა ითხოვს Dativ-ის ფორმას. ეს განსხვავება სტრუქტურულად ჩანს მხოლოდ მხოლობითი რიცხვის I და II პირში; მრავლობით რიცხვში ეს განსხვავება იგულისხმება, რადგან ამ შემთხვევაში პირის ნაცვალსახელები Akkusativ-ში ემთხვევა Dativ-ის ფორმებს.

ამრიგად, უკუქცევითი ნაცვალსახელები ზმნასთან შემდეგი ფორმით გვხვდება:

ich – mir + Akk
du – dir + Akk

wir – uns + Akk
ihr – euch + Akk



sie	sich + Akk
Sie	sich + Akk
მაგალითად:	
sich (D) die Hände waschen (ხელის) დაბანა (ხელს იბანს)	
sich (D) den Bart rasieren წვერის მოპარსვა (წვერს მოიპარსავს)	
sich (D) das Haar kämmen (თმის) დავარცხნა (თმას ივარცხნის)	
ასეთივე ზმნებია:	
sich (D) etw. anhören—მოსმენა (რამის)	
sich (D) etw. ansehen—ნახვა, დათვალიერება (რამის)	
sich (D) etw. vorstellen —წარმოდგენა (რამის)	
sich (D) etw. notieren—ჩანიშვნა (რამის)	
sich (D) etw. merken—დამახსოვრება (რამის)	
sich (D) etw. kaufen—ყიდვა (თავისოთვის რამის)	
sich (D) etw. bestellen—შეკვეთა (თავისოთვის რამის)	
sich (D) etw. leisten —უფლების მიცემა (თავისოთვის რამის)	
5. sich უკუჭცევითი ნაცვალსახელი მიუთითებს აგრეთვე ისეთ მოქმედებაზე, რომელიც შინაარსობრივად ერთზე შეტყი პირს გულისხმობს. ასეთ ზმნებს მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმები გააჩნია და ქართულად ითარგმნება სიტყვით: ერთმანეთი, ერთმანეთმა, ერთმანეთს და ა.შ.,	
მაგალითად:	
sich schlagen—ერთმანეთის ცემა	
sich zanken—ერთმანეთთან ჩხუბი	
sich hassen—ერთმანეთის სიძულვილი	
sich lieben—ერთმანეთის სიყვარული.	
6. როგორც ზევით ოღვნიშნეთ, უკუჭცევითი ზმნები რთულ წარსულ დროებს: Perfekt-ს და Plusquamperfekt-ს აწარმოებენ	

დამხმარე ზმნა haben-ის საშუალებით, მიუხედავად დამზღვების
ლექსიკური მნიშვნელობისა;

7. უკუქცევითი ზმნების ძირითადი ფორმების წარმოებისას
sich ნაცვალსახელი Infinitiv-ში დგას ზმნის წინ, Präteritum-ში –
ზმნის შემდეგ, Partizip II-ში ისევ ზმნის წინ.

მაგალითად:

sich waschen, wusch sich, sich gewaschen (haben) – დაბანა,
(ვიბან)

sich setzen, setzte sich, sich gesetzt (haben) – დაჭდობა
(ვჯდები)

sich legen, legte sich, sich gelegt (haben) – დაწოლა (ვწვები)

sich erholen, erholte sich, sich erholt (haben) – დასვენება (ვის-
ვენები)

sich interessieren, interessierte sich, sich interessiert (haben) –
დაინტერესება (მაინტერესებს)

sich anziehen, zog sich an, sich angezogen (haben) – ჩაკმა-
(ვიკვამ)

sich erinnern, erinnerte sich, sich erinnert (haben) – გახსენება
(ვიხსენებ)

sich vorbereiten, bereitete sich vor, sich vorbereitet (haben) –
მომზადება (ვემზადები)

sich fürchten, fürchtete sich, sich gefürchtet (haben) – შიში
(მეშინია)

1. უკუქცევითი ზმნის უღლება

sich waschen, wusch sich, sich gewaschen (haben)

Präsens

ich wasche mich

wir waschen uns

du wäschst dich

ihr wascht euch

er} wäscht sich

sie} Sie} waschen sich

es}

Präteritum

ich wusch mich	wir wuschen uns
du wuschst dich	ihr wuscht euch
er} sie} es} wusch sich	sie} Sie} wuschen sich

Perfekt

ich habe mich gewaschen	wir haben uns gewaschen
du hast dich gewaschen	ihr habt euch gewaschen
er} sie} es} hat sich gewaschen	sie} Sie} haben sich gewaschen

Plusquamperfekt

ich hatte mich gewaschen	wir hatten uns gewaschen
du hattest dich gewaschen	ihr hattet euch gewaschen
er} sie} es} hatte sich gewaschen	sie} Sie} hatten sich gewaschen

Futurum I

ich werde mich waschen	wir werden uns waschen
du wirst dich waschen	ihr werdet euch waschen
er} sie} es} wird sich waschen	sie} werden sich waschen
	Sie}

Futurum II

ich werde mich gewaschen haben	wir werden uns gewaschen haben
du wirst dich gewaschen haben	ihr werdet euch gewaschen haben
er} sie} es} wird sich gewaschen haben	sie} werden sich gewaschen haben
	Sie}

sich anziehen, zog sich an, sich angezogen (haben)

Präsens

ich ziehe mich an	wir ziehen uns an
du ziehst dich an	ihr zieht euch an



er} zieht sich an
sie} zieht sich an
es}

sie} ziehen sich an
Sie}

Präteritum

ich zog mich an
du zogst dich an
er} zog sich an
sie} zog sich an
es}

wir zogen uns an
ihr zogt euch an
sie} zogen sich an
Sie}

Perfekt

ich habe mich angezogen
du hast dich angezogen
er} hat sich angezogen
sie} hat sich angezogen
es}

wir haben uns angezogen
ihr habt euch angezogen
sie} haben sich angezogen
Sie}

Plusquamperfekt

ich hatte mich angezogen
du hattest dich angezogen
er} hatte sich angezogen
sie} hatte sich angezogen
es}

wir hatten uns angezogen
ihr hattet euch angezogen
sie} hatten sich angezogen
Sie}

Futurum I

ich werde mich anziehen
du wirst dich anziehen
er} wird sich anziehen
sie} wird sich anziehen
es}

wir werden uns anziehen
ihr werdet euch anziehen
sie} werden sich anziehen
Sie}

Futurum II

ich werde mich angezogen haben
du wirst dich angezogen haben
er} wird sich angezogen haben
sie} wird sich angezogen haben
es}

wir werden uns angezogen haben
ihr werdet euch angezogen haben
sie} werden sich angezogen haben
Sie}

2. sich (D) + Akkusativ-იანი უკუქცევითი ზმნის უღლება
sich die Hände waschen

Präsens

ich wasche mir die Hände
du wäschst dir die Hände
er }
sie } wäscht sich die Hände
es }

wir waschen uns die Hände
ihr wascht euch die Hände
sie } waschen sich die Hände
Sie }

3. **sich-** უკუქცევითი ნაცვალსახელიანი ზმნის უღლება,
რომელიც ერთხე მეტ პირს გულისხმობს და მხოლოდ
მრავლობითი რიცხვი გააჩნია. მაგ., **sich lieben.**

Plural

wir lieben uns
ihr liebt euch
sie }
Sie } lieben sich

ზმნების მართვა (Rektion der Verben)

ზმნების მართვა გულისხმობს განსაზღვრული ზმნისთვის
აუცილებელი ბრუნვის შერჩევას, რომელსაც ეს ზმნა შეითავსებს
არსებით სახელთან ან ნაცვალსახელთან ერთად. სამწუხაროდ,
გერმანულ ენაში არ არსებობს ზოგადი წესი, რომლის მიხედვითაც
შეიძლება ამოგვეცნო, რომელი ზმნა რომელ ბრუნვას ან წი-
ნდებულს მოითხოვს.

ხშირ შემთხვევაში საქმეს ის ფაქტიც ართულებს, რომ გერმა-
ნული და ქართული ზმნები თარგმნისას მართვის საკითხში ერთ-
მანეთს არ ემთხვევა. ეს განსაკუთრებით ეხება წინდებულით მართ-
ულ ზმნებს, რომელთა საგანგებოდ დასწავლა აუცილებელია. გერ-
მანული არსებითი სახელის 4 ბრუნვიდან Nominativ-ის ბრუნვა
ქვემდებარის როლში ყველა ზმნის შემაღენელი ნაწილია. დანარ-

ჩენი ბრუნვებიდან ზმნა შეიძლება მართავდეს: წმინდა Akkusativ-ს ან Dativ-ს, წინდებულიან Akkusativ-ს ან Dativ-ს; Genetiv-ით მართული ზმნები იშვიათად, თუმცა მაინც, გვხვდება.

1. ზმნები Akkusativ-ით N+Akk

1. გერმანულ ზმნათა უმრავლესობა მართვისას წმინდა Akkusativ-ს მოითხოვს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ასეთი ზმნა გარღამავალია. მაგ..

Er liest **ein Buch**.

Mein Freund pflanzt **einen Baum**.

Wir sehen **eine Schule**.

Der Professor lobt **den Studenten**.

2. Akkusativ-ს მოითხოვს მოუცილებადთაგსართიანი ზმნების უმრავლესობა, განსაკუთრებით be-, ver-, zer-. პრეფიქსიანი ზმნები. მაგ..

Ich besuche **den Freund**.

Das Kind verlässt **das Zimmer**.

Der Wind zerbricht **das Fenster**.

3. Akkusativ-ი განუსაზღვრელი არტიკლით დგას გამოთქმაში: es gibt- არის, არსებობს; მაგ..

Hier gibt es **einen Klub**.

4. Akkusativ-ს მოითხოვს ზმნა haben დამოუკიდებელი მნიშვნელობით.

Wir haben einen **Garten**.

2. ზმნები Dativ-ით N+D

1. ზმნები, რომლებიც გერმანულ ენაში Dativ-ის ბრუნვას მოითხოვენ, ხშირად გამოხატავენ პირადულ მიმართებას სულიერ საგანთან და მასთან მოქმედი პირის კავშირზე მიგვანიშნებენ. ასეთი ზმნების რიცხვი გერმანულ ენაში შედარებით მცირეა. Dativ-თან ყველაზე ხშირად ხმარებული ზმნებია:

ähneln, te, t- ჰგავს, მსგავსია (h)

Das Mädchen ähnelt **der Mutter**.
antworten, te, t- პასუხი (პასუხობს) (h)

Er antwortet **dem Lehrer** schnell.
begegnen, te, t-შეხვედრა (ჩვლება) (s)

Sie begegnet **dem Freund**.
danken, te, t-მაღლობის გადახდა (h)

Ich danke **der Schwester**
folgen, te, t-მიყოლა (მიყვება, მისდევს) (s)

Der Jäger folgt **dem Wolf**.
gefallen, ie, a-მოწონება (მოსწონს) (h)

Der Roman gefällt **dem Schüler**
glauben, te, t-სჭრა, სწამს (h)

Du kannst **dem Mann** glauben
gratulieren, te, t-მილოცვა (h)

Ich gratuliere **dem Freund** zum Geburtstag
helfen, a, o-შველა, დახმარება (h)

Der Vater hilft **dem Sohn**
raten, ie, a-რჩევა (ურჩევს) (h)

Der Freund rät **dem Mädchen** dieses Buch
zuhören, te, t-მოსმენა (უსმენს) (h)

Die Schüler hören **dem Lehrer** zu

3. ზმები Dativ-ით და Akkusativ-ით N+D+Akk

ამ ზმებთან Dativ-ში უმთავრესად სულიერი საგანი დგას, ხოლო Akkusativ-ში შეიძლება იყოს როგორც სულიერი, ისე უსულო საგანი. Dativ-Akkusativ-თან ყველაზე ხმარებული ზმეებია:

beantworten, te, t-პასუხი (h)

Er beantwortet **dem Lehrer die Frage**.

borgen, te, t-თხოვება (ათხოვებს) (h)

Sie borgt **dem Freund das Buch**.

bringen, brachte, gebracht-მოტანა, წალება (h)

Der Fruend bringt **dem Bruder das Buch**.

empfehlen, a, o—რჩევა, რეკომენდაციის გაწევა (h)

Wir empfehlen **dem Gast dieses Hotel**.

erlauben, te, t—ნების დართვა, უფლების გიცემა (h)

Er erlaubt **den Gästen das Rauchen** im Zimmer.

erzählen, te, t—თხოვბა (მოუთხოვბა) მოყვა (ყველა) (h)

Die Oma erzählt **dem Enkel ein Märchen**.

geben, a, e—მიცემა (აძლევს) (h)

Wir geben **dem Kind einen Apfel**

leihen, ie, ie—თხოვება (ათხოვებს) (h)

Er hat **dem Freund seine Kassette** geliehen.

sagen, te, t—მება (ამბობს) (h)

Er sagte **dem Onkel seine Meinung**.

schenken, te, t—ჩუქება (აჩუქებს) (h)

Die Eltern schenken **dem Kind einen Tannenbaum**.

schreiben, ie, ie—მიწერა (მისწერს) (h)

Er hat **dem Chef einen Brief** geschrieben.

stehlen, a, o—მოპარვა (მოპარავს) (h)

Der Dieb hat **dem Bauern ein Schaf** gestohlen.

4. ზმები ორი Akkusativ-ით N+Akk+Akk

გერმანულ ენში ზმების მცირერიცხოვნი ჯგუფი მოითხოვ

ორ არსებით სახელს ან ნაცვალსახელს Akkusativ-ში. მაგ.,

kosten, te, t—დაჭლომა (უჭდება რაღაცად) უღირს (h)

Das Essen kostet **den Freund 30 Euro**.

lehren, te, t—სწავლება (ასწავლის) (h)

Er lehrt **den Schüler das Lesen**.

nennen, nannte, genannt—წოდება (უწოდებს) (h)

Der Polizist nannte **den Reisenden einen Dieb** – პოლიციელი

მა მოგზაურს ქურდი უწოდა

schelten, a, o—ლანძლვა (ლანძლავს) (h)

Sie schelten **den Jungen einen Dummkopf** – ბინა ბიჭი

ლანძლავნ და სულელს უწოდებენ

schimpfen, te, t—ლანძლვა (ლანძლავს) (h)

Warum schimpfst du den Mann einen Feigling? – რატომ
ლანძლავ ამ კაცს და უწოდებ ლაჩარს?

5. ზმები Akkusativ-ით შეართებებში
გერმანულ ენაში ხშირად გამოიყენება მყარი სიტყვათ შეერთებები, რომლებშიც ზმები Akkusativ-თან ერთად გამოხატავენ ერთიან მნიშვნელობას. ასეთ ზმებს ფუნქციურ ზმებს უწოდებენ.
მაგ.,

ein Urteil fällen – განაჩენის გამოტანა

j-m (eine) Antwort geben – ვინმესთვის პასუხის გაცემა

j-m die Garantie geben – ვინმესთვის გარანტიის მიცემა

j-m eine Ohrfeige geben – ვინმესთვის სილის გაწვნა

Sport treiben – სპორტს მისდევს

ein Blutbad anrichten – სისხლიანი აბანოს მოწყობა (ხოცვა-ჭლეტვის მოწყობა)

einen Mord verüben – მკვლელობის ჩაღენა

ein Verbrechen verüben – ბოროტმოქმედების ჩაღენა

6. ზმები Akkusativ-ით და Genitiv-ით N+Akk+GEN

ზმები ამგვარი მართვით იხმარება უმთავრესად იურისპრუდენციასა და სამართალში. მაგ.,

anklagen, te, t – ბრალდება, დადანაშაულება (h)

Man klagt ihn des Meineids an – მას ცრუ ფიცის დადებაში სდებენ ბრალს

bezichtigen, te, t – მხილება (ამხელს) (h)

Der Nachbar bezichtigte seinen Freund der Unehrlichkeit –
მეზობელმა თავისი მეგობარი უპატიოსნო საქციელში ამხილა.

überführen, te, t – ფაქტზე დაჭერა, გამოჭერა.

Die Polizei überführte den Autofahrer der Trunkenheit am Steuer – პოლიციამ მძღოლი საჭესთან მთვრალი გამოიჭირა

Antwort: Ja, ich denke immer (der-wissen) A de zero-vits(I) და

7. ზმნები Genitiv-ით N+GEN

ზმნები ამგვარი მართვით გერმანულ ენაში ძალზე მცირებოდებოდანია. მაგ.,

bedürfen, bedurfte, bedurft — საჭიროება (სჭირდება) (h)

Der Krankenbesuch bedurfte **der Genehmigung** des Chefarztes — ავალმყოფის ნახვას მთავარი ექიმის თანხმობა სჭირდებოდა
sich erinnern, te, t — მოგონება, გახსენება.

Er erinnert sich oft **seiner Kindheit** — ის ხშირად იხსენებს თავის ბავშვობას.

sich schämen, te, t — სირცხვილი (სცხვენოდა) (h)

Er schämt sich **seines Benehmens** — მას სცხვენია თავისი საქციელის.

8. ზმნები ორი Nominativ-ით N+N

ასეთი ზმნების რიცხვი გერმანულ ენაში მეტად მცირეა. ისინი წინადაღებაში გამოდიან მარტივის როლში და მოითხოვენ არსებით სახელს ან ნაცვალსახელს Nominativ-ში. ამ სახელებს პრედიკატული Nominativ-ი ეწოდებათ.

ეს ზმნებია:

sein, werden, bleiben, heißen, scheinen (იხ. სინტაქსი, სახელ-ადი შემასმენელი).

Die Biene ist ein Insekt ფუტკარი მწერია.

Mein Sohn wird ein Arzt. ჩემი ვაჟი ექიმი იქნება.

Er bleibt immer ein guter Mensch. ის ყოველთვის კეთილ აღამიანდ რჩება.

Er heißt ein glücklicher Mann მას ბეღნიერი აღამიანი ჰქვია.

Der Junge scheint ein Betrüger zu sein. ბიჭი მატყუარა ჩანს.

9. ზმნები წინდებულიანი დამატებით

(Verben mit präpositionalem Objekt)

გერმანულ ენაში ზმნების უმრავლესობა დაკავშირებულია რომელიმე წინდებულთან და, შესაბამისად, რომელიმე ბრუნვასთან (Dativ-თან ან Akkusativ-თან).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამწუხაროდ, არ არსებობს წე-
სები, რომლებიც მიგვითითებულენ ზმების მიერ სახელის მართვის
კანონზომიერებებზე. ამიტომ ზმნა, წინდებული, ბრუნვა და მათი
მნიშვნელობა საგანგებოდ უნდა დავიმახსოვროთ. ზმნების მართვა-
სთან დაკავშირებით, არსებობს რამდენიმე ზოგადი წესი, რომელ-
თა დამახსოვრება ასევე აუცილებელია:

1. წინდებულიანი დამატება დაკავშირებულია ზმნასთან.

Die Krankenschwester sorgt für den Kranken.

2. წინდებულიანი დამატება ხშირად დაკავშირებულია უკუ-
კევით ზმნასთან:

Er bedankt sich gern bei seinem Freund für die Hilfe.

3. ზოგიერთი ზმნა წინდებულიანი დამატებით მოითხოვს
ასევე სხვა აუცილებელ ობიექტს წმინდა Dativ-ში ან Akkusativ-ში,
რომელიც დგას წინდებულიანი დამატების წინ.

Der Junge dankt dem Bruder für seine Hilfe.

4. წინდებულებით მართულ ზმნებს კითხვითი სიტყვა დაგ-
მით იძის მიხედვით, სულიერია საგანი თუ უსულო.

a) სულიერი საგნების აღნიშვნის დროს წინდებული დგას
კითხვითი სიტყვის წინ. მაგ.,
bei wem? an wen? mit wem? für wen? და ა.შ.

ბ) უსულო საგნების აღნიშვნის დროს გამოიყენება კითხვითი
ნაცვალსახელური ზმნიზედები. მაგ., wofür? wonach? womit?
worauf? და სხვ.

შესაბამისად, მათ საპასუხოდ ვიყენებთ ჩვენებით ნაცვალსახე-
ლურ ზმნიზედებს:

damit, dafür, daran, darauf, dabei და სხვ. მაგ.,

Er denkt an seine Freundin

Frage: An wen denkt er? (-Person)

Er denkt an seine Arbeit

Frage: Woran denkt er? (-Sache)

Denkst du an deine Freundin?

Antwort: Ja, ich denke immer an sie.

Denkst du an deine Arbeit?

Antwort: Ja, ich denke immer daran.

წინდებულებთან დაკავშირებული,

ყველაზე გავრცელებული ზონების ნუსხა

(Die Liste der gebräuchlichsten Verben mit Präpositionen)

1. abhängen von + D – დამოკიდებულია (ვინძეზე, რამეზე)
2. achten auf + A – ყურადღების მიქცევა (ვინმესთვის, რამესთვის)
3. anfangen mit + D – დაწყება (რამის)
4. sich ärgern über + A – გაბრაზება (ვინძეზე, რამეზე)
5. beginnen mit + D – დაწყება (რამის)
6. sich beklagen bei + D über + A – ჩივილი (ვინმესთან, ვინძეზე, რამეზე)
7. bitten A + um A – თხოვნა (ვინმეს, რამის)
8. danken D + für A – მადლობის გადახდა (ვინმესთვის, რამისთვის)
9. denken an + A – ფიქრი (ვინძეზე, რამეზე)
10. sich entschuldigen bei + D für + A – ბოდიშის მოხდა (ვინმესთვის, რამისთვის)
11. sich erinnern an + A – გახსენება (ვინმესი, რამესი)
12. fragen A + nach D – შეკითხვა (ვინმეს, რამეს)
13. sich freuen 1. auf + A აწმუნ – (მომავალი) გახარება (უხარის რამე). 2. über + A – (წარსული) – (უხარის რამე)
14. sich fürchten vor + D – შიში (ეშინია, ვინმესი, რამის)
15. sich gewöhnen an + A – შეჩვევა (ვინმესი, რამის).
16. glauben an + A – რწმენა (სწამს, ვინმესი, რამის)
17. es handelt sich um + A – საქმე ეხება (ვინმეს, რამეს)
18. hoffen auf + A – იმედოვნება (იმედოვნებს რამეს, იმედი აქვთ ვინმესი)
19. sich interessieren für + A – დაინტერესება (ვინმეთი, რამით)
20. kämpfen mit + D ბრძოლა (ვინმესთან ერთად)
für + A – ბრძოლა (ვინმესთვის, რამისთვის)
- gegen für + A – ბრძოლა (ვინმეს, რამის წინააღმდეგ)
21. teilnehmen an + D – მონაწილეობა (რამეში)
22. nachdenken über + A – ფიქრი, დაფიქრება (ვინძეზე, რამეზე)

23. sich rächen an + D + für + A – შურისძება (ვინმეზე, ვილაცის ან რაღაცის გამო)
24. sich sehnen nach + D – მონატრება (ვინმესი, რამის)
25. sorgen für + A – ზრუნვა (ვინმეზე, რამეზე)
26. staunen über + A – გაკვირვება (ვილაცით, რაღაცით)
27. sterben an + D – სიკვდილი (კვდება რაღაცით)
28. sich unterhalten mit + D über + A – საუბარი (ვილაცასთან, ვილაცაზე, რაღაცაზე)
29. sich vorbereiten auf + A – მომზადება (რაღაცისთვის)
30. warten auf + A – ცდა, ლოდინი (ვინმესი, რამის).

კაუზატიური ზმნები (Kausative Verben)

გერმანულ ენაში არსებობს ზმნების ერთი ჯგუფი, რომელშიც ეს ზმნები შეიძლება გავაერთიანოთ მიზეზ-შედეგობრივი კავშირით. მათგან ნაწილი გამოხატავს მოქმედების მიზეზს, ხოლო ნაწილი – ამ მოქმედების შედეგს. ამის მიხედვით კაუზატიური ზმნები ორ ძირითად ჯგუფად უნდა დაყყოთ. ეს ზმნები ყდერადობით წააგავს ერთმანეთს, რის გამოც ხშირია შეცდომები მათი ხმარების დროს, რადგან წინადადებაში ისინი სხვადასხვა მნიშვნელობას ავლენენ.

I. პირველი ძირითადი ჯგუფის კაუზატიური ზმნები შესაძლოა დაყყოთ სამ ჯგუფად:

1. მიზეზობრივი ზმნები, რომლებიც სამვალენტოვანი არიან, რაც იმას ნიშნავს, რომ მოითხოვენ წინადადებაში სამ აუცილებელ აღგილს. ზმნების ეს ჯგუფი სუსტია და გარდამავალი. ესენია:

- a) stellen, te, t, –დადგმა, დაყენება
 - b) legen, te, t, – დადება, დაწვენა
 - c) setzen, te, t – დადება, დასმა
 - d) hängen, te, t, – დაკიდება
 - e) stecken, te, t, – ჩადება, ჩატენა, ჩაღვმა
- Nominativ + Akkusativ/+ წინდებულიანი Akk /
wer? wen? was? wohin? მაგ.,**

- a) Das Mädchen stellt den Stuhl an den Tisch.
 b) Der Junge legt die Gabel vor den Teller.
 c) Die Mutter setzt das Kind auf den Stuhl.
 d) Der Vater hängt das Bild an die Wand.
 e) Er steckt den Brief in die Tasche.

2. აღნიშნული მიზეზობრივი სუსტი ზმნებიდან იწარმოება უკუქცევითი ზმნები. ამ დროს გარდამავალი ზმნის Akkusativ-ს ჩაენაცვლება უკუქცევითი ნაცვალსახელი „sich“; შედეგად მივიღებთ შემდეგ უკუქცევით ზმნებს:

- a) sich stellen, te, t – დაღგომა (დგება საღმე)
 b) sich legen, te, t, – დაწოლა (წვება)
 c) sich setzen, te, t – დაჭრომა (ჭდება)
 d) sich hängen, te, t – დაკიდება (კიდება)

შენიშვნა: ამ ჯგუფში გამონაკლისს შეადგენს ზმნა სტეკენ, რომელიც უკუქცევით ზმნად გადაქცევის შემთხვევაში, იცვლის თავის მნიშვნელობას.

sich stecken, te, t

Er steckt sich hinter seinen Vater.

ის მამამისის ზურგს ეფარება.

Nominativ / + sich + წინდებულიანი Akkusativ / wer? /was? wohin? მაგ.,

- a) Das Mädchen stellt sich an den Tisch.
 b) Der Junge legt sich auf das Bett.
 c) Er setzt sich auf den Stuhl.
 d) Das Kind hängt sich an den Zweig.

3. შედეგობრივი ზმნები წარმოაღვენენ ორვალენტოვან ზმნებს,
 ე. წინადაღებაში ისინი მოითხოვენ ორ აუცილებელ აღვილს და
 გამოხატავენ მოქმედების შედეგს. ამასთან, განეკუთვნებიან ძლიერ
 და გარდაუვალ ზმნათა ჯგუფს. ეს ზმნებია:

- a) liegen, lag, gelegen – წოლა (წევს), დება (დევს)
 b) stehen, stand, gestanden – დგომა (დგას)
 c) sitzen, sass, gesessen – ჭდომა (ჭის)



- d) hängen, hing, gehangen – ჰენდია
 e) stecken, stak, gesteckt – არის, მოთავსებულია, დგვს

Nominativ / + წინდებულიანი Dativ-ი /

wer?/ was? wo? მაგ.,

- Das Kind liegt auf dem Bett.
- Der Stuhl steht an dem Tisch.
- Der Junge sitzt auf dem Stuhl.
- Das Bild hängt an der Wand.
- Der Brief steckt in der Tasche.

კაუზატიური ზმნების სამივე ჯგუფი რთულ წარსულ დროებს:
 Perfekt-სა და Plusquamperfekt-ს, აწარმოებს დამხმარე ზმნის
 haben -ის მეშვეობით,

1. ჯგუფი – გარდამავლობის პრინციპით;
2. ჯგუფი – უკუქუცევითობის პრინციპით;
3. ჯგუფი – გამონაკლისი ზმნების პრინციპით (იხ. Perfekt-ის წარმოება)

II. ამ ჯგუფის ზმნები ყდერადობით ასევე გვანან ერთ-
 მანეთს, მაგრამ თავიანთი სტრუქტურითა და მნიშვნელობით
 განსხვავდებიან. ესენია:

1. მიზეზობრივი ზმნები, რომლებიც ორგალენტოვანი არიან,
 რაც იმას ნიშნავს, რომ წინადაღებაში მოითხოვენ ორ აუცილებელ
 აღილს. ზმნების ეს ჯგუფი სუსტი და გარდამავალია, ე.ი. რთულ
 წარსულ დროებს აწარმოებს დამხმარე ზმნა *haben*-ით. მაგ.,

- a) erschrecken, te, t – შეშინება (აშინებს)
- b) löschen, te, t – ჩაქრობა (აქრობს)
- c) senken, te, t – დაწევა (დაბლა), დაკლება (დაუკლებს)
- d) sprengen, te, t – აფეთქება (ააფეთქებს)
- e) versenken, te, t – ჩაძირვა (ჩაძირავს)
- f) verschwenden, te, t – გაფლანგვა, განიავება

- a) Der Hund hat das Kind erschreckt.
- b) Die Männer haben das Feuer gelöscht.



- c) Der Händler hat die Preise gesenkt.
- d) Der Feind hat die Brücke gesprengt.
- e) Der Kapitän hat das Schiff versenkt.
- f) Der Junge hat das Geld verschwendet.

2. შედეგობრივი ზმნები, რომლებიც უმთავრესად ერთვა-
ლენტოვანი არიან, შესაძლოა ზმნის მართვიდან გამომდინარე,
კიდევ მოითხოვდეს ერთ ადგილს. ზმნების ეს ჯგუფი ძლიერი და
გარდაუვალია და რთულ წარსულ დროებს აწარმოებს დამხმარე
ზმნა sein-ით, მაგ.,

Präsens

a) erschrecken, (erschrickt), erschrak, erschrocken (sein) – შიში, ეშინა

Präsens

b) erlöschen (erlischt), erlosch, erloschen (sein) – ჩაქრობა (ქრება)
c) sinken, sank, gesunken (sein) – ჩამოწევა, დაკლება (იკლებს),
დაწევა (დაბლა იწევს)
d) springen, sprang, gesprungen (sein) – გატეხვა (ტყდება), გაწყ-
დობა (წყდება)
e) versinken, versank, versunken (sein) – ჩაძირვა (იძირება)
f) verschwinden, verschwand, verschwunden (sein) – გაუჩინარება,
გაქრობა.

a) Das Kind ist vor dem Hund erschrocken.

b) Das Feuer ist erloschen.

c) Die Preise sind gesunken.

d) Das Glas ist gesprungen.

e) Die Insel ist im Meer versunken.

f) Das Geld ist verschwunden.

ზრდანებითი კილო

(Der Imperativ)

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, გერმანულ ზმნას, სხვა გრამა-
ტიკულ კატეგორიებთან ერთად, ახასიათებს კილოს კატეგორიაც
(der Modus). გერმანულ ში არსებობს ზმნის სამი კილო. ესენია

თხრობითი (der Indikativ), ბრძანებითი (der Imperativ) და კუშირებითი (der Konjunktiv) კილო. აქამდე განხილული ზმნის ღროვები მოცემული იყო თხრობით კილოში ანუ Indikativ-ში.

ბრძანებითი კილო ანუ Imperativ-ი გამოხატავს ბრძანებას ან თხოვნას, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს:

1. ერთ პირზე: a) მხოლობითი რიცხვის მეორე პირი b) თავაზიანი ფორმა: Sie.

2. მრავალ პირზე: a) მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ფორმა: b) მრავლობითი რიცხვის თავაზიანი ფორმა: Sie.

3. მრავლობითი რიცხვის პირველ პირზე; ფორმა: wir

4. მოდალური ზმნის „wollen“-ის ფორმა – მრავლობითი რიცხვის პირველ პირზე: wir.

1. a) მხოლობითი რიცხვის მეორე პირი ბრძანებით კილოს აწარმოებს ინფინიტივის ნიშნის და du-ნაცვალსახელის გარეშე.

მხოლობითი რიცხვის მეორე პირში იმპერატივის ფორმას აღრე დაერთვოდა დაბოლოება e-; მაგ.,

Komm(e) bald! Lach(e) nicht! – მაგრამ ამჟამად – e დაბოლოება აღარ იხმარება. მაგ.,

fragen – frag! – პკითხე!

kommen – komm! – მოდი!

schreiben – schreib! – დაწერე!

შენიშვნა: დღესდღეობით e- დაბოლოება იხმარება იმ ზმნებთან, რომელთა ფუძეც ბოლოვდება – d-, -t-, -chn-, -dm-, -tm-, -gn-, -ffn და -ig-ზე;

-e დაბოლოება აუცილებელია აგრეთვე –er- და –el-ზე დაბოლოებული ზმნებისათვის.

leiden: leide nicht! – ნუ იტანჯები!

bitten: bitte ihn darum! – სიხოვე მას ეს!

arbeiten: arbeite gut! – კარგად იმუშავე!

öffnen: öffne das Fenster! – გააღე ფანჯარა!

entschuldige mich! – მაპატიე!

kichern: kich(e)re nicht! – ნუ ხითხითებ!

bummeln: bummle im Hof! – ისეირნე ეზოში!

b) ის ძლიერი ზმნები, რომელთაც ფუძისეულ ხმოვნად აქვთ ა, ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის მეორე პირში ინარჩუნებენ ა- ხმოვანს და არ იცვლიან მას ა-ზე. მაგ.,

laufen: lauf! – გაიქცი!

schlafen: schlaf! – იძინე!

schlagen: schlag das Kind nicht! ნუ სცემ ბავშვს!

c) ის ძლიერი ზმნები, რომელთაც ფუძისეულ ხმოვნად აქვთ e, ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის მეორე პირში იხმარებიან შეცვლილი ფუძისეული ხმოვნით (გრძელი ან მოკლე -i) დაბოლოების გარეშე:

du nimmst: nimm! – აიღე!

du gibst: gib! – მიეცი!

du liest: lies! – წაიკითხე!

du isst: iss! – ჭამე!

d) დამხმარე ანუ მეშველი ზმნები ბრძანებითი კილოს მხოლობითი რიცხვის II პირის ფორმას შემდეგნაირად აწარმოებენ:

haben: hab' keine Angst! – ნუ გეშინია! შიში ნუ გაქვს!

sein: sei ganz ruhig! – იყავი სრულიად მშვიდად!

werden: werde nicht böse! – ნუ გაბრაზდები!

2. მრავლობითი რიცხვის მეორე პირის ბრძანებითი კილო იწარმოება აწმყო დროის ფორმით პირის ნაცვალსახელის გარეშე.

ihr geht – geht! – წადით!

ihr schreibt – schreibt! – წერეთ!

ihr kommt – kemmt! – მოდით!

ihr arbeitet – arbeitet! – იმუშავეთ!

ihr lest – lest! – წაიკითხეთ!

3. ბრძანებითი კილოს თავაზიანი შიმართვა მხოლობით და მრავლობით რიცხვში ემთხვევა თხრობითი კილოს აწმყო დროის თავაზიან ფორმას პირის ნაცვალსახელის გადაადგილებით.

Sie fragen – fragen Sie! – შეეკითხეთ!

Sie kommen – kommen Sie! – მობრძანდით!

Sie essen – essen Sie! – მიირთვით!



4. ბრძანებითი კილოს „wollen“-იანი ფორმა აღარ გამოხატავს სურვილს და იძენს „მოწოდების“ მნიშვნელობას განსაზღვრული მოქმედების შესასრულებლად, მოწოდების ავტორის ჩათვლით. აღნიშნული კონსტრუქცია ქართულად ითარგმნება: „მოდი, რაღაც გავაკეთოთ!“ როგორც წესი, მოდალური ზმნა აქაც იხმარება აზრობრივი ზმნის ინფინიტივთან ერთად. მოდალური ზმნა პირველ ადგილზე დგას.

wollen wir gehen! – მოდი, წავიდეთ!

wollen wir schreiben! – მოდი, დავწეროთ!

wollen wir arbeiten! – მოდი, ვიმუშაოთ!

ამგვარი წინადადებები გამოითქმის შესაბამისი ინტონაციით.

5. მოცილებადთაგვსართიან ზმნებს Imperativ-ის ყველა ფორმაში თავსართი სცილდება და გადადის წინადადების ბოლოს.

aufstehen – ადგომა

a) stehe auf! – ადექტ!

b) steht auf! – ადექტ!

c) stehen Sie auf! – აბრძანდით (Sg, Pl)

d) stehen wir auf! – ავდგეთ!

e) wollen wir aufstehen! – მოდი, ავდგეთ!

6. უკუქცევითი ზმნები ბრძანებითი კილოს წარმოებისას საერთო წესებს ემორჩილებიან და, ამასთან, ყველა ფორმაში ინარჩუნებენ შესაბამის უკუქცევით ნაცვალსახელებს.

sich waschen – დაბანა (იბანს)

a) wasche dich! – დაიბანე!

b) wascht euch! – დაიბანეთ!

c) waschen Sie sich! – დაიბანეთ! (Sg,Pl)

d) waschen wir uns! – დავიბანოთ!

e) wollen wir uns waschen! მოდი, დავიბანოთ!

sich anziehen – ჩაცმა (იცვამს)

a) ziehe dich an! – ჩაიცვი!

b) zieht euch an! – ჩაიცვით!

c) ziehen Sie sich an! – ჩაიცვით! (Sg,Pl)

d) ziehen wir uns an! – ჩავიცვათ!

e) wollen wir uns anziehen! – მოდი ჩავიცვათ!

შენიშვნა: 1) მრავლობით რიცხვში რაიმე მოთხოვნის
წაყენების ან ბრძანების დროს იმპერატივის ფორმის ნაცვლად
გამოიყენება ინფინიტივის ფორმა.

a) Nicht aus dem Fenster **lehnen!**

ნუ გადაიხრებით ფანჯრიდან!

b) Nicht öffnen, bevor der Zug hält!

ნუ გააღებთ (კარს), ვიდრე მატარებელი არ გაჩერდება!

2) დაუყოვნებელი ბრძანების შესასრულებლად გამოიყენება

Partizip II – ის ფორმა

Aufgepasst! ყურადღება!

ზმის გვარი

(Das Genus des Verbs)

გერმანულ ენაში ზმის პირის, რიცხვის, დროის და კილოს
კატეგორიების გარდა აქვს გვარის კატეგორიაც.

გვარის კატეგორია არის ორი სახის; მოქმედებითი (das Aktiv)
და ვნებითი (das Passiv).

აქმდე განხილული დროის სისტემა განეკუთვნებოდა
მოქმედებით გვარს ანუ აქტივს, რომელიც მიგვითითებს, რომ მოქ-
მედება გამომდინარეობს რეალური და გრამატიკული ქვემ-
დებარიდან. მოქმედებითი გვარი გააჩნია ნებისმიერ ზმის, როგ-
ორც გარდამავალს, ისე გარდაუვალს, რომელშიც მოქმედების ან
მდგომარეობის აღმნიშვნელი ქვემდებარე არსებობს.

hr arbeitet – arbeitet! – (a) wasoñt ernt! – (b) wasoñt ernt! – (c) wasoñt ernt! – (d) wasoñt ernt!

hr lest – lest! – (a) wasoñt Sie sieht! – (b) wasoñt Sie sieht! – (c) wasoñt Sie sieht! – (d) wasoñt Sie sieht!

(Das Passiv)

მოქმედებითი გვარისგან განსხვავებით, ვნებითი გვარი გამო-
ხატავს მოქმედებას, რომელიც არ მომდინარეობს ქვემდებარისგან
და მოქმედი პირი მასში პასიურია. იგი გრამატიკულად გამოხა-
ტულია წინდებულიანი დამატებით ან საერთოდ არ ჩანს.

გერმანულ ზმის ახასიათებს ორი სახის პასივის ფორმა:

1) მოქმედების პასივი – das Vorgangspassiv



2) მდგომარეობის პასივი ანუ სტატიკური პასივი – das Zustandspassiv.

I. მოქმედების პასივი და მისი წარმოება

(Bildung des Vorgangspassivs)

მოქმედების პასივს უმთავრესად იწარმოებენ გარდამავალი ზმნები (ე. ზმნები, რომლებიც მოითხოვენ პირდაპირ დამატებას Akkusativ-ში).

როგორც აღვნიშნეთ, მოქმედების პასივს გააჩნია აქტივისთვის დამახასიათებელი ყველა დრო, ოღონდ მათი წარმოების წესი განსხვავებულია.

, Präsens Passiv- o იწარმოება დამხმარე ზმნის werden-ის Präsens-ითა და საუღლებელი ზმნის Partizip II-თი.

Präsens/ Passiv = werden + საუღლო. ზმნის
Präsens Partizip II

Der Junge wird gelobt.

ბიჭის აქებენ.

2) Präteritum Passiv- o იწარმოება დამხმარე ზმნის werden-ის Präteritum -ითა (wurde) და საუღლებელი ზმნის Partizip II-თი:

Präteritum / Passiv = werden (wurde) + საუღლო. ზმნის
Präteritum Partizip II

Der Junge wurde gelobt

ბიჭი შეაქეს.

3) Perfekt Passiv-ი იწარმოება დამხმარე ზმნის sein-ის Präsens-ით, საუღლებელი ზმნის Partizip II-თი და werden-ის Partizip II-ის ძველი ფორმით: „worden“

Perfekt / Passiv = sein + საუღლო. ზმნის + worden
Präsens Partizip II

Der Junge ist gelobt worden – ბიჭი შეაქვს.

4) Plusquamperfekt Passiv -ი იწარმოება დაშვილებული ზმნის Partizip II-თი და sein -ის Präteritum-ით, საუღლებელი ზმნის Partizip II-თი და werden-ის Partizip II-ის ძეგლი ფორმით „worden“

Plusquamperfekt/Passiv = sein / war + საული. ზმის + worden

Der Junge war gelobt worden

ბიჭი შეაქვს.

5) **Futurum I Passiv**- იწარმოება დამხმარე ზმნის **werden**-ის Präsens-ით, საუღლებელი ზმნის **Partizip II**-თი და **werden**-ის ინფინიტივით.

Der Junge wird gelobt werden.

ბიჭის შეაძებენ.

6) **Futurum II Passiv**-ი იწარმოება დამხმარე ზმნის **werden**-ის **Präsens**-ით, საუღლებელი ზმნის **Partizip II**-თი, დამხმარე ზმნის **werden**-ის **Partizip II**-ის ქველი ფორმით: **worden** და დამხმარე ზმნის **sein**-ის ინფინიტივით.

Futurum II / Passiv = werden + Präsens + PartizipII + worden + sein Infinitiv

Der Junge wird gelobt worden sein

ବୀଜିର ଶ୍ରୀହରାମ.

როგორც დავინახეთ, Passiv-ის დროთა წარმოებისას, საუღლებელი ზნეა ყოველთვის დგას Partizip-II-ის ფორმაში და მხოლოდ დამხმარე ზმნების მონაცვლეობა მიუთითებს დროის სხვადასხვა ფორმაზე.



მოქმედების პასივის სახეობები (Die Arten des Vorgangspassivs)

მოქმედების პასივს, როგორც აღვნიშნეთ, უმთავრესად აწარმოებენ გარდამავალი ზმნები, ე. ზმნები, რომელთაც გააჩნიათ პირდაპირი დამატება Akkusativ-ში. იგი აუცილებელი კომპონენტია ზმნის მოქმედების პასივის საწარმოებლად.

I. მოქმედებითი გვარის გარდამავალი ზმნის ტრანსფორმაცია ვნებით გვარად შემდეგნაირად ხდება. მაგ.,

schlagen, schlug, geschlagen

~~Der Vater schlägt den Jungen.~~

~~Der Junge wird von dem Vater geschlagen.~~

აქტიური გვარის პირდაპირი დამატება Passiv-ში გადაიქცევა ქვემდებარედ და Nominativ-ში დგას, ხოლო აქტიური გვარის ქვემდებარე გადაიქცევა წინდებულიან დამატებად. გერმანული ზმნა აწარმოებს: სამწევრა, ორწევრა და ერთწევრა ანუ უპირო Passiv-ის ფორმებს.

1) Passiv-ის ფორმა სამწევრაა, თუ მასში გარდამავალი ზმნა დგას Passiv-ის ნებისმიერ დროში, ქვემდებარე –Nominativ-ში და von ან durch წინდებულიანი დამატება, შესაბამისად Dativ-ში და Akkusativ-ში.

Der Sohn wird vom Vater gelobt.

ვაჟიშვილს მამა აქებს (ვაჟიშვილის შექება ხდება მამის მიერ)

Die Strasse wird durch den Regen überschwemmt.

ქუჩა იტბორება წვიმით (ქუჩის დატბორვა ხდება წვიმის საშუალებით).

შენიშვნა: von წინდებული გამოიყენება მოქმედი პირის აღსანიშნავად, ხოლო წინდებული **durch** აღნიშნავს რაიმე საშუალებას.

2) Passiv-ის ფორმა ორწევრაა, თუ მასში გარდამავალი ზრნა დგას Passiv-ის ნებისმიერ დროში, ხოლო ქვემდებარე **Nominativ**-ში. წინდებულიანი დამატება ამ სტრუქტურაში არ მონაწილეობს.

Der Sohn wird gelobt.

ვაუიშვილს აქებენ.

Die Strasse wird überschwemmt.

ქუჩა იტბორება.

აღნიშნული წევრები წარმოადგენენ სამი და ორწევრა Passiv-ის აუცილებელ შემადგენელ ნაწილებს.

შენიშვნა: არსებობს გარდამავალი ზმნების ერთი ჯგუფი, რომლებიც გამონაკლისის სახით არ აწარმოებენ Passiv-ის ფორმებს. ესენია:

haben, besitzen, enthalten, bekommen, gelten, umfassen, kennen, erfahren, kosten, interessieren და სხვ.

შენიშვნა: ვნებითი გვარის ფორმის ტრანსფორმაცია მოქმედებით გვარად შემდეგნაირად ხდება:

Der Sohn wird vom Vater gelobt.

Der Vater lobt den Sohn.

სამწევრა პასივის ქვემდებარე გადაიქცევა აქტიური გვარის პირდაპირ დამატებად Akkusativ-ში, ხოლო პასივის von წინდებულიანი დამატება – აქტიური გვარის ქვემდებარედ.

Der Sohn wird gelobt.

Man lobt den Sohn.

ორწევრა პასივს აკლია **von** და **durch** წინდებულიანი დამატება ანუ აქტიური გვარის ქვემდებარე, რომლის როლშიც გამოდის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **man**.

3) ერთწევრა ანუ უპირო პასივს აწარმოებენ როგორც გარდამავალი, ისე გარდაუვალი ზმნები. თუ წინადადება **es** უპირო ნაცვალსახელით იწყება, იგი ასრულებს ფორმალური ქვემდებარის როლს. თუ წინადადებაში პირველ ადგილზე დგას წინადადების რომელიმე წევრი, **es** უპირო ნაცვალსახელი აღარ იხმარება.

ერთშევრა პასივში არ ჩანს არც მოქმედების ობიექტი და არც მოქმედი პირი. აქ წინა პლანზე წამოწეულია პასივის ფორმით გადოւემული მოქმედება, რომელიც ქართულად მოქმედებითი გვარით ითარგმნება.

Es wird erzählt.

ყვებიან.

Es wurde im Saal getanzt.

Im Saal wurde getanzt.

დარბაზში ცეკვავდნენ.

II. მდგომარეობის პასივი ანუ **სტატივი**

(Das Zustandspassiv oder Stativ)

მდგომარეობის პასივი, მოქმედების პასივისაგან განსხვავებით გამოხატავს მოქმედი პირის ან საგნის მდგომარეობას.

მდგომარეობის Passiv-ი იწარმოება დამხმარე ზმნა „sein“-ით და საულლებელი ზმნის Partizip II – თი.

Zustandspassiv / Stativ/ = sein + Partizip II

პასივის ამ ფორმასაც მხოლოდ გარდამავალი ზმნები აწარმოებენ.

სტატივს აქვს ზმნის ყველა დრო.

მაგ..

Das Geschäft ist geöffnet. (Präsens)

მაღაზია ღიაა.

Das Geschäft war geöffnet. (Präteritum)

მაღაზია ღია იყო.

Das Geschäft ist geöffnet gewesen. (Perfekt)

მაღაზია ღია იყო.

Das Geschäft war geöffnet gewesen (Plusquamperfekt)

მაღაზია ღია იყო.

Das Geschäft wird geöffnet sein. (FuturumI) მაღაზია ღია იქნება.

შენიშვნა: მდგომარეობის Passiv-ში Futurum II-ის ფორმა არ იხმარება.

მდგომარეობის Passiv-ის ფორმები სინტაქსურად ასრულებენ
სახელადი შემასმენლის ფუნქციას და გამოიყენება ზმნა - sein - თან
(მაერთი) და ზედსართაულ Prädikativ-თან ერთად. მაგ.,

Der Mann ist begabt.

(-adjektivisches Prädikativ)

Der Brief ist geschrieben (Zustandspassiv)

ზმნის ინფინიტიური ფორმები

(Infinitive Verbformen)

Infinitiv-ი ანუ ზმნის განუსაზღვრელი ფორმა მოვიძესენიეთ
ზმნის ძირითადი ფორმების წარმოების დროს. ამჯერად,
განვიხილავთ გერმანულ ენაში არსებული ინფინიტივის ყველა
ფორმას. ესენია:

1. Infinitiv – ინფინიტივი

2. Partizip I – I მიმღეობა

3. Partizip II – II მიმღეობა

ინფინიტივი

(Der Infinitiv)

ზმნის ინფინიტიურ ფორმათაგან საკუთრივ ინფინიტივი
შემდეგი სახით გვხვდება:

1. Infinitiv I (Präsens) Aktiv

2. Infinitiv II (Perfekt) Aktiv

3. Infinitiv I (Präsens) Passiv

4. Infinitiv II (Perfekt) Passiv

1. Infinitiv I (Präsens) Aktiv-ი წარმოადგენს ზმნის პირველ

ძირითად ფორმას. მისი ნიშანია - en ან -n;

schlagen, kommen

zittern, kichern

lächeln, bügeln

აგრეთვე ზმნებთან: sein და tun

Infinitiv I Aktiv-ის ფორმა გააჩნია ყველა ზმნას.



2. Infinitiv II (Perfekt) Aktiv-o იწარმოება საუღლებელი ზმნის **Partizip II-თი** და იმ დამხმარე ზმნის ინფინიტივით, რომლითაც აღნიშნული ზმნა აწარმოებს რთულ წარსულ დროს - Perfekt-ს.

(აქედან: ამ ფორმის მეორე სახელწოდება Infinitiv Perfekt-o). მაგ.,

geantwortet haben

geschlagen haben

gekommen sein

eingeschlafen sein

Infinitiv II Aktiv-ის ფორმაც შესაბამისად გააჩნია ყველა ზმნას.

3. Infinitiv I (Präsens) Passiv-o იწარმოება საუღლებელი ზმნის **Partizip II-თი** და werden-ის ინფინიტივით. მაგ.,

geöffnet werden

geschlagen werden

Infinitiv I Passiv-ის ფორმა გააჩნიათ მხოლოდ გარდამავალ ზმნებს.

4. Infinitiv II (Perfekt) Passiv-o იწარმოება საუღლებელი ზმნის Partizip II-თი, დამხმარე ზმნის werden-ის Partizip II-ის ყველი ფორმით - **worden-oთ** და დამხმარე ზმნის sein-ის ინფინიტივით (ე.ი. Perfekt Passiv-ის მაწარმოებელი შემადგენელი ნაწილებით, აქედანაა ამ ფორმის მეორე სახელწოდება Infinitiv-Perfekt-o).


მაგ.,

geöffnet worden sein.

geschlagen worden sein.

ეს ფორმაც მხოლოდ პასივის მაწარმოებელი ზმნებს გააჩნიათ.

სკემატურად ინფინიტივის ფორმები შემდეგნაირად შეიძლება წარმოვადგინოთ.




მოდალური ზმნების ხმარება
ინფინიტივ I და II-თან ერთად


(Gebrauch der Modalverben mit dem Infinitiv I und II)

მოდალური ზმნების განხილვისას დავადგინეთ, რომ ისინი, როგორც წესი, იხმარებიან საუღლებელი ზმნის Infinitiv-თან ერთად. ამ დროს მოდალური ზმნა იცვლება პირის, რიცხვის და დროის მიხედვით, ხოლო საუღლებელი ზმნის ინფინიტივი უცვლელი რჩება და განსაზღვრავს ზმნური კონსტრუქციის შინაარსს.


Infinitiv I Aktiv




Infinitiv II Aktiv



Infinitiv I Passiv



Infinitiv II Passiv





1. მოდალურ ზმნის ხმარების შესახებ Infinitiv I-თან ერთად ცვლილი ზემოთ გვქონდა საუბარი. გავიხსენოთ მაგალითები:

Er muss heute den ganzen Tag arbeiten

Die Freunde können sich gut erholen

2. მოდალური ზმნები Infinitiv II Aktiv-თან ერთად სხვა მნიშვნელობას იძენენ და შესაბამისად უნდა ითარგმნოს.

a) მოდალური ზმნები: müssen, können და mögen + Infinitiv II Aktiv-ი გამოხატავენ ვარაუდს;

მაგ.,

Er muss sich über unseren Brief schrecklich geärgert haben.

=das ist wahrscheinlich, fast sicher

ომგორც ჩანს (თითქმის დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ) იგი ჩვენს წერილზე ძალიან გაბრაზდა

Er kann bei Freunden gewesen sein

=das ist möglich, aber nicht sicher

შესაძლოა, რომ ის მეგობრებთან იყო (ალბათ მეგობრებთან იყო) (მაგრამ დაბეჭითებით არ შეიძლება ითქვას)

Er mag unseren Brief nicht erhalten haben

=so ist es möglich

შესაძლოა, მას ჩვენი წერილი არც მიუღია.

b) მოდალური ზმნა sollen + Infinitiv II Aktiv-ი გამოხატავს ვიღაცის მიერ გადმოცემულ ამბავს, რომლის ინფორმაციას შესაძლოა მთლად ზუსტი არ იყოს.

მაგ.,

Er soll unseren Brief zerrissen haben

=das hat man uns erzählt

ქართულად აღნიშნული კონსტრუქცია ხშირად ითარგმნება ზმნის თურმეობითი ფორმით:

მას თურმე დაუხევია წერილი, ან – ამბობენ, მან ჩვენი წერილი დახიაო.

c) მოდალური ზმნა wollen + Infinitiv II Aktiv-ი გამოხატავს მოქმედი პირის აზრს წინადაღებაში გადმოცემული გამონათქვამის მიმართ, რომლის ჭეშმარიტებაც ეჭვევე შედგას.



թաց.,

Er will unseren Brief gar nicht erhalten haben.

=das sagt er selbst, aber wir haben Zweifel an der Wahrheit

der Aussage.

ուս ամծոծն (ամէկուլուն), տուշուն իշենո թյրուլու առ մուլուա.

3. մուգալուրո Ցմեցնուն եմարեծա Infinitiv I Passiv-տան յի-

տան

հոգորշ աղցնունեց, մուգալուրո Ցմեցնուն պազելուզուն ու-
մարեծա Infinitiv-ուն գործմեծուն; Infinitiv I Passiv-ուն գործմեծուն ան-
լոցուրաց գամուցնեծա մուգալուրո Ցմեցնուն (Infinitiv I և II թ-
հմուցնուն թյուն ուն. Ցյուու). պէց շնօնա ալունունուն, հոմ մուգալուրո
Ցմեցնուն Infinitiv II Passiv-տան առ ցցեցնուն, Շըցածարուն մու-
գալուրո Ցմեցնուն եմարեծա Infinitiv Aktiv-սա և Infinitiv Passiv-մու-

հուսուն թյարսուն գրուցնուն մուգալուրո Ցմեցնուն haben-ուն աթահ-
մուցնուն.

Präsens Aktiv

Man muss den Kranken **operieren.** (Inf.I)

Präsens Passiv

Der Kranke **muss operiert werden.** (Inf.I)

Präteritum Aktiv

Man musste den Kranken **operieren.** (Inf.I)

Präteritum Passiv

Der Kranke **musste operiert werden.** (Inf.I)

Perfekt Aktiv

Man hat den Kranken **operieren müssen.** (Inf.I)

Perfekt Passiv

Der Kranke **hat operiert werden müssen.** (Inf.I)

Plusquamperfekt Aktiv

Man hatte den Kranken **operieren müssen.** (Inf.I)

Plusquamperfekt Passiv

Der Kranke **hatte operiert werden müssen.** (Inf.I)

Futurum I Aktiv

Man wird den Kranken **operieren.** (Inf.I)



Futurum I Passiv

Der Kranke wird operiert werden müssen.(Inf.I)

შენიშვნა: მოდალური ზმნა **wollen** თავისი ძირითადი
მნიშვნელობით („სურვილი“) იხმარება მხოლოდ აქტიური
ფორმით. Passiv-ში მას ცვლის მოდალური ზმნა **sollen**-ი.

მაგ.,

Man will ein neues Gebäude errichten.

ახალი შენობის აღმართვა სურთ.

Das neue Gebäude soll errichtet werden.

ახალი შენობა უნდა აღმართოს.

ზმნების ხმარება ინფინიტივთან ერთად

(Gebrauch der Verben mit dem Infinitiv)

ინფინიტივი ანუ ზმნის განუსაზღვრელი ფორმა წინადაღებაში
შეიძლება იყოს: ქვემდებარე, შემასმენლის შემაღვენელი ნაწილი,
განსაზღვრება და სხვადასხვა გარემოება. უნდა გვახსოვდეს, რომ
ინფინიტივი წინადაღებაში გამოდის **zu-**ნაწილაკით და **zu-**
ნაწილაკის გარეშე. განსაზღვრულ შემთხვევებში იხმარება
ინფინიტივის ოთხივე სახეობა:

Infinitiv I – II Aktiv-ი

Infinitiv I – II Passiv-ი

Infinitiv I და II ფორმები, გარდა აქტიურ და პასიურ გვარს
შორის არსებული სხვაობისა, ავლენენ აგრეთვე განსხვავებას
ღროში. ამასთან Infinitiv I-ის აქტივისა და პასივის ფორმები აღ-
ნიშნავენ აწყვიდვას მომავალ დროს, ხოლო Infinitiv II-ის აქტივისა
და პასივის ფორმები გამოხატავენ წარსულ დროს.

Infinitiv -ის ხმარება zu-ნაწილაკის გარეშე

ზმნის **Infinitiv-ი** **zu-**ნაწილაკის გარეშე იხმარება შემდეგ
შემთხვევებში:



1) მოდალური ზმნების შემდეგ:

Der Student kann die Prüfung nicht ablegen (Inf.I Aktiv)

Die Prüfung sollte abgelegt werden. (Inf.I Passiv)

Er muss sich geärgert haben. (Inf.II Aktiv)

2) ზმნა დაუდონ-ის შემდეგ მოდალური მნიშვნელობით:

მაგ.,

Sie liess die Schuhe reparieren.

მან ფეხსაცმელი შეაკეთებინა.

Die Mutter lässt das Kind Klavier spielen.

დედა ბავშვს პიანინოზე აკვრევინებს.

3) ზმნების შემდეგ, რომლებიც გამოხატავენ შეგრძნებებს:
sehen, hören, spüren, fühlen:

ამ კონსტრუქციის უწოდებენ აგრეთვე **accusativus cum infinitivo-ს**, ანუ აკუზატივს ინფინიტივთან ერთად. აღნიშნული კონსტრუქცია ქართულად, უმთავრესად, dass-კავშირიანი წრადადებით ითარგმნება.

მაგ.,

Ich sehe das Kind Schach spielen.

ვხედავ, რომ ბავშვი ჭადრაკს თამაშობს.

Ich hörte ihn im Zimmer singen.

მესმოდა, რომ იგი ოთახში მღეროდა.

Der Patient fühlt das Herz schlagen.

პაციენტი გრძნობს, რომ გული უცემს (გულისცემას)

Die Frau spürte das Kind zittern.

ქალი გრძნობდა, რომ ბავშვი კანკალებდა.

4) ინფინიტივის ფორმით ბრძანებითი კილოს გამოხატვილოს:

Aufstehen! ადექით! (ავდგეთ!)

Zurückbleiben! უკან დაიხიეთ! უკან მიდექით!

Alle aussteigen! ყველანი ჩამოდით! (ტრანსპორტიდან)

5) ინფინიტივის ფორმით გამოხატულ რეკომენდაციებსა და ბრძანებებში:

Man wird den Kranken operieren. (Inf.I)



მაგ.,

Das Obst schälen, kochen, zerkleinern!

ბოსტნეული გაფუცქენით, მოხარშეთ, წვრილად დაჭერით!

Die Arznei vor dem Essen einnehmen!

წამალი ჭამის წინ მიიღეთ!

6) მოძრაობის და სივრცეში გადაადგილების გამომხატველი
ზმნების შემდეგ, როგორიცაა:

gehen, laufen, kommen, wandern, reisen, fahren და ა.შ.

მაგ.,

Die Studenten gehen in die Universität die Prüfungen ablegen.

სტუდენტები უნივერსიტეტებში გამოცდების ჩასაბარებლად
მიღიან

Er fährt nach Deutschland Medizin studieren.

ის მიღის გერმანიაში მედიცინის შესასწავლად

Das Kind läuft auf den Hof Fußball spielen.

ბავშვი გარბის ეზოში ფეხბურთის სათამაშოდ.

7) ზმნების შემდეგ: lehren, lernen, lieben, schicken, helfen.

მაგ.,

Der Vater lehrt den Sohn schreiben.

მამა ასწავლის შვილს წერას

Der Mann liebt Tennis spielen.

ამ კაცს უყვარს ჩოგბურთის თამაში

Die Mutter schickt den Sohn Brot holen.

დედა აგზავნის შვილს პურის მოსატანად.

შენიშვნა: ზოგიერთი ამ ზმნათაგანი, მაგ., **helfen, kommen,**

eilen – მოითხოვენ ინფინიტივს zu ნაწილაკით, თუ წინადადება
აზრობრივად გადატვირთულია სხვადასხვა ლექსიკური
მნიშვნელობით.

მაგ.,

Sie hilft der Mutter das Zimmer aufräumen.

ის ეხმარება დედას ოთახის დალაგებაში.

მაგრამ:



Sie hilft dem Freund dieses dringende Problem zu lösen.

ის ებარება მეგობრის ამ სასწრაფო პრობლემის გადაჭრაში.

8) Futurum I და Konditionalis I-ის Aktiv-ისა და Passiv-ის
წარმოებისას:

მაგ.,

Die Eltern werden das Kind vom Kindergarten abholen.

მშობლები ბავშვს საბავშვო ბაღიდან გამოიყვანენ.

Er würde nicht hingehen.

ის არ წავიდოდა.

Der Brief wird geschrieben werden.

წერილი დაიწერება.

Infinitiv-ის ხმარება zu-ნაწილაკით

გერმანული ზმნის ერთ-ერთ თავისებურებას შეადგენს ინ-
ფინიტივის ხმარება zu-ნაწილაკთან ერთად. აღნიშნულ ნაწილაკს
სხვა ფუნქციების შესრულების დროს (მოცილებადი თავსართი,
წინდებული, გერუნდივი) აქვს მკაფიოდ გამოხატული მნიშვნელო-
ბები, ინფინიტივთან ხმარებისას კი იგი არ ითარგმნება და მხოლოდ
მის სტრუქტურულ მახასიათებელს წარმოადგენს.

თუ გამოვრიცხავთ წინა თავში ჩამოთვლილ რვა შემთხვევას,
ზმნას ნაწილაკი zu ყველა სხვა შემთხვევაში უნდა ახლდეს. ამასთან,

1. ნაწილაკი zu ზმნას წინ უძლვის და ცალკე დგას: zu lesen,
zu kommen.

2. ნაწილაკი zu მოცილებადთავსართიან ზმნასთან დგას
თავსართსა და ზმნის ფუძეს შორის: aufzustehen, teilzunehmen,
fernzusehen.

3. ნაწილაკი zu მორდება ყველა ზმნასთან, რომელიც მის
შემდეგ Infinitiv-ში დგას: zu lesen und zu schreiben

4. წარსული დროის გადმოსაცემად გამოიყენება Infinitiv II
Aktiv-ისა და Passiv-ის ფორმები. ამ შემთხვევაში zu ნაწილაკი
დგას დამხარე ზმნის Infinitiv-ის წინ;

८१४

gelesen zu haben

gefahren zu sein

geschrieben worden zu sein

gesickt worden zu sein

შენიშვნა: Infinitiv-ის ამ ფორმების თარგმნა, სამწუხაროდ, ცალკე არ ხერხდება. ითარგმნება მხოლოდ Infinitiv I Aktiv-ის ფორმა, რომელიც გამოხატავს ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას. kommen-მოსვლა, schlafen-ძილი, sagen-თქმა და ა.შ. Infinitiv-ის დანარჩენი ფორმები ითარგმნება მხოლოდ ზმნის პირიან ფორმას - თან ერთად.

ამრიგად, ინფინიტივი zu ნაწილაკით იხმარება შემდეგ შემთხვევაში:

1) როგორც რთული ზმნური შემასმენლის შემადგენელი ნაწილი. იგი აუცილებელია ზმნების შემდეგ, როგორიცაა: მაგ.,

beginnen, a, o bitten, a, e

anfangen, i.a bieten, o, o

empfehlen, a, o hoffen, te, t

versprechen, a. o beschliessen, o. o

raten, je, a befehlen, a, o 203 Üb3.

ამასთან, ზმნის მარცხენა ნაწილის მართვა დამოკიდებულია უღლებადი ზმნის Rektion-ზე, მარჯვენა ნაწილისა კი იმ ზმნაზე, რომელიც დგას zu-ნაწილაჟთან ერთად.

१८

Er beginnt das Buch zu lesen.

Ich bat ihn um Erlaubnis das Telefon zu benutzen.

Er verspricht dem Freund an dem Kongress teilzunehmen.

Der Vater empfiehlt ihm sich bei dem Freund zu bedanken.

Er glaubt ihn gesehen zu haben.

Er ärgert sich, sich verspätet zu haben.

Er scheint einen Monat lang sich nicht gewaschen zu haben.

Er scheint einen triftigen Grund dazu gehabt zu haben.

2) ზოგიერთი აბსტრაქტული არსებითი სახელის შემდეგ
ზნა haben-თან ერთად:

die Lust-სურვილი, ხალისი

die Freude-სიხარული

den Wunsch-სურვილი

die Absicht-განზრახვა

die Hoffnung-იმედი

die Möglichkeit-შესაძლებლობა

die Notwendigkeit-საჭიროება, აუცილებლობა

den Gedanken-იდეა, აზრი და სხ.

+haben

Wir haben die Möglichkeit die Stadt zu besichtigen.

Er hat die Absicht nach Deutschland zu fahren.

Er hat den Wunsch, an dieser Konferenz teilzunehmen.

3) გამოთქმების შემდეგ:

es ist gut-კარგია

es ist schlecht-ცუდია

es ist angenehm-სასიმოვნოა

es ist bequem-მოხერხებულია

es ist leicht-აღვილია

es ist schwierig-ძნელია

es ist nützlich-საჭიროა

es ist möglich-შესაძლებელია

es freut mich-მახარებს

es ist peinlich-უხერხებულია და ა.შ.

Es freut mich Sie kennen zu lernen.

Es ist angenehm, hier zu arbeiten.

Es ist ganz leicht diese Prüfung abzulegen.

Es ist bequem sich hier zu erholen.

4) კონსტრუქციებში: haben + Infinitiv-o zu-თი და sein + Infinitiv-o zu-თი.

a) კონსტრუქცია **haben+Infinitiv zu-თი** გამოხატავს აუცილებლობას და წარმოადგენს მოდალური ზმნების: **sollen-ის** და

და **müssen**-ის სინონიმს Infinitiv I Aktiv-თან ერთად ან ნაწილაკის გარეშე. ამ კონსტრუქციაში ქვემდებარე ყოველთვის აქტიურია და მოქმედებითი გვარის გამოშატველია.

მაგ.,

Die Studenten **haben** die Prüfung **abzulegen** =

Die Studenten **müssen** (sollen) die Prüfung **ablegen**.

Wir **haben** früh **aufzustehen**=

Wir **müssen** (sollen) früh **aufstehen**

b) კონსტრუქცია **sein+Infinitiv-ი zu-თი** გამოხატავს აუცილებლობას და შესაძლებლობას. მის სინონიმად ასევე გამოდიან მოღალური ზმნები: müssen, sollen და können, ოღონდ Infinitiv I Passiv-თან, რადგან აღნიშნულ კონსტრუქციაში მოქმედი პირი ან არ ჩანს, ან გამოხატულია პასიურად. **sein+Infinitiv-ი zu-თი** შეიძლება შევცვალოთ აქტიური გვარის ზმნითაც; ამ შემთხვევაში ქვემდებარის როლში გამოდის განუსაზღვრელობითი ნაცვალსახლი **man**.

მაგ.,

Sein Wunsch ist zu erfüllen.

მისი სურვილი უნდა შესრულდეს ან მისი სურვილის შესრულება შესაძლებელია.

=Sein Wunsch **muss** (soll) **erfüllt werden**

=Sein Wunsch **kann** **erfüllt werden**

=**Man kann** seinen Wunsch **erfüllen**.

5) თუ ინფინიტივი დაკავშირებულია ისეთ ზედსართავ სახელებთან როგორიცაა: froh, erfreut, bereit, fähig, stolz, sicher, wert, gewohnt, zufrieden და სხვ.

-Er ist nicht **fähig** diese Arbeit heute **zu erledigen**.

-Ich **bin gewohnt** früh **aufzustehen**.

კონსტრუქციები **um, (an)statt, ohne +Infinitiv-ი zu-თი**

იმ ინფინიტიური კონსტრუქციებისაგან განსხვავებით, რომელთა სმარება zu ნაწილაკით დამკაიდებულია გარკვეულ

ზმნებზე ან მეტყველების სხვა ნაწილებზე, ინფინიტიურ კონსტრუქციებს:

um+Infinitiv-o zu-თი

(an)statt+Infinitiv-o zu-თი

der Montag ორშაბათი

der Dienstag სამშაბათი



- b) ბოლოციაური მოვერზობითი სტილი ცხელელთა სისტემა: უკრანები
 der Mittwoch ოთხშაბათი
 der Morgen დიღა
 der Tag დღე
 der Mittag შუადღე
 der Abend საღამო
 (მაგრამ: die Nacht ღამე)
 der Norden ჩრდილოეთი
 der Süden სამხრეთი
 der Osten აღმოსავლეთი
 der Westen დასავლეთი
- e) ატმოსფერული მოვლენების აღმნიშვნელი სახელები:
 der Regen წვიმა
 der Schnee თოვლი
 der Hagel სეტყვა
 der Nebel ნისლი
 der Reif როვილი
 der Tau ცვარი, ნამი
- f) ციური სხეულების აღმნიშვნელი სახელები:
 der Stern გარსეკვლავი
 der Planet პლანეტა
 der Mond მთვარე
 der Mars მარსი
 der Saturn სატურნი
 (მაგრამ: die Sonne – მზე, die Venus – ვენერა,
 die Erde, – დედამიწა, die Welt – მსოფლიო, სამყარო)
- g) მთებისა და მთის მასივების სახელწოდებათა უმრავლესობა:
 der Brocken ბროკენი
 der Harz ჰარცი
 der Kaukasus კავკასიონი
 der Kasbek კაზბეგი
 der Elbrus ელბუზი
 der Vesuv ვეზუვი

- შენიშვნა:** მთელი რიგი მთის მასივების სახელწოდებების
იხმარება მრავლობით რიცხვში:
- die Kordilleren კორდილიერები
 - die Pyrenäen პირენეები
 - die Karpaten კარპატები
 - h) სპირტიანი სასმელების აღმნიშვნელი სახელები:
 - der Wein ღვინო
 - der Sekt შამპანური
 - der Kognak კონიაკი
 - der Wodka არაყი
 - der Schnaps არაყი
 - der Whisky ვისკი
 - i) მანქანის მარკის აღმნიშვნელი სახელები:
 - der Mercedes „მერსედესი“
 - der Skoda „შკოდა“
 - der Wolga „ვოლგა“
 - der Opel „ოპელი“
 - j) ზოგიერთი ქვეყნის სახელწოდება:
 - der Iran ირანი
 - der Irak ერაყი
 - der Libanon ლიბანი
 - der Sudan სუდანი
- 2. მდედრობით სქესს მიეკუთვნება:**
- a) ბიოლოგიური მდედრობითი სქესის სახელები:
 - die Frau ქალი, ცოლი, ქალბატონი
 - die Mutter დედა
 - die Tochter ქალიშვილი (შვილი)
 - die Tante დედა
 - die Schwester და
- (გამონაკლისია: das Weib – ქალი, დედაკაცი, das Fräulein – ფრონტლაინ, ქალიშვილი, das Mädchen – გოგონა, das Mannequin – მანეკენი)

- b) ბიოლოგიური მდედრობითი სქესის ცხოველთა სახელები:
die Henne დედალი
die Bärin დათვი (ძუ)
die Löwin ლომი (ძუ)
(მაგრამ: das Huhn – ქათამი)
- c) პროფესიის აღმნიშვნელი სახელები
(უმთავრესად in –სუფიქსით)
die Lehrerin მასწავლებელი
die Köchin მზარეული
die Lektorin ლექტორი
die Ärztin ქიმი
- d) ხეების, ყვავილების, ხილის, კენკრის სახელწოდებები:
die Birke არყი
die Tanne ნაძვი
die Nelke მიხაკი
die Rose ვარდი
die Birne მსხალი
die Apfelsine ფორთოხალი
die Erdbeere ხენდრო,
die Brombeere – მაყვალი
გამონაკლისი: der Ahorn – ნეკერჩხალი; das Veilchen – ია, der Apfel-ვაშლი, der Kürbis – გოგრა, der Pfirsich – ატამი.
- e) გერმანიის მდინარეთა უმრავლესობა და სხვა ქვეყნების მდინარეები დაბოლოებული ა და e-ზე:
die Saale ზაალე
die Spree შპრეე
die Oder ოდერი
die Seine სენა
die Themse ოემზა
die Wolga ვოლგა

- შენიშვნა:** დანარჩენი უცხოური და გერმანის მდინარეები სახელწოდებები მართობითი სქესისაა:
- der Ganges განგი
 - der Amazonas ამაზონი
 - der Nil ნილი
 - der Rhein რაინი
 - der Main მაინი
 - der Neckar ნეკარი
 - f) გერმებისა და თვითმფრინავების სახელწოდებები:
 - die „Deutschland“ „გერმანია“
 - die „Georgien“ „საქართველო“
 - die Boeing „ბოინგი“
 - g) სიგარეტის მარკის სახელწოდებები:
 - die „Marlboro“ „მალბორო“
 - die „Duett“ „დუეტი“
 - die „Winston“ „ვინსტონი“
 - die „Juwel“ „იუველი“
 - die „Mtkvari“ „მტკვარი“
 - h) გარსებითებული რიცხვითი სახელები:
 - die Eins ერთიანი
 - die Neun ცხრიანი
 - die Tausend ათასი
 - die Million მილიონი
 - i) ზოგიერთი ქვეყნის სახელწოდება:
 - die Schweiz შვეიცარია
 - die Türkei თურქეთი
 - die Mongolei მონღოლეთი
 - die Ukraine უკრაინა
- 3. საშუალო სქესის მიეკუთვნება:**
- a) ადამიანისა და ცხოველთა შვილების სახელწოდებები:
- das Kind ბავშვი, შვილი
das Kalb ხძო



das Lamm ბატკანი	der Pirschling
das Ferkel გოჭი	der Schwein
b) ლითონების სახელწოდებები:	die Steine
das Eisen რკინა	der Eisen
das Kupfer სპილენძი	der Kupfer
das Silber ვერცხლი	der Silber
das Gold ოქრო	der Gold
(გამონაკლისია: der Stahl)	(Metall)
c) ქვეყნებისა და ქალაქების სახელწოდებები:	die Länder
(das) Georgien საქართველო	Georgien
(das) Deutschland გერმანია	Deutschland
(das) Berlin ბერლინი	Berlin
(das) Griechenland საბერძნეთი	Griechenland
d) სასტუმროების, კაფეებისა და კინოთეატრების სახელწოდებები:	die Hotels, Cafés und Kinoteatres
das „Iveria“, „ივერია“	Iveria
das „Astoria“, „ასტორია“	Astoria
das „Rustaweli“ რუსთაველი	Rustaweli
das „Metropol“ „მეტროპოლი“	Metropol
e) ასოების, ნოტების, ფერების და ენების სახელწოდებები:	die Assoziationen
das Ypsilon იპსილონი (ასო)	Epsilon
das Cis დო დიოზი (ნოტა)	Cis
das Gelb ყვითელი (ფერი)	gelb
das Deutsch გერმანული (ენა)	Deutsch
das Spanisch ესპანური (ენა)	Spanisch
das Georgisch ქართული (ენა)	Georgisch

II. არსებითი სახელის სქესის განსაზღვრა ფორმის
მიხედვით

1. მამრობით სქესს განეკუთვნება:

a) -er, -ler, -ner, -ling, -s სუფიქსებზე დაბოლოებული არსებითი სახელები:

- der Fischer მეოცევზე
 der Wecker გაღვიძარა
 der Tischler დურგალი
 der Redner ორატორი
 der Amerikaner ამერიკელი
 der Pfennig პფენიგი
 der Essig ქმარი
 der Lehrling შეგირდი
 der Zwilling ტყუპისცალი
 der Fuchs ქელა
 der Schnaps არაყი
 b) ismus, -us, -or, -eur, -ier, -ler, -är, -ar, -al, -ist, -at, -ent, -ant, -et, -ot სუფიქსებზე დაბოლოებული ინტერნაციონალური სიტუაციები:
- der Sozialismus სოციალიზმი
 der Faschismus ფაშიზმი
 der Kursus კურსი
 der Lektor ლექტორი
 der Kommandeur კომანდორი
 der Pionier პიონერი
 der Revolutionär რევოლუციონერი
 der Kommissar კომისარი
 der General გენერალი
 der Kommunist კომუნისტი
 der Diplomat დიპლომატი
 der Student სტუდენტი
 der Aspirant ასპირანტი
 der Poet პოეტი
 der Patriot პატრიოტი
- c) ზმნის ფუძიდან უსუფიქსოდ ნაწარმოები არსებითი სახელების უმრავლესობა (უმთავრესად ფუძისეული ხმოვნის შეცვლით):



der Schritt (schreiten) ნაბიჭი

der Sprung (springen) ნახტომი

der Zug (ziehen) მატარებელი

der Gruß (grüßen) სალამი, მისალმება

der Angriff (angreifen) თავდასხმა

2. მდედრობით სქესს განეკუთვნება:

a) -in, -ung, -heit, -keit, -schaft, -ei სუფიქსებზე დაბოლოებული არსებითი სახელები:

die Lehrerin მასწავლებელი

die Schülerin მოსწავლე

die Zeitung გაზეთი

die Regierung მთავრობა

die Krankheit ავადმყოფობა

die Wahrheit სიმართლე

die Einigkeit ერთიანობა, ერთობა.

die Fähigkeit უნარი, ნიჭი

die Freundschaft მეგობრობა

die Gesellschaft საზოგადოება

die Malerei მხატვრობა

die Bäckerei საცხობო

b) -e სუფიქსზე დაბოლოებული არსებითი სახელების უმრავლესობა (ძირითადად ორმარცვლიანი):

die Liebe სიყვარული

die Straße ქუჩა

die Nelke მიხეივი

die Katze კატა

c) -t სუფიქსზე დაბოლოებული, ზმნიდან ნაწარმოები არსებითი სახელები:

die Kunst (kennen) ხელოვნება

die Macht (machen) ძალა

die Fahrt (fahren) მგზავრობა

die Schlacht (schlachten) ბრძოლა

- die Last (lasten) ტვირთი
- d) ზედსართავი სახელებიდან ნაწარმოები არსებითი სახელები, რომლებიც გამოხატავენ ნიშან-თვისებას:
- die Höhe სიმაღლე
die Länge სიგრძე
die Treue ერთგულება
die Größe სიღილე, ზომა
- e) -ie, -tät, -tion, -ik, -ive, -ur, -enz, -age სუფიქსებზე დაბოლოებული ინტერნაციონალური სიტყვები:
- die Chemie ქიმია
die Fakultät ფაკულტეტი
die Organisation ორგანიზაცია
die Botanik ბოტანიკა
die Initiative ინიციატივა
die Agentur საგენტო
die Differenz განსხვავება, სხვაობა
die Etage სართული
- 3. საშუალო სქესს განეკუთვნება:**
- a) -chen და -lein კნინობით სუფიქსებზე დაბოლოებული არსებითი სახელები:
- das Häuschen პატარა სახლი
das Mütterchen დედიკო
das Tischlein პატარა მაგიდა
das Büchlein პატარა წიგნი
- b) -nis, -sal(-sel), -tum სუფიქსებზე დაბოლოებული სიტყვების უმრავლესობა:
- das Geheimnis საიდუმლო
das Gefängnis საპატიმრო
das Schicksal ბედი
das Rätsel გამოცანა
das Eigentum საკუთრება
das Bauerntum გლეხობა

(მაგ: გამონაკლისია: die Erlaubnis – ნებართვა, die Kenntnis – ცოდნა, die Mühsal – დარღი, ნაღველი, die Drangsal – გაჭირება, der Reichtum სიძლიდრე, der Irrtum – შეცდომა)

c) -ge პრეფიქსიანი (ხან -e სუფიქსიანი) კრებითი სახელები:

das Gemüse ბოსტნეული

das Getreide მარცვლეული

das Geräusch ხმაური

das Geschlecht მოდგმა, თაობა

d) გაარსებითებული ინფინიტივი:

das Schreiben წერა

das Lachen სიცილი

das Leben სიცოცხლე, ცხოვრება

das Turnen ვარჩიში

e)-(s)tel სუფიქსზე დაბოლოებული არსებითი სახელები:

das Drittel მესამედი

das Zwanzigstel მეოცედი

f) -ett, -il, -ma, -o, -ent, -um სუფიქსებზე დაბოლოებული ინტერნაციონალური სიტყვები:

das Kabinett კაბინეტი

das Ventil ვენტილი

das Drama დრამა

das Konto ანგარიში

das Dokument დოკუმენტი

das Zentrum ცენტრი

ყურადღება!

a) ერთნაირი მნიშვნელობის და ფორმის სიტყვას შეიძლება

ქონდეს სხვადასხვა არტიკლი:

der |das| Baiser ბეზე (ნამცხარი)

der |das| Bonbon კანფეტი

der |die| das Dschungel ჯუნგლები

der |das| Keks კექსი

der |das| Filter ფილტრი

b) სხვადასხვა მნიშვნელობის და ერთნაირი ფორმის შექმნა
სიტყვებს შეიძლება პქონდეთ სხვადასხვა არტიკლი:

- { der Bauer გლეხი
- { der |das| Bauer გლები
- { der Flur დერეფანი
- { die Flur მინდორი
- { der Hut ქუდი
- { die Hut სიფრთხილე, დაცვა
- { der Kunde მყიდველი, მუშტარი
- { die Kunde ცნობა, ამბავი

c) რთული არსებითი სახელის არტიკლი განისაზღვრება
მოლო სახელის სქესით:
der Theaterabend = das Theater+der Abend ოეატრალურ
სალამო

der Schulhof = die Schule+der Hof სკოლის ეზო (იხ. სიტყვათ-
წარმოება)

არსებით სახელთა რიცხვი

(Die Zahl der Substantive)

გერმანულ ენაში, ისევე როგორც ქართულში, არსებით
სახელს აქვს ორი რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი (der
Singular და der Plural)

ზოგ არსებით სახელს, ქართულის მსგავსად, მარტო მხოლო-
ბითი რიცხვი გააჩნია:

der Schnee – თოვლი, das Fleisch – ხორცი, die Milch – რძე,
der Kaffee-ყავა.

ზოგი არსებითი სახელი კი მხოლოდ მრავლობითში იხმარება:

die Leute – ხალხი, die Eltern – მშობლები, die Ferien –
არდალებები, die Ostern – აღდგომა, die Weihnachten შობა, die
Makkaroni – მაკარონი.

არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის წარმოება
გერმანულ ენაში არსებობს არსებითი სახელის მრავლობით
რიცხვის წარმოების 5 ძირითადი საშუალება:

1. უსუფიქსო (a, o, u- უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე)

2. -er სუფიქსით (a, o, u- უმლაუტით)

3. -(e)n სუფიქსით (a, o, u- უმლაუტის გარეშე)

4. -e სუფიქსით (a, o, u- უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე)

5. -s სუფიქსით (a, o, u- უმლაუტის გარეშე)

1). უსუფიქსო წარმოების დროს არსებითი სახელი არ იღებს დაბოლოებას და მრავლობითი რიცხვი იწარმოება უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ-ტიკლია: die. ამ ჯგუფს განეკუთვნება;

a) მამრ. სქ. არს. სახელი დაბოლოების დროს არსებითი სახელი არ იღებს დაბოლოებას და მრავლობითი რიცხვი იწარმოება უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ-ტიკლია: die. ამ ჯგუფს განეკუთვნება;	a, o, u უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე	der Bruder–die Brüder მა der Vogel–die Vögel ჩიტი der Garten–die Gärten ბაღი der Wagen–die Wagen მანქანა der Adler–die Adler არწივი der Koffer–die Koffer ჩემოდანი
b) საშ. სქ. არს. სახელი დაბოლოების დროს არსებითი სახელი არ იღებს დაბოლოებას და მრავლობითი რიცხვი იწარმოება უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ-ტიკლია: des. ამ ჯგუფს განეკუთვნება;	a, o, u უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე	des Zimmer–die Zimmer ოთხი das Wappen–die Wappen გერბი das Ruder–die Ruder ნიჩაბი (გამონაკლისი: das Kloster–die Klöster–მონასტერი)
c) საშ. სქ. არს. სახელი დაბოლოების დროს არსებითი სახელი არ იღებს დაბოლოებას და მრავლობითი რიცხვი იწარმოება უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ-ტიკლია: das. ამ ჯგუფს განეკუთვნება;	a, o, u უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე	das Mädchen–die Mädchen გოგონა das Büchlein–die Büchlein პატარა წიგნი, das Rätsel–die Rätsel–გამოცანა
d) საშ. სქ. არს. სახელი დაბოლოების დროს არსებითი სახელი არ იღებს დაბოლოებას და მრავლობითი რიცხვი იწარმოება უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ-ტიკლია: das. ამ ჯგუფს განეკუთვნება;	a, o, u უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე	das Gebäude–die Gebäude–შენობა das Getreide–die Getreide–მარცვლეული
e) მდედრ. სქ. ორი არს. სახელი დაბოლოების დროს არსებითი სახელი არ იღებს დაბოლოებას და მრავლობითი რიცხვი იწარმოება უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე; მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი არ-ტიკლია: die. ამ ჯგუფს განეკუთვნება;	a, o, u უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე	die Mutter–die Mütter დედა die Tochter–die Töchter–ქალიშვილი (ქვილი)

2) -er სუფიქსიან მრავლობითს არსებითი სახელები აწარმოებენ უმლაუტით. ამ ჯგუფს განეკუთვნება:

a) საშ. სქ. არს. სახელების უმრავლესობა	a, o, u უმლაუტით	das Dach–die Dächer სახურავი das Land–die Länder ქვეყანა das Kleid–die Kleider კაბა
b) მამრ. სქ. არს. სახელი დაბოლოების დროს ამ ჯგუფი	a, o, u უმლაუტით	der Wald–die Wälder ტყე der Mund–die Münden პირი

მარსეული. არს. სახ. ერთი ჯგუფი	a, o, u უმლაუტით	der Gott—die Götter ღმერდობა der Reichtum—die Reichtümer
3) - (e)n სუფიქსიან მრავლობითს არსებითი სახელები აწარ- მოებენ უმლაუტის გარეშე. ამ ჯგუფს განკუთვნება:		
a) მდედრ. სქ. არს. სახ. უმრავლესობა	უმლაუტის გარეშე	die Frau—die Frauen ქალი die Tür—die Türen კარი die Tafel —die Tafeln —დაზე die Gabel—die Gabeln ჩანგალი die Fakultät—die Fakultäten ფაკულტეტი die Opposition—die Oppositionen ოპოზი- ცია
b) e-ზე, თანხმოვანზე და უცხოურ სუფიქ- სებზე დაბოლოებუ- ლი მარსეული. არს. სახე- ლები (იხ. არს. სახელთა სუსტი და განსაკუთრებული ბრუნების ტიპები)	უმლაუტის გარეშე	der Löwe—die Löwen ლომი der Erbe—die Erben მემკვიდრე der Mensch—die Menschen ადამიანი der Held—die Helden გმირი der Buchstabe—die Buchstaben ასო der Name—die Namen სახელი der Student—die Studenten სტუდენტი der Agronom—die Agronomen აგრონომი der Doktor—die Doktoren დოქტორი
c) მამრ. სქ. არს. სახე- ლები უცხოური სუ- ფიქსით		
d) საშ. სქ. არს. სახელთა ერთი ჯგუ- ფი	უმლაუტის გარეშე	das Auge—die Augen ოვალი das Ohr—die Ohren ყური das Hemd—die Hemden პერანგი das Bett—die Betten საწოლი das Leid—die Leidenტანგვა das Insekt — die Insekten მწერა das Interesse—die Interessen ინტერესი das Ende—die Enden ბოლო, დასასრული das Herz—die Herzen გული
e) -um და ma-ზე და- ბოლოებული საშ. სქ. არს. სახ.	უმლაუტის გარეშე	das Museum—die Museen მუზეუმი das Laboratorium—die Laboratorien ლა- ბორატორია das Thema—die Themen ოქმა das Drama —die Dramen დრამა

a) ბიტუმინო სები

4) -e სუფიქსიან მრავლობითს არსებითი სახელები აწარმოებენ უმლაუტით ან უმლაუტის გარეშე. ამ ჯგუფს განეკუთვნება:

a) მამრ. სქ. არს. სახელები	უმლაუტით	der Gast—die Gäste-სტუმპი der Sohn—die Söhne ვაჟიშვილი der Stuhl—die Stühle სკამი der Schrank—die Schränke კარადა
b) მამრ. სქ. არს. სახელები	უმლაუტის გარეშე	der Tag—die Tage ღღე der Hund—die Hunde ძაღლი der Schuh—die Schuhe ფეხსაცმელი der Arm—die Arme მკლავი
c) მდედრ. სქ. ერთ- მრცვლიანი არს. სახელები	უმლაუტით	die Nacht—die Nächte ღამე die Hand—die Hände ხელი die Stadt—die Städte ქალაქი die Wand—die Wände კედლი
d) საშ. სქ. არს. სახ.	უმლაუტის გარეშე	das Jahr—die Jahre წელიწადი das Haar—die Haare ობა das Schaf—die Schafe ცხვარი das Brot—die Brote პური
e) -al, -ar, -är, -an, - eur, -ier, -on უცხო- ურ სუფიქ. დაბო- ლობული მამრ. სქ. არს. სახელები	უმლაუტის გარეშე	der Admiral—die Admirale ადმირალი der Kommissar—die Kommissare კომისა- რი der Revolutionär—die Revolutionäre— რევოლუციონერი der Dekan—die Dekane დეკანი der Ingenieur—die Ingenieure ინჟინერი der Offizier—die Offiziere ოფიცერი der Spion—die Spione ჯაშუში

5) -s სუფიქსიან მრავლობითს არსებითი სახელები აწარმოებენ

უმლაუტის გარეშე. ამ ჯგუფს განეკუთვნება:

a) უცხოური ენებიდან შემოსული მამრობითი სქ. არსებითი სახელები	უმლაუტის გარეშე	der Chef—die Chefs -ჭეფი der Klub—die Klubs კლუბი der Park—die Parks პარკი
b) უცხოური ენებიდან შემოსული საშ. სქ. არს. სახელები	უმლაუტის გარეშე	das Auto—die Autos მანქანა das Kino—die Kinos კინო das Echo—die Echos ეკო
c) საკუთარი სახელები	უმლაუტის გარეშე	Müller—Müllers მიულერი Braun—Brauns ბრაუნი

შენიშვნა:

არსებით სახელთა მცირე ჯგუფი ინარჩუნებს მრავლობით რიცხვის უცხოურ ფორმას:

das Genus-die Genera გვარი (ზმნის)

der Modus-die Modi კილო (ზმნის)

das Komma-die Kommata (ან Kommas) მძიმე (სასვენი ნიშანი)

das Schema-die Schemata (ან Schemas) სქემა

არსებით სახელთა ბრუნება

(Die Deklination der Substantive)

გერმანულ ენაში არსებით სახელს აქვს 4 ბრუნვა:

Nominativ (სახელობითი),

Genitiv (ნათესაობითი),

Dativ (მიცემითი)

Akkusativ (მრალდებითი).

არსებითი სახელის ბრუნების ტიპი განისაზღვრება მხოლობითი რიცხვის მიხედვით.

არსებობს არსებითი სახელთა ბრუნების ოთხი ტიპი:

1. ძლიერი ბრუნება (die starke Deklination)

2. სუსტი ბრუნება (die schwache Deklination)

3. მდედრობითი ბრუნება (die weibliche Deklination)

4. შერეული ბრუნება (die gemischte Deklination)

I ტიპი. ძლიერი ბრუნება

1. ძლიერი ბრუნებისათვის დამახასიათებელია (-e)s დაბოლოება მხოლობითი რიცხვის Genitiv-ში და -n დაბოლოება მრავლობითი რიცხვის Dativ-ში, თუ ეს სუფიქსი არ დაერთვის სახელს Nominativ-ში როგორც მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი.

-e აუცილებელია s-ის შინ Genitiv-ში, თუ არსებითი სახელი ბოლოვდება: s, ss, β, z, sch, st, x-ზე.

2. ძლიერ ბრუნებას განეკუთვნება:

a) მამრობითი სქესის ყველა არსებითი სახელი, გარდა იმ სახელთა მცირერიცხვანი ჯგუფისა, რომელიც შედის სუსტ და შერეულ ბრუნებაში.

b) საშუალო სქესის ყველა არსებითი სახელი, გარდა ერთისა - das Herz, რომელიც განეკუთვნება შერეულ ბრუნებას.

Singular

N. der Mantel

G. des Mantels

D. dem Mantel

A. den Mantel

N. der Fisch

G. des Fisches

D. dem Fisch

A. den Fisch

N. das Auge

G. des Auges

D. dem Auge

A. das Auge

Plural

die Mäntel

der Mäntel

den Mänteln

die Mäntel

die Fische

der Fische

den Fischen

die Fische

die Augen

der Augen

den Augen

die Augen

II ტიპი. სუსტი ბრუნება

სუსტი ბრუნებისათვის დამახასიათებელია (-e) დაბოლოება ყველა ბრუნებაში, გარდა მხოლობითი რიცხვის Nominativ-ისა. სუსტ ბრუნებას განეკუთვნება მხოლოდ მამრობითი სქესის არსებითი სახელები. ესენია:

a) -e-ზე დაბოლოებული სულიერი სახელები;

მაგ., der Junge -ბიჭი, ყმაწვილი, der Knabe -ბიჭი, der Sklave -მონა, der Hase -კურდღელი, der Affe -მაიმუნი, der Löwe -ლომი, der Jude -ებრაელი, der Pole -პოლონელი, der Franzose -ფრანგი, der Zeuge -მოწმე, der Erbe -მემკვიდრე, der Gatte -მეულლე და სხვ.

- ბა გი თოვა . თოვდა თოვდება თოვს თოვს თოვს თოვს თოვს თოვს
b) თანხმოვანზე დაბოლოებული მამრობითი სქესის სულიერი
არსებითი სახელების ერთი ჯგუფი:

der Mensch - ადამიანი, der Herr - ბატონი, der Held - გმირი, der
Hirt - მწყემსი, der Christ - ქრისტიანი, der Graf - გრაფი, der Prinz
- უფლისწული, der Pfau - ფარშევანგი, der Elefant - სპილო, der
Papagei - თუთიყუში, der Bär - დათვი და სხვა.

e) უცხოური არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოვდება
სუფიქსებზე: -ent, -ant, -ist, -et, -it, -at, -ot, -nom, -soph, -loge; მაგ.
der Student - სტუდენტი, der Emigrant - ემიგრანტი, der Artist
არტისტი, der Athlet - ათლეტი, der Bandit - ბანდიტი, der Kandidat
კანდიდატი, der Patriot - პატრიოტი, der Ökonom - ეკონომისტი,
der Philosoph. - ფილოსოფოსი, der Biologe - ბიოლოგი, der Pädä-
goge - პედაგოგი.

Singular	Plural
N. der Erbe	die Erben
G. des Erben	der Erben
D. dem Erben	den Erben
A. den Erben	die Erben
N. der Mensch	die Menschen
G. des Menschen	der Menschen
D. dem Menschen	den Menschen
A. den Menschen	die Menschen
N. der Herr	die Herren
G. des Herrn	der Herren
D. dem Herrn	den Herren
A. den Herrn	die Herren
N. der Aspirant	die Aspiranten
G. des Aspiranten	der Aspiranten
D. dem Aspiranten	den Aspiranten
A. den Aspiranten	die Aspiranten



III ტიპი. მდედრობითი ბრუნება

1. მდედრობითი ბრუნების დროს არსებითი სახელი არ შიძლია დაბოლოებას და ბრუნვის მაჩვენებელი მხოლოდ არტიკლია;
2. მდედრობით ბრუნებას განეკუთვნება მხოლოდ მდედრობითი სქესის არსებითი სახელები;
3. მდედრობითი სქესის არსებით სახელს მრავლობითი რიცხვის Dativ-ში დაერთვის -n დაბოლოება, თუ ეს სუფიქსი არა აქვთ მაგრამ როგორც მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი.

Singular

N. die Frau

G. der Frau

D. der Frau

A. die Frau

Plural

die Frauen

der Frauen

den Frauen

die Frauen

N. die Stadt

die Städte

G. der Stadt

der Städte

D. der Stadt

den Städten

A. die Stadt

die Städte

IV ტიპი. შერეული ბრუნება

1. შერეული ბრუნებისათვის დამახასიათებელია როგორც სუტი, ასევე ძლიერი ბრუნების ნიშნები; არსებითი სახელი იღებს კვლა ბრუნვაში -(e)n დაბოლოებას, გარდა მხოლობითი რიცხვის Nominativ-ისა, ხოლო Genitiv-ში მას ემატება -s სუფიქსი;

2. შერეულ ბრუნებას განეკუთვნება: მამრობითი სქესის არსებითი სახელების მცირე ჯგუფი:

der Name –სახელი, der Glaube –რწმენა, der Funke –ნაპერ-ჭალი, der Buchstabe –სო, der Fels –კლდე, der –Same, ოქსლი, der Friede –მშვიდობა, der Gedanke –ფიქრი, აზრი, der Haufe –გროვა, მოვა, der Schade –ზარალი, ზიანი, der Wille –ნება, სურვილი.

3. საშუალო სქესის ერთი არსებითი სახელი: das Herz –გული

Singular	Plural
N. der Gedanke	die Gedanken
G. des Gedankens	der Gedanken
D. dem Gedanken	den Gedanken
A. den Gedanken	die Gedanken
N. das Herz	die Herzen
G. des Herzens	der Herzen
D. dem Herzen	den Herzen
A. das Herz	die Herzen

მხოლობითი რიცხვი			
ძლიერი ბრუნება	სუსტი ნება	ბრუ- ნება	მდედრობითი ბრუნება
N-	- (e)	-	-(e)
G-(e)s	- en	-	-ens
D-(e)	-en	-	-en
A-	-en	-	-en

შენიშვნა: მხოლ. რიცხვის Dat.-ში -e ხანდახან იხმარება, გრამ აუცილებელი არ არის.

ყურადღება! ლექსიკონში არსებითი სახელის გრამატიკული მახასიათებლები შემდეგნაირად აღინიშნება:

1) სქესი: der-m, die-f, das-n

2) ბრუნების ტიპი:

a) ძლიერი (e)s

b) სუსტი (e)n

c) მდედრობითი =

d) შერეული G.-ns, D.-n, A.-n, pl.-n

3) მრავლ. რიცხვი:

a) უსუფიქსო უმლაუტის გარეშე =; უმლაუტით ="

b)-er- სუფიქსით -"er

c) -(e)n სუფიქსით - (e)n

c) -(e)n სუფიქსით – (e)n

d)-e სუფიქსით უმლაუტის გარეშე -e, უმლაუტით "-e"

e) -s სუფიქსით - s

მაგ., Tuch n -(e)s, "er თავსაფარი, ნაჭერი

Schrank m-(e)s- "e კარადა

Rabe m-n, -n ყორანი

Sache f=-n საგანი, ნივთი

Name m G.-ns, D.-n, A.-n, pl.-n სახელი

საკუთარი სახელების ბრუნება

(Die Deklination der Eigennamen)

საკუთარ სახელებს აქვთ მხოლოდ ერთი ბრუნვა –**Genitiv-o**, რომელიც გამოხატავს კუთვნილებას და პასუხობს კითხვაზე: wesen? –wissen?

ამ შემთხვევაში ბრუნვის ნიშანია მხოლოდ დაბოლოება: **s**; თუ საკუთარი სახელი ბოლოვდება **-s, -ß, -ss, -sch, -z, -x** ან **-ie-**ზე, იგი მიღებს **-ens** დაბოლოებას:

Goethes Gedichte – გოეთეს ლექსები

Annas Freund – ანას მეგობარი

die Flüsse Georgiens – საქართველოს მღინარეები

Mariens Buch – მარიას წიგნი

Franzens Wohnung – ფრანცის ბინა

თანამედროვე გერმანულში კუთვნილების მნიშვნელობა უფრო ხშირად გამოიხატება: წინდებულით von + საკუთარი სახელი:

die Wohnung von Franz

die Gedichte von Goethe

das Buch von Marie

თუ საკუთარი სახელი დგას Genitiv-ში განსაზღვრებასთან ერთად არტიკლით ან ნაცვალსახელით, სახელი დაბოლოებას არ მიღებს:

die Kultur des heutigen Georgien

დღევანდელი საქართველოს კულტურა

die Gedichte des jungen Goethe

ახალგაზრდა გოეთის ლექსები

D. dem Gedanken

A. den Gedanken

არსებით სახელთა ბრუნვების მნიშვნელობა

N. das Herz

G. des Herzens

D. dem Herzen

(Kasus, Bedeutung und syntaktische

Funktionen der Substantive)

გერმანულ ენაში ბრუნვა (der Kasus) მრავალმნიშვნელოვან
მაგრამ თითოეულ მათგანს აქვს ერთი ძირითადი მნიშვნელობა
ყოველი ბრუნვა წინადადებაში ასრულებს წინადადების სხვადასხე
წევრის ფუნქციას, რომელთაგან მისთვის ერთ-ერთი წამყვანია
სინტაქსური ფუნქციები აქ განიხილება ამ წამყვანი ფუნქციების
თვალსაზრისით. ამრიგად, ქართულისაგან განსხვავებით, გრ-
მანულში გვაქვს 4 ბრუნვა:

1. **Nominativ** (der Werfall) – სახელობითი
|wer? was? ვინ? ვის? რა? რას?| (ქვემდებარის ბრუნვა).

2. **Genitiv** (der Wesfall) – ნათესაობითი
|wessen? ვისი? რისი?| (განსაზღვრების ბრუნვა)

3. **Dativ** (der Wemfall) მიცემითი
|wem? –ვის ? რას?| (ირჩი დამატების ბრუნვა)
|wo? სად?| (დროის გარემოების ბრუნვა)
|wann? როდის ? |(ადგილის გარემოების ბრუნვა)
|womit? რითი? mit wem? ვისთან ერთად? wovon? რის შესახებ?
|von wem? და ა.შ. ვის შესახებ?| – (წინდებულიანი დამატების ბრუნვა)

4. **Akkusativ** (der Wenfall) – ბრალდებითი
| wen? ვის? ვინ? was? რა? რა?|(პირდაპირი დამატების ბრუნვა)
|wohin? საით? სად?|(ადგილის გარემოების ბრუნვა).

für wen? ვისთვის? wofür? რისთვის? | (წინადადებულიანი დამატების
ბრუნვა) და ა.შ.

1.Nominativ-ის ბრუნვა წინადადებაში ასრულებს ქვემდე-
ბარის ფუნქციას და პასუხობს კითხვაზე:

wer? ვინ? ვის? what? რა? რას?

გერმანულში კითხვა wer? დაესმის ყველა სულიერ საგანს;
what?—უსულო საგნებს; ქართულში მას შეესაბამება 3 ბრუნვა,
რაღან აქ ქვემდებარის ფუნქციას 3 ბრუნვა ასრულებს:

სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი:

Der Mann sieht einen Hund -**wer** sieht einen Hund?

Der Mann sah einen Hund —**wer** sah einen Hund?

Der Mann hat einen Hund gesehen —**wer** hat einen Hund ge-
sehen?

Der Mann hatte einen Hund gesehen

კაცი ხედავს ძალლს — ვინ ხედავს რას?

კაცმა დაინახა ძალლი — ვინ დაინახა რა?

კაცს დაუნახავს ძალლი — ვის დაუნახავს რა?

2. Genitiv-ის ბრუნვა წინადადებაში ასრულებს განსაზ-
ღვრების ფუნქციას, გამოხატავს კუთვნილებას და პასუხობს კითხ-
ვაზე: wessen? ვისი? რისი?

ქართულის ნათესაობითსა და გერმანულის Genitiv-ს შორის
განსხვავება მხოლოდ მსაზღვრელ-საზღვრულის თანმიმდევრობაში
მდგომარეობს; გერმანულში მსაზღვრელი საზღვრულის შემდეგ
დგას, ქართულში კი მსაზღვრელი წინ უძლვის საზღვრულს:

მაგ., die Wohnung **des Bruders** —მის ბინა

der Brief **der Schwester** —დის წერილი

3. Dativ-ის ბრუნვა წინადადებაში ასრულებს რამდენიმე
სინტაქსურ ფუნქციას. იგი ძირითადად გამოდის:

a) ირიბი დამატების როლში და პასუხობს კითხვაზე — wem?
ვის? რას? ქართულში იგი ემთხვევა მიცემით ბრუნვას, რომელშიც
დგას ბრუნვაუცვლელი (ირიბი) დამატება.

Der Bruder trifft den Freund.

Der Bruder hat den Freund getroffen.

მაგ., Der Junge hilft der Mutter — ბიჭი ეხმარება დედას.

Der Junge hat der Mutter geholfen — ბიჭი მოეხმალა დედას —

b) აღვილის გარემოების ფუნქციას Dativ-ის ბრუნვა წინადადებაში ასრულებს წინდებულიან სახელთან ერთად, გამოხატავს აღვილმდებარეობას და პასუხობს კითხვაზე: wo? — საღ?

Der Vater arbeitet im Gerten (wo?)
in+dem

მამა მუშაობს ბაღში.

Der Student schreibt mit dem Kugelschreiber (womit?)

სტუდენტი წერს პასტით.

Die Kinder sitzen am Tisch (wo?)
an+dem

ბავშვები სხედან მაგიდასთან.

c) ღროის გარემოების ფუნქციას Dativ-ის ბრუნვა ასრულებს წინდებულიან სახელთან ერთად და პასუხობს კითხვაზე: wann? - როდის?

Im Januar haben wir Ferien

(wann?)

იანვარში არდადეგები გვაქვს.

Am Montag gehe ich in die Universität

(wann?)

ორშაბათს უნივერსიტეტში მივდივარ.

ყურადღება! ამ შემთხვევებში არსებით სახელთან იხმარება მხოლოდ შერწყმული არტიკლი.

d) წინდებულიანი დამატების ფუნქციით Dativ-ი გამოდის სულიერ ან უსულო საგნებთან ერთად. შესაბამისად იხმარება ამ სახელებთან დაკავშირებული კითხვები. მაგ.,

Er geht ins Kino mit dem Freund. (mit wem?).

ის კინოში მეგობართან ერთად მიღის.

Der Student schreibt mit dem Kugelschreiber. (womit?)

სტუდენტი წერს პასტით.

4. Akkusativ-ის ბრუნვა წინადადებაში ასრულებს

პირდაპირი დამატების, აღგილის გარემოების და წინდებულიანი დამატების ფუნქციებს.

ა) გერმანულში პირდაპირი დამატება მხოლოდ Akkusativ-ში დგას; მისი კითხვებია: wen? — who? ვინ? was? — რას? რა?

ქართულს Akkusativ-ის ბრუნვა არ გააჩნია; მის ფუნქციებს შესაბამისად ორი ბრუნვა ასრულებს: მიცემითი და სახელობითი, რომლებიც გამოდიან პირდაპირი დამატების როლში მისიდა მიხედვით, თუ ზმნა წინადადებაში რომელ დროში დგას. როგორც დავინახეთ, ქართულში მიცემითი ბრუნვა ირიბი დამატების ფუნქციასაც ასრულებს. მათ განსასხვავებლად წინადადებაში ზმნა უნდა გადავიყვანოთ დროში: თუ სახელი ბრუნვას შეიცვლის, იგი ასრულებს პირდაპირი დამატების ფუნქციას, თუ სახელი ბრუნვაუცვლელია, იგი წინადადებაში ირიბი დამატების როლში გამოდის.

ჟამ. ირიბ. დამ. პირ. დამ.

გოგონა აძლევს დედას წიგნს | სამპირიანი ზმნა

გოგონამ მისცა დედას წიგნი (გარდამავალი)

ჟამ. პირდ. დამატ.

დედა ბანს ბავშვს | ორპირიანი ზმნა

დედამ დაბანა ბავშვი (გარდამავალი)

ჟამ. ირიბ. დამატ.

ძმა ხვდება მეგობარს | ორპირიანი ზმნა

ძმა შეხვდა მეგობარს (გარდაუვალი)

გერმანულში პირდაპირი და ირიბი დამატების საკითხი არ არის დაკავშირებული მის შინაარსობრივ მხარესთან. წინადადების ეს წევრები სტრუქტურულად არიან დაკავშირებული ზმნის მართვისთან (იხ.) და ხშირად არ ემთხვევა ქართული წინადადების წევრთა სტრუქტურას.

მაგ..

ძმა ხვდება მეგობარს

ძმა შეხვდა მეგობარს

ზმნა „შეხვედრა“ მოითხოვს ქართულში ირიბ დამატებას.

Der Bruder trifft den Freund.

Der Bruder hat den Freund getroffen.

გერმანულში აღნიშნული ზმნა მოითხოვს პირდაპირ დამატებას Akkusativ-ში. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ გერმანულში გერდამავალია ყველა ზმნა, რომელიც მართავს Akkusativ-ის ბრუნვას; ზმნები, რომლებიც Akkusativ-ის ბრუნვას სტრუქტურულად ან შინაარსობრივად არ მართავენ, გარდაუვალი არიან.

b) გერმანულში Akkusativ-ის ბრუნვა წინდებულიან სახელთან ერთად ასრულებს აგრეთვე ადგილის გარემოების ფუნქციას, გამოხატავს მიმართულებას, გადაადგილებას სივრცეში და პასუხობს კითხვაზე: wohin? სად? საით?

Das Kind geht **in den Zoo** (wohin?)

ბავშვი მიღის ზოოპარკში.

Die Studenten fahren **in die Universität** (wohin?)

სტუდენტები მიღიან უნივერსიტეტში.

c) Akkusativ-ი ასრულებს აგრეთვე წინდებულიანი დამატების ფუნქციას და გამოდის სულიერ და უსულო საგნებთან ერთად. შესაბამისად იხმარება ამ სახელებთან დაკავშირებული კითხვები:

მაგ., Er kauft ein Buch **für den Freund** (für wen?)

ის ყიდულობს წიგნს მეგობრისათვის. მეშვეობა მართვისათვის.

Er interessiert sich **für Sport** (wofür?)

ის დაინტერესებულია სპორტით.

(womit?)

§ 3 ნაცვალსახელი

(Das Pronomen)

ნაცვალსახელი წარმოადგენს მეტყველების ნაწილს, რომელიც მიუთითებს პირზე, საგანზე, მოვლენაზე ან ნიშან-თვისებაზე. იგი ცვლის არსებით, ზედსართავ და რიცხვით სახელებს და წინადადებაში ასრულებს იმავე სინტაქსურ ფუნქციებს, რასაც აღნიშნული მეტყველების ნაწილები.

გერმანულ ენაში არსებობს შემდეგი ნაცვალსახელები:

1. Personalpronomen –პირის

2. Possessivpronomen –კუთვნილებითის



3. Reflexivpronomen – უკუქუქევითი
 4. Demonstrativpronomen – ჩვენებითი
 5. Interrogativpronomen – კითხვითი
 6. Relativpronomen – მიმართებითი
 7. Indefinitpronomen – განუსაზღვრელობითი და უარყოფითი
 8. Unpersönliches Pronomen – უპირო
 9. Pronominaladverbien – ნაცვალსახელური ზმნიზედები

1. პირის ნაცვალსახელი

(Das Personalpronomen)

პირის ნაცვალსახელი წინადაღებაში ცვლის არსებით სახელს, ცვლება პირის, რიცხვის, ბრუნვისა და სქესის მიხედვით და სრულებს იმავე სინტაქსურ ფუნქციებს, რასაც არსებითი სახელი. შესაბამისად:

Nominativ-ში დგას ჭემდებარე

Dativ-ში – ირიბი დამატება

Akkusativ-ში – პირდაპირი დამატება

შენიშვნა:

1) ცხრილში პირის ნაცვალსახელის Genitiv-ის ფორმა ფრჩხილებშია მრცემული, რადგან თანამედროვე გერმანულში იგი შეოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იხმარება (ი.e. ზმნის მართვა)

1) ქართულში პირის ნაცვალსახელების ფორმები ერთმანეთს ქმთხვევა მხ. და მრ. რიცხვის I და II პირებში, ამიტომ გერმანული პირის ნაცვალსახელის თარგმნისას უნდა მოვიშველიოთ ქართული არსებითი სახელის ფორმა შესაბამის ბრუნვაში:

პირის ნაცვალსახელების ბრუნება

Singular

I პირი			II პირი	III პირი		
მხოლ. რიცხ.	Nom.	ich-მე (meiner)	du შენ (deiner)	მამა. სქ.	მდედ. სქ.	საშ. სქ.
	Gen.	mir მე	dir შენ	er ის, (კაცი)	sie ის, (ქალი)	es ის, (ბავშვი)
	Dat.	mir მე	dich შენ	(seiner)	(ihrer)	(seiner)
	Akk.	mich მე		ihm მას	ihr მას	ihm მას
				ihn მას, ის	sie მას, იგი	es მას, იგი

Plural

I პირი			II პირი	III პირი	თავაზიანი
			ყველა სკესისათვის		
მრავლ. რიცხ.	Nom.	wir ჩვენ (unser)	ihr ოქვენ (euer)	sie ისინი	Sie ოქვენ
	Gen.	uns ჩვენ	euch ოქვენ	ihrer	Ihrer
	Dat.	uns ჩვენ	euch ოქვენ	ihnen მათ	Ihnen ოქვენ
	Akk.			sie მათ	Sie ოქვენ

პირის ნაცვალსახელის თავაზიანი მიმართვის ფორმად გერმანულში გამოიყენება მრ. რიცხვის III პირის ფორმა „Sie“; „ამ შემთხვევაში იგი იწერება დიდი ასოთი და იხმარება:

1. თუ მივმართავთ პირს, რომელსაც ვესაუბრებით „ოქვენობით“

was können Sie mir raten?

რა შეგიძლიათ მირჩიოთ?

2. თუ მივმართავთ რამდენიმე პირს, რომელთაგანაც თოთვეულს ცალკ-ცალკე ვესაუბრებოდით „ოქვენობით“

Der Lektor sagte zu den Studenten: „Sie müssen an der Konferenz teilnehmen“ — ლექტორმა უთხრა სტუდენტებს: „მონაწილეობა უნდა მიიღოთ კონფერენციაში.“

პირის ნაცვალსახელი „**ihr**“ გამოიყენება იმ შემთხვევაშია თუ აუ
მიგმართავთ რამდენიმე პირს, რომელთაგან თითოეულს ცალ-ცალ-
ცალკე ვესაუბრებოდით „შენობით.“

Die Mutter sagte zu den Kindern: „**Ihr** müsst artig sein“

დედამ უთხრა შვილებს: „წესიერად უნდა მოიქცეთ.“

ქართულში ორივე პირის ნაცვალსახელის ფორმას შეესა-
ბამება მრავლ. რიცხვის II პირის ფორმა „თქვენ.“

2. კუთვნილებითი ნაცვალსახელი

(Das Possessivpronomen)

კუთვნილებითი ნაცვალსახელი აღნიშნავს კუთვნილებას (ჩემი,
შენი, მისი და ა.შ.). იგი წინ უძლვის არსებით სახელს, და ეთანხმება
მას რიცხვში, სქესსა და ბრუნვაში. წინადადებაში ასრულებს გან-
საზღვრების ფუნქციას.

გერმანულში ყველა პირის ნაცვალსახელს გააჩნია თავისი
კუთვნილებითი ნაცვალსახელი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელების ბრუნება

მხოლობითი რიცხვი					მრავ. რიცხ.
პირის ნაც- ვალსახ.	მამ. სქ.	მდედრსქ.	საშ. სქ.		
ich	mein	meine	mein	meine	ჩემი
du	dein	deine	dein	deine	შენი
er	sein	seine	sein	seine	მისი (მამრ.)
sie	ihr	ihre	ihr	ihre	მისი (მდედრ.)
es	sein	seine	sein	seine	მისი (საშ. სქ.)

მხოლობითი რიცხვის III პირის კუთვნილებითი ნაცვალსახე-
ლის შერჩევისას ყურადღება უნდა მიექცეს, ვის ეკუთვნის პირი ან
საგანი. მამრობითი და საშუალო სქესისათვის იხმარება ნაცვალ-
სახელი „sein,“ ხოლო მდედრობითისათვის - „ihr.“



პირის ნაცვალსახ.		მრავლობითი რიცხვი			
		მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	საშ. სქ.	მრავლ. რიცხ.
wir	unser	unsere	unser	unsere	ჩვენი
ihr	euer	eure	euer	eure	თქვენი
sie	ihr	ihre	ihr	ihre	გათი
Sie	Ihr	Ihre	Ihr	Ihre	თქვენი (თავაზიანი)

შენიშვნა: ნაცვალსახელში euer -e ამოვარდება -r-ს შინ, თუ იგი ბოლოვდება -e-ზე.

მხოლობითი რიცხვი

მამრ.	მდ.	საშ.	მრავალ.
N. euer	eure	euer	eure
G. eures	eurer	eures	eurer
D. eurem	eurer	eurem	euren
A. euren	eure	euer	eure

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მხოლობით რიცხვში იბრუნვის როგორც განუსაზღვრელი არტიკლი, ხოლო მრავლობითში იღებს განსაზღვრული არტიკლის დაბოლოებებს.

ბრუნვა	მხოლობითი რიცხვი		
	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	საშ. სქ.
Nom.	mein Bruder	meine Schwester	mein Kind
Gen.	meines Bruders	meiner Schwester	meines Kindes
Dat.	meinem Bruder	meiner Schwester	meinem Kind
Akk.	meinen Bruder	meine Schwester	mein Kind

მრავლობითი რიცხვი სამივე სქესისათვის			
ბრუნვა	მრავლობითი რიცხვი	სამივე სქესისათვის	?
Nom.	meine Brüder	Schwestern	Kinder
Gen.	meiner Brüder	Schwestern	Kinder
Dat.	meinen Brüdern	Schwestern	Kindern
Akk.	meine Brüder	Schwestern	Kinder

ამ ნიმუშის მიხედვით იბრუნვის ყველა კუთვნილებითი ნაცვალსახელი. კუთვნილებითი ნაცვალსახელი, განსაზღვრების გარდა, შეიძლება წინადადებაში გამოვიდეს შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით. ამ შემთხვევაში ის არ იბრუნვის და, ძირითადად, იხმარება კითხვითი წინადადების პასუხში, რომელშიც გამოტოვებულია კუთვნილების გამოხატველი არსებითი სახელი:

Wessen Wagen ist das? ვისია მანქანა?

Das ist meiner –ჩემია

Das ist unserer –ჩვენია

Wem gehört das Bild? ვისია სურათი?

Das ist deines –შენია

Das ist eures –თქვენია

Das ist Ihres –თქვენია (თავაზ.)

Wessen Bücher sind das? ვისია წიგნები?

Das sind seine –მისია

Das sind ihre –მისია(მათია)

3. უკუქცევითი ნაცვალსახელი

(Das Reflexivpronomen)

1) გერმანულში არსებობს მხოლოდ ერთი უკუქცევითი ნაცვალსახელი (sich). იგი დაკავშირებულია ზმნასთან და იხმარება მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის III პირში და თავაზიან ფორმაში. დანარჩენი პირებისათვის იგი სესხულობს პირის ნაცვალსახელის Akkusativ-ს; შესაბამისად იგი იხმარება შემდეგი ფორმებით:

ich-mich	wir -uns
du -dich	ihr -euch
er sie es} - sich	sie } - sich
	Sie

„sich“ ნაცვალსახელის ხმარებისას მხ. და მრ. რიცხვის ქდები
პირში პირის ნაცვალსახელი აუცილებლად უნდა ჩამორჩოდე
შესაბამის უკუქცევით ნაცვალსახელთან, წინააღმდეგ შემთხვევაში
ნაცვალსახელი გადაიქცევა პირდაპირ ობიექტიდ და შეიცვლება
წინადადების შინაარსი.

ich wasche mich მე ვიბან (ჩემს თავს).

მაგრამ: ich wasche dich მე გბან შენ.

2) უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობები და ხმარება.

უკუქცევით ნაცვალსახელს სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია,
რომელსაც იგი ზმნასთან ერთად გამოხატავს წინადადებაში.
შეიძლება გამოყოფა „sich“ უკუქცევითი ნაცვალსახელის შემდეგ
ძირითადი მნიშვნელობები:

a) „sich“ ნაცვალსახელი მიუთითებს ისეთ მოქმედებას, რომ
შელიც პირდაპირ ობიექტზე კი არ გადადის, არამედ უკან უბრუნდება მოქმედ პირს. უკუქცევითი ზმნები გულისხმობენ, რომ მოქმედი პირი მოქმედებს თავის თავზე, რასაც ცხადყოფს პირდაპირ ობიექტის ტრანსფორმაცია „sich“ ნაცვალსახელად;

მაგ., Das Mädchen kämmt das Kind გოგონა ვარცხნის ბავშვს.

მაგრამ: *Das Mädchen kämmt das Mädchen

გოგონა ვარცხნის გოგონას

(* აღნიშნულია არაახმარებადი ფორმა)

Das Mädchen kämmt sich

გოგონა ივარცხნის (თავის თავს)

sich waschen

მხლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
ich wasche mich	wir waschen uns
du wäschst dich	ihr wascht euch
er	sie
sie	Sie
es	waschen sich

b) „sich“ ნაცვალსახელი შეიძლება იდგეს Dativ-ში. მშემთხვევაში იგი სესხულობს პირის ნაცვალსახელის Dativ-ის ფორმებს:

მხოლ. რიცხვი
ich – mir+(Akk)
du–dir+(Akk)
er }
sie }
es } sich+(Akk)

მრავლ. რიცხვი
wir – uns+(Akk)
ihr – euch+(Akk)
sie }
Sie } sich+(Akk)

ასეთი ხმარებისას განსხვავება ჩანს მხოლობითი რიცხვის I და II პირში, მრავლობით რიცხვში პირის ნაცვალსახელი Dativ-ისა და Akkusativ-ის ფორმები ერთმანეთს ემთხვევა და ცვლილება მხოლოდ შინაარსის დონეზე ხდება. „sich“ ნაცვალსახელი Dativ-ის ფორმაში გამოდის, როდესაც - შინადაღებაში არის პირდაპირი ობიექტი Akkustiv-ში; ამ შემთხვევაში „sich“ ნაცვალსახელი მიუთითებს ისეთ მოქმედებაზე, რომელსაც მოქმედი პირი ახორციელებს თავისითვის. ასეთი ზმნები ქართულში შესაბამება სათავისო ქვევის გამომხატველ ზმნებს, საღაც სუბიექტი მოქმედებს ისეთ პირზე ან საგანზე, რომელიც მისია ან მისთვისაა განკუთვნილი.

Ich kaufe mir ein Kleid – ჩემთვის კაბას ვყიდულობ.

Du schreibst dir seine Adresse auf – შენ იწერ მის მისამართს.

ლექსიკონებში ასეთი ზმნები მითითებულია შემდეგნაირად:

sich (D) ansehen ნახვა, დათვალიერება

sich (D) anhören მოსმენა

sich (D) notieren ჩანიშვნა და ა.შ.

c) „sich“ ნაცვალსახელი შეიძლება გამოხატავდეს ურთიერთქმედებას ზმნებთან, რომლებიც შინაარსობრივად მხოლოდ მრავლობით რიცხვს გულისხმობენ. ასეთი ზმნების თარგმნისას აუცილებლად საჭიროა ვიხმაროთ სიტყვა „ერთმანეთი“ შესაბამის ბრუნვაში:

wir schlagen uns – ჩვენ ვცემთ ერთმანეთს.

ihr zankt euch – თქვენ ჩხუბობთ ერთმანეთში.

sie hassen sich – მათ სძულთ ერთმანეთი.

d) „sich“ ნაცვალსახელმა შესაძლოა ზმნას პასიური მნიშვნელობა მიანიჭოს:

Das Wasser kühlt sich ab.

წყალი ცივდება.

Die Tür öffnet sich.

კარი იღება.

e) ზმნას **lassen+sich** აქვთ, აგრეთვე, პასიური მნიშვნელობა, რაღაც ამ შემთხვევაში წინადადებაში მოქმედი პირი არ ჩანს. ასეთი კონსტრუქცია შეიძლება შეიცვალოს მოდალური ზმნით „man kann „შეიძლება.“

Hier **lässt sich** gut arbeiten = Hier kann man gut arbeiten.

აქ კარგად შეიძლება მუშაობა (აქ კაცმა შეიძლება კარგად იმუშაოს).

Über den Geschmack **lässt sich** nicht streiten –(ანდაზა) გემოვნებაზე არ დავობენ.

4. ჩვენებითი ნაცვალსახელი

(Das Demonstrativpronomen)

1. ამ ჯგუფის ნაცვალსახელები მიგვითითებენ პირზე, საგანზე ან მოვლენაზე და წინადადებაში, ასრულებენ სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციას.

ეს ნაცვალსახელებია:

der, die, das მხ.რ. ეს, ის (იგი) – die მრ.რ.

dieser, diese, dieses-მხ.რ. ეს; diese - მრ.რ.

jener, jene, jenes-მხ.რ. ის; jene - მრ.რ.

derselbe, dieselbe, dasselbe – მხ.რ. იგივე; dieselben - მრ.რ.

derjenige, diejenige, dasjenige-ის (იგი); diejenigen – მრ.რ

solcher, solche, solches – მხ.რ. ასეთი; solche - მრ.რ.

selbst თვითონ, თვად

ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნვიან მათი თანახმიერი არტიკულების მსგავსად.

გამონაკლისს შეადგენს ჩვენებითი ნაცვალსახელი der, die, das, die, რომელიც განსხვავდება განსაზღვრული არტიკლისაგან ძლიერი მახვილითა და რამდენიმე ბრუნვის ფორმით.

ჩვენებითი ნაცვალსახელების ბრუნება

მხოლობითი რიცხვი				მრავლობითი რიცხვი ყველა სქესისათვის
ბრუნვა	გამრ.სქ.	მდედრ.სქ.	საშ.სქ.	
Nom.	der	die	das	die
Gen.	dessen	deren	dessen	deren, derer
Dat.	dem	der	dem	denen
Akk.	den	die	das	die
Nom.	dieser	diese	dieses	diese
Gen.	dieses	dieser	dieses	dieser
Dat.	diesem	dieser	diesem	diesen
Akk.	diesen	diese	dieses	diese
Nom.	jener	jene	jenes	jene
Gen.	jenes	jener	jenes	jener
Dat.	jenem	jener	jenem	jenen
Akk.	jenen	jene	jenes	jene
Nom.	solcher	solche	solches	solche
Gen.	solches	solcher	solches	solcher
Dat.	solchem	solcher	solchem	solchen
Akk.	solchen	solche	solches	solche

როულ ჩვენებით ნაცვალსახელებში **derjenige**-ს და **derselbe**-ს პრეფიქსი ნაწილი იბრუნვის განსაზღვრული არტიკლის შეგავსაღ, მეორე ნაწილი კი –შესაბამის ბრუნვაში მიიღებს -e და -en დაბოლოებებს.

მხოლობითი რიცხვი				მრავლობითი რიცხვი ყველა სქესისათვის
ბრუნვა	გამრ.სქ.	მდედრ.სქ.	საშ.სქ.	
Nom.	derjenige	diejenige	dasjenige	diejenigen
Gen.	desjenigen	derjenigen	desjenigen	derjenigen
Dat.	demjenigen	derjenigen	demjenigen-	denjenigen
Akk.	denjenigen	diejenige	dasjenige	diejenigen
Nom.	derselbe	dieselbe	dasselbe	dieselben
Gen.	desselben	derselben	desselben	derselben
Dat.	demselben	derselben	demselben	denselben
Akk.	denselben	dieselbe	dasselbe	dieselben

2). a) ნაცვალსახელებს: **der**, **die**, **das** არტიკლისაგან განსხვავებით, ყოველთვის მახვილი მოულით. ისინი წინადაღებაში

ჩაენაცვლებიან არსებითს ან ზედსართავს და ასრულებენ ჰავაშ
ბარის, დამატების ან განსაზღვრების ფუნქციებს:

Kennst du seine Schwester? – Nein, **die** kenne ich nicht.

იცნობ მის დას? – არა, მას მე არ ვიცნობ.

Er wird mir einen Brief schreiben, **das** hat er mir versprochen.
ის მომწერს წერილს, ის შემპირდა ამას.

b) ნაცვალსახელები: **dieser, diese, dieses, diese** – მიუთითებენ
ახლოს მყოფ პირზე, საგნებზე;

jener, jene, jenes, jene მიუთითებენ უფრო მოშორებით
მყოფ საგნებზე ან უკვე ნაცნობზე, ოქმულზე ან გაგონილზე.

Dieser Student ist fleißig, **jener** aber ist faul. ეს სტუდენტი
ბეჭითია, ის კი – ზარმაცი.

c) ნაცვალსახელები: **derjenige, diejenige, dasjenige, diejenigen** – უმთავრესად იხმარება ჰერცყობილი წინადაღების მთავა
ნაწილში.

Ich habe **denjenigen** Studenten getroffen, den ich in der Uni-
versität gesehen hatte.

მე იმ სტუდენტს შევხვდი, რომელიც უნივერსიტეტში ვნახე.
d) ნაცვალსახელები **derselbe, dieselbe, dasselbe, dieselben** –
მიუთითებენ პირების ან საგნების იდენტურ ნიშან-თვისებებზე.

Er hat **dasselbe** Buch zweimal gelesen.

მან ერთი და იგივე წიგნი ორჯერ წაიკითხა.
e) ნაცვალსახელები **solcher, solche, solches, solche**
მიუთითებს საგნის ხარისხზე ისე, რომ არ ასახელებს მას. ის შე
ძლება კიხმაროთ მხოლობით რიცხვში განუსაზღვრელ არტიკუ-
ლან ერთად. **solch ein, solch eine, solch ein.** ასეთ შემთხვევაში
იბრუნვის განუსაზღვრელი არტიკული:

Solche Menschen gibt es überall.

ასეთი ადამიანები ყველგან არიან.

Solch eine Frechheit habe ich noch nie gesehen.

ასეთი თავხედობა არასოდეს მინახავს.

Mein Freund wohnt in **solch einem** Haus –

ჩემი მეგობარი ასეთ სახლში ცხოვრობს.

f) ნაცვალსახელი **selbst** არ იცვლება. ის დგას იმ სიტყვის
შემდეგ, რომელიც მასთან მიმართებაშია.

Hat der Student den Text **selbst** übersetzt?

სტუდენტმა თვითონ (თავად) თარგმნა ტექსტი?

4. კითხვითი ნაცვალსახელი

(Das Interrogativpronomen)

კითხვითი ნაცვალსახელებია: **wer?** ვინ? **was?** რა? **welcher?** **welche?** **welches?** რომელი?

was für ein? **was für eine?** **was für ein?** მრავლ. **was für?**
was für welche? როგორი? რომელი?

კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნვება

Nom.	wer? ვინ? ვის?		was? რა? რას?
Gen.	wessen? ვისი?		wessen? რისი?
Dat.	wem? ვის?		• wem? რას?
Akk.	wen? ვის? ვინ?		was? რას? რა?

კითხვითი ნაცვალსახელი: **welcher**, **welche**, **welches** იბრუნვის როგორც განსაზღვრული არტიკლი.

მხოლობითი რიცხვი				მრავლობითი რიცხვი ყველა სქესისათვის
ბრუნვა	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	საშ. სქ.	
Nom.	welcher?	welche?	welches?	welche?
Gen.	welches?	welcher?	welches?	welcher?
Dat.	welchem?	welcher?	welchem?	welchen?
Akk.	welchen?	welche?	welches?	welche?

ნაცვალსახელში **was für ein**, **was für eine**, **was für ein** იბრუნვის მხოლოდ **ein** და **eine** განუსაზღვრულ არტიკლის მსგავსად, **was für** – უცვლელი რჩება

მხოლობითი რიცხვი				მრავლობითი რიცხვის ყველა სქესისათვის
ბრუნვა	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	საშ. სქ.	
Nom.	was für ein? was für eines? was für einem? was für einen?	was für eine? was für einer? was für einer? was für eine?	was für ein? was für eines? was für einem? was für ein?	was für? was für welche? was für? was für wecher? was für? was für welchen? was für? was für welche?
Gen.				
Dat.				
Akk.				

კითხვითი ნაცვალსახელები **wer?** ვინ? ვის? **was** რა? რას? წინადადებაში ასრულებენ ქვემდებარის ფუნქციას და იხმარებენ როგორც მხოლობითი, ისე მრავლობითი რიცხვის არსებით სახელებთან მიმართებაში:

Wer schreibt einen Brief? ვინ წერს წერილს?

Der Lehrer schreibt einen Brief.

მასტავლებელი წერს წერილს

Was liegt auf dem Tisch?

რა დევს მაგიდაზე?

Auf dem Tisch liegt ein Buch

მაგიდაზე დევს წიგნი.

კითხვითი ნაცვალსახელი **wessen?** ვისი? რისი? წინადადებაში ასრულებს განსაზღვრების ფუნქციას და დგას არსებითი სახელის წინ მხოლობით ან მრავლობით რიცხვში. არტიკლი ამ დროს არ იხმარება.

Wessen Mantel ist das?

ვისი პალტოა ეს?

Wessen Bücher sind das?

ვისი წიგნებია ეს?

Mit wessen Bruder studierst du?

ვის ძმასთან ერთად სწავლობ?

კითხვითი ნაცვალსახელები **wem?** ვის? რას? **wen?** ვის? ვინ? რას? რა? ასრულებენ წინადადებაში ირიბი დამატების და პირდაპირი დამატების ფუნქციებს, გარდა ამისა, გამოდიან წინდებულებთან ერთად და ასრულებენ შესაბამის სინტაქსურ ფუნქციებს.

Wem hast du das Buch gegeben?

ვის მიეცი წიგნი?

Bei wem wohnt deine Schwester?

ვისთან ცხოვრობს შენი და?

Wen will er sehen?

ვისი ნახვა სურს მას?

Für wen hat sie das Buch gekauft?

ვისთვის იყიდა მან წიგნი?

Was kannst du mir erzählen?

რა შეგიძლია მომიყვე?

კითხვითი ნაცვალსახელი **was?** ჩვეულებრივ წინდებულთან ერთად არ იხმარება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ნაცვალსახელური ზმნიშვედები (იხ.).

2. კითხვითი ნაცვალსახელი **welcher, welche, welches** იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი პირების ან სახელების გვუფიდან სურთ გამოყონ ერთ-ერთი. პასუხი ყოველთვის განსაზღვრულ არტიკულს მოითხოვს:

Welchen Mantel kaufst du?

რომელ პალტოს ყიდულობ?

Ich kaufe den schwarzen Mantel.

ვყიდულობ შავ პალტოს.

კითხვითი ნაცვალსახელი **was für ein? was für eine? was für ein?** იხმარება იმ შემთხვევაში, როდესაც სურთ შეიტყონ როგორიმე პირის ან საგნის ნიშან-თვისება (მხოლობით რიცხვში).

პასუხი მოითხოვს განუსაზღვრულ არტიკულს. მრავლობით რიცხვში იხმარება ფორმა **was für?** ან **was für welche?** პასუხში ასებითი სახელი დგას არტიკულის გარეშე.

Was für ein Haus ist das?

როგორი სახლია ეს?

Das ist ein großes Haus.

ეს დიდი სახლია.

Was für Freunde hast du?

როგორი მეგობრები გყავს?

Ich habe treue Freunde.

ერთგული მეგობრები მყავს.

ნაცვალსახელი **was für ein? was für eine? was für ein?** იხმარება ძალის წინადაღებებში.

Was für ein schöner Abend war das!

რა გუვანიერი სალამური!

5. მიმართებითი ნაცვალსახელი (Das Relativpronomen)

მიმართებით ნაცვალსახელებს განეკუთვნება: **der, die, das** (რომელიც), **die** (რომლებიც). იშვიათ შემთხვევებში: **welcher, welche, welches** (რომელიც), **welche** (რომლებიც); ამ ფუნქციას ხანდახან ასრულებენ კითხვითი ნაცვალსახელები: **wer, was**.

მიმართებითი ნაცვალსახელების ბრუნება:

ბრუნვა	მხოლობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი ყველა სქესისათვის
	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	საშ. სქ.	
Nom.	der	die	das	die
Gen.	dessen	deren	dessen	deren
Dat.	dem	der	dem	denen
Akk.	den	die	das	die
Nom.	welcher	welche	welches	welche
Gen.	dessen	deren	dessen	deren
Dat.	welchem	welcher	welchem	welchen
Akk.	welchen	welche	welches	welche

მიმართებითი ნაცვალსახელები რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში დამოკიდებულ ნაწილს აკავშირებენ მთავართან და ასრულებენ იმავე სინტაქსურ ფუნქციებს, რასაც ბრუნვაში ჩასმული სახელი. შესაბამისად, მიმართებითი ნაცვალსახელი Nominativ-ში გამოდის ქვემდებარის როლში, Genitiv-ში – განსაზღვრების როლში და შეეთანხმება სქესსა და რიცხვში მთავარი წინადაღების იმ არსებით სახელს, რომლის განსაზღვრაც ხდება დამოკიდებულ წინადაღებაში; Dativ-ში და Akkusativ-ში მიმართებითი ნაცვალსახელი ასრულებს ირიბი და პირდაპირი დამატების ფუნქციას. მაგ.,

Der Mann, **der** dort steht, ist mein Nachbar.

კაცი, რომელიც იქ დგას, ჩემი მეზობელია.

Der Mann, **dessen** Kind hier spielt, ist mein Nachbar.

კაცი, რომლის შვილიც აქ თამაშობს, ჩემი მეგობარია.

Der Mann, **dem** ich das Buch gebe, ist mein Nachbar.

კაცი, რომელსაც წიგნს ვაძლევ, ჩემი მეზობელია.

Der Mann, **den** ich begrüße, ist mein Nachbar.

კაცი, რომელსაც ვესალმები, ჩემი მეზობელია.

მიმართებითი ნაცვალსახელისათვის წინდებულისა და შესაბამისი ბრუნვის შერჩევა განპირობებულია დამკაიდებული წინაღალების ზმნის მართვით: მაგ.,

Der Mann, **auf den** ich warte, ist mein Nachbar.

კაცი, რომელსაც ველოდები, ჩემი მეზობელია.

Der Mann, **an den** ich jetzt denke, ist mein Nachbar.

კაცი, რომელზედაც ახლა ვფიქრობ, ჩემი მეზობელია.

6. განუსაზღვრელობითი და უარყოფითი ნაცვალსახელები (Das Indefinitpronomen)

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი შეიძლება იყოს დაღებითი და უარყოფითი:

ა) დაღებითი ნაცვალსახელებია: **man, einer, jemand, etwas, jeder, jedermann, mancher, etlicher, alle(s), viele, wenige, einige, mehrere.**

ბ) უარყოფითი ნაცვალსახელებია: **niemand, kein, nichts.**

1. ნაცვალსახელი **man** აღნიშნავს წინადაღებაში დაუკონკრეტებელ პირს ან პირებს, ასრულებს ქვემდებარის ფუნქციას და აქვს მხოლოდ Nominativ-ის ფორმა. Akkusativ-ისა და Dativ-ისათვის იგი იყენებს **ein**-ის ფორმებს. Genitiv-ის ფორმა არ გააჩნია.

Nom. **man**

Gen. –

Dat. **einem**

Akk **einen**

ზმნა – შემასმენელი **man**-ის შემდეგ დგას მხოლობითი რიცხვის III პირში. ქართულად ითარგმნება:

ზმნით მრავლობით რიცხვის III პირში:

Man hat mir einen Brief geschrieben

წერილი მომზერეს.

ზნით მხოლობითი რიცხვის II პირში ან არსებითი სა
ელით: „კაცი“, „ადამიანი“.

Wenn **man** sich gut auf die Prüfung vorbereitet, so bekommt
man eine Fünf.

თუ გამოცდისათვის კარგად მოემზადები, ხუთს მიიღებ ან: თუ
კაცი (ადამიანი) გამოცდისათვის კარგად მოემზადება, ხუთიან
მიიღებს.

Was **man** gern tut, das fällt einem nicht schwer

თუ კაცი რამეს სიამოვნებით აკეთებს, მას ეს საჭმე აა
ეძნელება.

“**Man**” ნაცვალსახელი მოდალურ ზმნებთან ითარგმნება
უპირო წინადადებით:

man muß – საჭიროა, აუცილებელია

man kann – შეიძლება

man darf – ნებადართულია

man darf nicht – არ შეიძლება

2. ნაცვალსახელი **Einer, eine, eines** ნიშნავს ერთი, ერთ-
ერთი; თუ მის წინ დგას განსაზღვრული არტიკლი, იგი იბრუნვს
სუსტი ბრუნებით, თუ იხმარება უარტიკლოდ, მაშინ ძლიერი
ბრუნებით.

Einer ხშირად დგას **ander**-თან ერთად.

Einer für alle und alle für einen

ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის.

Der Mann sah weder **den einen** noch **den anderen** an.

კაცმა არც ერთს შეხედა და არც მეორეს

ნაცვალსახელი **einer** ხშირად დგას მრავლობითი რიცხვის
Genitiv-თან ერთად, მაშინ იგი ითარგმნება „ერთურთი ... მათ-
განი“.

Er ist **einer der** besten Studenten

ის ერთ-ერთი საუკეთესო სტუდენტია.

ამავე მნიშვნელობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს von+ Dat. Pl.



Ich habe **eine** von diesen Städten besichtigt

მე დაგათვალიერე ერთ-ერთი ამ ქალაქთაგანი.

3. **ნაცვალსახელი jemand** აღნიშნავს მამრობითი ან
მფედრობითი სქესის დაუკონკრეტებელ პირს და ქართულად
ითარგმნება: „ვინმე“, „ვიღაც“. მას აქვს ბრუნების ორი ფორმა:

N. **jemand**

G. **jemandes**

D. **jemandem/ jemand**

A. **jemanden/jemand**

Hat mich **jemand** angerufen?

ვინმემ დამირეკა?

Er hat in der Universität **jemanden** (jemand) getroffen

ის უნივერსიტეტში ვიღაცს შეხვდა.

4. **ნაცვალსახელი etwas** ფორმაუცვლელია. იგი ცვლის უსუ-
ლო საგანს ან აბსტრაქტულ ცნებას და ქართულად ითარგმნება:
„რაღაც“, „რამე“. შესაძლოა ამ ნაცვალსახელს წინ უძლოდეს სი-
ტყვა „irgend“ მნიშვნელობის გასაძლიერებლად, რაც თარგმანში
არ ჩანს (ნაწილაკი *irgend* ცალკე იწერება):

Liegt auf dem Tisch **etwas**?

დევს მაგიდაზე რამე?

So **etwas** habe ich nie gehört

ასეთი რამ არასოდეს მსმენია.

Gib mir irgend **etwas** zu lesen!

მომეცი რამე წასაკითხად!

ნაცვალსახელი „**etwas**“ გამოხატავს აგრეთვე განუსაზღვრელ
(მცირე) რაოდენობას და ითარგმნება: „ცოტა“, „ცოტ-ცოტა“.

Er spricht **etwas** Spanisch ის ცოტ-ცოტას ლაპარაკობს ეს-
პანურად.

Er aß **etwas** trockenes Brot

მან ცოტა ხმელა პური შეჭამა.

5. ნაცვალსახელი „jeder“ (jedermann – მოძველებული ფორმა) ნიშნავს „ყოველი“, „თითოეული“, „ყველა“ და მიმართუბრძან როგორც პირებთან, ასევე საგნებთან. მრავლობით რიცხვში ასებმარება, მას აქცვლის ნაცვალსახელი „alle.“

	maskulin	feminin	neutral
N.	jeder (jedermann)	jede	jedes
G.	jedes (jedermanns)	jeder	jedes
D.	jedem (jedermannem)	jeder	jedem
Akk.	jeden (jedermannen)	jede	jedes

Jeder Student arbeitete fleißig

თითოეული (ყოველი) სტუდენტი ბეჭითად მუშაობდა.

Jeder Mensch muss sterben

ყველა ადამიანი მოკვდავია.

კონსტრუქციაში **von** ან **unter** + არსებითი სახელი მჩავ რიცხვის Dativ-ში, „**jeder**“ გამოხატავს მთელის ნაწილს.

Jeder von den Studenten war im Hörsaal – სტუდენტთაგან ყველა აუდიტორიაში იყო.

Jeder von uns (unter uns) war dazu bereit – ყოველი ჩვენთაგან მზად იყო ამისთვის.

6. ნაცვალსახელი **mancher** – „ზოგიერთი“, „ზოგი ვინმე“, „ზოგი რამ“, „სხვა“ ცვლის ზედსართავ სახელს ან არსებით სახელს

მხოლოდითი რიცხვი				მრავლობითი რიცხვი ყველა სქესისათვის
მამრ.	მდედრ.	საუ.	საუ.	
N.	mancher	manche	manches	manche
G.	manches	mancher	manches	mancher
D.	manchem	mancher	manchem	manchen
Akk.	manchen	manche	manches	manche

7. უპირო ნაცვალსახელი (Unpersönliches Pronomen)

უპირო ნაცვალსახელი es წინადადებაში გამოდის:

- 1) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნებთან
მაგალითად;
es schneit — снегает
es regnet — дождь идет
es hagelt — снегопадает
es donnert — громит
es dunkelt — темнеет
es ist kalt — холодно
es ist heiß — тепло
es wird Abend — становится вечером

2) ფიზიკური შეგრძნებებისა და გუნება-განწყობილების აღმნიშვნელ ზმნებთან. Es ნაცვალსახელი დგას მხოლოდ თხრობითი წინადადების დასაწყისში პირდაპირი სიტყვითი წყობის ფროს. ინვერსიული სიტყვითი წყობის დროს es ნაცვალსახელი აღარ იხმარება.

Es hungert mich	}	მშია
Mich hungert		მშინა

Es bangt mir	}	მეშინა
Mir bangt		მეშინა

3) ხდომილების აღმნიშვნელ ზმნებთან:
geschehen, sich ereignen, glücken, misslingen, missglücken,
sich treffen.

Es ist eine Panne geschehen	}	მაღარია მოხდა
Es trifft sich gut.		ეს ძალიან დროულია

4) უკუქცევით ზმნებთან:

Hier fährt es sich gut.

აქ კარგია მგზავრობა.

Auf dem Lande lebt es sich gut.

სოფელში კარგია ცხოვრება.

5) უპირო პასივთან (იხ. უპირო პასივი).

maskulin

8. ნაცვალსახელური ზმნიზედა

(Das Pronominaladverb)

ნაცვალსახელური ზმნიზედები წარმოადგენენ ზმნიზელია და წინდებულის ერთობლიობას და მჭიდროდ არიან დაკავშირებული ზმნის მართვასთან.

არსებობს ორი სახის ნაცვალსახელური ზმნიზედა:

1. კითხვითი,

2. ჩვენებითი;

1. კითხვითი ნაცვალსახელური ზმნიზედა იწარმოება კითხვითი ნაცვალსახელით **wo** + წინდებული (რომელიც იწყება თანხმოვნით) ან **wor** + წინდებული (რომელიც იწყება ხმოვნით); მაგ.,

wo+von=wovon

wor+ an=woran

wo+zu=wozu

wor+ auf=worauf

wo+mit=womit

wor+ in=worin

wo+durch=wodurch

wor+ um=worum

wo+nach=wonach

wor+ über=worüber

wo+für=wofür

wor+ aus=woraus

2. ჩვენებითი ნაცვალსახელური ზმნიზედა იწარმოება

დაგილის ზმნიზედით **da+ წინდებული ან dar + წინდებული;**

da+von=davon

dar+an=daran

da+zu=dazu

dar+auf=darauf

da+mit=damit

dar+in=darin

da+durch=dadurch

dar+um=darum

da+nach=danach

dar+über=darüber

da+für=dafür

dar+aus=daraus

როგორც აღვნიშნეთ, ნაცვალსახელური ზმნიზედების ხმარება დაკავშირებულია ზმნის მართვასთან. ისინი ცვლიან წინდებულიან უსულო არსებით სახელებს და ითარგმნებიან ზმნის მართვის შინაარსის მიხედვით;

აღსანიშნავია ისიც, რომ სულიერ სახელებთან იხმარება შესაბამისი ბრუნვის კითხვა, რომელიც, ასევე, ზმნის მიერ მართულ წინდებულთანაა დაკავშირებული; მაგალითად:

warten = N+ auf (Akk)

Worauf wartest du?

რას ელოდები? (უსულო) მატარებელი მეტყველების უფროული

Ich warte **auf** den Zug.

მატარებელს ველოდები (უსულო). კარგი მატარებელი მატარებელს ველოდები (უსულო).

Ich warte **darauf**.

მას (მატარებელს) ველოდები (უსულო). კარგი მატარებელი მას (მატარებელს) ველოდები (უსულო).

Auf wen wartest du?

ვის ელოდები? (სულიერი).

Ich warte **auf** den Freund.

ველოდები მეგობარს (სულიერი).

Ich warte auf ihn.

ველოდები მას (მეგობარს) (სულიერი).

sich interessieren = N+für (Akk).

Wofür interessieren Sie sich?

რა გაინტერესებთ? (უსულო).

Ich interessiere mich **für die Landeskunde**.

მაინტერესებს ქვეყანათმცოდნეობა (უსულო).

Ich interessiere mich **darauf**.

მაინტერესებს ეს (ქვეყანათმცოდნეობა).

Für wen interessieren Sie sich?

ვინ გაინტერესებო? (სულიერი).

Ich interessiere mich **für diesen Maler**.

მაინტერესებს ეს მხატვარი (სულიერი).

Ich interessiere mich **für ihn**.

მაინტერესებს იგი (ეს მხატვარი).

§ 4. წინდებული (Die Präposition)

წინდებული წინადაღებაში ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებს და გამოხატავს მათ შორის მიმართებებს. ეს მიმართებები შეიძლება იყოს სივრცობრივი, დროითი, პირობითი, მიზნობრივი, მიზეზობრივი და სხვ.

გერმანულ ენაში წინდებულთა უმრავლესობა მრავალმნიშვნელოვანია, ამიტომ აქ მხოლოდ მათ ძირითად და ყველაზე გავრცელებულ მნიშვნელობებს განვიხილავთ.

ცნობილია, რომ **Nominativ**-ის გარდა, რომელიც ქვემდებარის ფუნქციის ასრულებს, ყველა დანარჩენ ბრუნვას აქვს თავისი წინდებული.

მაშასადამე, შესაბამისი წინდებულები გააჩნიათ **Dativ-Akkusativ**-ს, რომლებიც ცნობილია ე.წ. ზიარი წინდებულების სახელწოდებით, და, ცალ-ცალკე **Dativ**-ს, **Akkusativ**-ს და **Genitiv**-ს.

I. Dativ - Akkusativ-ის წინდებულებია:

an, auf, in, vor, neben, hinter, unter, zwischen, über

ამ წინდებულებისთვის ბრუნვის შერჩევა დამოკიდებულია ზმა-შემასმენელის მნიშვნელობაზე.

1. თუ შემასმენელი გამოხატავს, დინამიურ მოძრაობას, რომელსაც ასრულებს ქვემდებარე წინადაღების რომელიმე წევრის მიმართ, ხოლო შემასმენლს დაესმის კითხვა **wohin?** სად? საით?, მაშინ წინდებული მოითხოვს სახელს **Akkusativ-ში**.

2. თუ შემასმენელი გამოხატავს სტატიკურ მდგომარეობას, რომელშიც იმყოფება ქვემდებარე, ხოლო შემასმენელს დაესმის კითხვა: **wo?** სად?, მაშინ წინდებული მოითხოვს სახელს **Dativ-ში**. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ზიარი წინდებული აღგილის აღნიშვნელი წინდებულია.

ა) წინდებული **an**-ზე (ვერტიკალურად), თან;

Er hängt das Bild **an die Wand** (wohin? Akk.)

ის ჰკიდებს სურათს კედელზე.



Wir setzen uns **an den Tisch** (wohin? Akk.)

ჩვენ ვსხდებით მაგილასთან.

Das Mädchen hängt die Lampe **an die Decke** (wohin? Akk.)

გოგონა ჰკიდებს ნათურას ჭერზე.

Der Schrank steht **an der Wand** (wo? Dat.)

კარადა კედელთან დგას.

Das Bild hängt **an der Wand** (wo? Dat.)

სურათი კედელზე ჰკიდია.

Batumi liegt am **Schwarzen Meer**. (wo? Dat.)

ბათუმი შავ ზღვასთან მდებარეობს.

8) წინდებული **auf-ზე** (პორიზონტალურად), -ში;

Er legt das Buch **auf den Tisch** (wohin? Akk)

ის წიგნს მაგიდაზე დებს.

Mein Nachbar fährt **aufs Land** (wohin? Akk.)

ჩემი მეგობარი სოფელში მიღის.

Das Buch liegt **auf dem Tisch** (wo? Dat.)

წიგნი მაგიდაზე დევს.

Er wohnt **auf dem Lande** (wo? Dat.)

ის სოფელში ცხოვრობს.

8) წინდებული **in -ში**

Er legt das Buch **in den Schrank** (wohin? Akk.)

ის წიგნს კარადაში დებს.

Die Kinder gehen **in die Schule** (wohin? Akk.)

ბავშვები სკოლაში მიღიან.

Das Buch liegt **im Schrank** (wo? Dat.)

წიგნი კარადაში დევს.

Die Kinder sind **in der Schule** (wo? Dat.)

ბავშვები სკოლაში არიან.

დ) წინდებული **vor -შინ**.

Der Schauspieler tritt **vor den Vorgang** (wohin? Akk.)

მსახიობი ფარდის წინ გამოდის.

Das Mädchen stellte sich **vor die Freundin** (wohin? Akk.)

გოგონა მეგობრის წინ დადგა.

Das Taxi steht **vor dem Hof** (wo? Dat.)

ტაქსი ეზოს წინ დგას.

Das Kind sitzt **vor dem Vater** (wo? Dat.)

ბავშვი მამის წინ ზის.

ე) წინდებული **neben** — გვერდით, გვერდზე.

Ich setze das Kind **neben die Mutter** (wohin? Akk.)

მე ბავშვს დედის გვერდით ვსვამ.

Sie stellt die Lampe **neben das Bett** (wohin? Akk.)

ის ლამპას საწოლის გვერდით დგამს..

Die Lampe steht **neben dem Bett** (wo? Dat.)

ლამპა საწოლის გვერდით დგას.

Die Kind sitzt **neben der Mutter** (wo? Dat.)

ბავშვი დედის გვერდით ზის.

ვ) წინდებული **hinter** — უკან

Der Junge setzt den Hund **hinter den Baum** (wohin? Akk.)

ბიჭი ძაღლს ხის უკან სვამს.

Er stellt sich **hinter die Treppe** (wohin? Akk.)

ის კიბის უკან დგება.

Der Hund sitzt **hinter dem Baum** (wo? Dat.)

ძაღლი ხის უკან ზის.

Er steht **hinter der Treppe** (wo? Dat.)

ის კიბის უკან დგას.

ზ) წინდებული **unter** — ქვეშ

Das Madchen setzte die Katze **unter den Tisch** (wohin? Akk.)

გოგონამ კატა მაგიდის ქვეშ დასვა.

Die Frau legte den Teppich **unter den Sessel** (wohin? Akk.)

ქალმა ხალიჩა სავარძლის ქვეშ დააფინა.

Die Katze sitzt **unter dem Tisch** (wo? Dat.)

კატა მაგიდის ქვეშ ზის.

Der Teppich liegt **unter dem Sessel** (wo? Dat.)

ხალიჩა სავარძლის ქვეშ აფინა.

თ) წინდებული **zwischen** — შორის

Sie stellte den Kühlschrank zwischen den Tisch und den Gasherden (wohin? Akk.)

მან მაცივარი მაგიდასა და გაზეურას შორის დადგა.

Die Frau legte den Teppich zwischen den Sessel und das Sofa (wohin? Akk.)

ქალმა ხალიჩა სავარძელსა და ტახტს შორის დააფინა.

Der Kühlschrank steht zwischen dem Tisch und dem Gasherden (wo? Dat.)

მაცივარი დგას მაგიდასა და გაზეურას შორის

Der Teppich liegt zwischen dem Sessel und dem Sofa (wo? Dat.)

ხალიჩა აფენია სავარძელსა და ტახტს შორის.

ი) წინდებული über –თავზე, ზემოთ, ზე

Ich hänge die Lampe über den Tisch (wohin? Akk)

ნათურას მაგიდის თავზე კიდებ.

Der Hund springt über den Zaun (wohin? Akk)

ძაღლი ღობეზე ხტება.

Die Lampe hängt über dem Tisch (wo? Dat.)

ნათურა ჰკიდია მაგიდის თავზე.

Das Flugzeug kreist über der Stadt (wo? Dat.)

თვითმფრინავი ქალაქს თავს დასტრიალებს.

II. Dativ -ის ყველაზე გავრცელებული წინდებულებია:

mit, nach, bei, zu, seit, aus, außer, von,

entgegen, gegenüber, dank, gemäß,

entsprechend, samt, zufolge, zuliebe

1) წინდებული mit –(ვინმესთან) ერთად, რამით

Er fährt mit den Eltern nach Berlin

ის მშობლებთან ერთად ბერლინში მიემგზავრება.

Sie schreibt mit dem Kugelschreiber

ის საწერი პასტით წერს.

Ich öffnete die Tür mit einem Schlüssel –კარი გასაღებით გა-

ვაღ.

Der Ring ist aus Gold.

2) წინდებული **nach**-ში, სკენ (ქალაქების, ქვეყნების, კონტრინენტების და სამყაროს აღმნიშვნელ სახელებთან მიმართულების) გამოსახატავად. იხ. არტიკლის ხმარება გეოგრაფიულ სახელებთან); შემდეგ; მიხედვით;

Mein Freund ist **nach England** gefahren.

ჩემი მეგობარი **ინგლისში** წავიდა.

გაგრამ: Wir fahren **in die Türkei**.

ჩვენ **თურქეთში** მივდივართ.

Die Expedition reist **nach Norden**.

ექვედიცია ჩრდილოეთის **წერილება**.

nach უარტიკლოდ იხმარება რელიგიური დღესასაწაულებისა და კვირის დღეების აღნიშვნისას:

Nach Ostern möchte er die Eltern besuchen.

აღდგომის **შემდეგ** მას მშობლების მონახულება სურს.

Nach Mittwoch bin ich frei.

ოთხშაბათის **შემდეგ** თავისუფალი ვარ

Ich schreibe meine Arbeit **nach diesem Autor**.

ჩემს სამუშაოს ამ ავტორის **მიხედვით** ვწერ

3) წინდებული **bei** -თან, ში, დროს (სას)

Er war **beim Arzt**.

ის ექიმთან იყო.

Ich arbeitete **bei einer Firma**.

მე ერთ ფირმაში ვძლევაობდი.

Der Junge war damals **beim Militär**

ყმაწვილი იმხანად ჯარში იყო.

Er hilft der Mutter **bei der Arbeit**

ის დედას მუშაობისას ეხმარება.

4) წინდებული **zu** -თან, სკენ (გადაადგილებას სიგრცეში), ში, დროს (სას)

Warum gehst du nicht **zum Arzt**?

რატომ არ მიღიხარ ექიმთან?

Er schwimmt **zu der Insel** hinüber.

ის კუნძულისკენ მიცურავს.

Zu Weihnachten bleiben wir **zu Hause**

შობის დროს (შობაზე) **შინ** ვრჩებით.

Zu dieser Zeit war ich in der Universität.

ამ დროს მე უნივერსიტეტში ვიყავი.

მყარ გამოთქმებში:

zu Hause sein – **შინ** ყოფნა

zu Besuch kommen – სტუმრად მოსვლა.

zu Fuss gehen – ფეხით სიარული

zu Mittag | zu Abend essen – საღილობა, ვახშმობა

zu Bett gehen – დასაძინებლად წასვლა

zu Ende sein – დამთავრება

5) **შინდებული seit** – ამ დროის შემდეგ, ამ დროიდან

მოყოლებული; (იხმარება არტიკლით ან უარტიკლოდ)

Seit diesem Tag war er verschwunden

ამ დღის შემდეგ ის გაქრა.

Seit einem Monat warte ich auf meinen Freund

ერთიათვეა, ჩემს მეგობარს ველოდები.

Seit Dienstag ist sie krank

სამშაბათიდან მოყოლებული ის ავად არის.

6) **შინდებული aus** – დან (გამოხატავს მოძრაობას შიგნიდან

გარეთ და წარმომავლობას საიდანმე), უგან, რაღაცისგანაა (რაიმე მასალისაგანაა):

Er trat aus dem Zimmer.

ის ოთახიდან გამოვიდა.

Das Mädchen nahm das Buch aus der Schublade.

გოგონამ უჯრიდან ამოიღო წიგნი.

Diese Familie stammt aus Italien.

ეს ოჯახი წარმოშობით იტალიიდანაა.

Dieses Bild ist aus dem 18 Jahrhundert.

ეს სურათი მე-18 საუკუნისაა (წარმოშობით).

Sie übersetzt aus dem Georgischen ins Deutsche.

ის ქართულიდან გერმანულად თარგმნის.

Der Ring ist aus Gold.

ბეჭედი ოქროსია.

7) წინდებული **ausser** — გარდა;

Dort war niemand, außer **einem** Mädchen

იქ არავინ იყო, ერთი გოგონას გარდა.

Außer Milch trinkt das Kind nichts.

რძის გარდა ბავშვი არაფერს არ სვამს.

8) წინდებული **von** — დან (ადგილის და დროის მნიშვნელობით), სგან, შესახებ, მიერ (პასივის ფორმაში), ნათესაობითი ბრუნვის შემცვლელი კუთვნილების გამოსახატავად, როდესაც Genitiv-უარტიკლოდ იხმარება.

Er ist gerade **von Schottland** zurückgekommen.

იგი ეს — ესაა შოტლანდიიდან დაბრუნდა.

Vom Bahnhof geht er immer zu Fuss nach Hause.

სადგურიდან იგი ყოველთვის ფეხით მიდის შინ.

Vom 14.05. haben wir Ferien.

14.05- დან არდაღეგები გვაქს.

Sie sprechen **von diesem** Thema.

ისინი ამ თემაზე ლაპარაკობენ.

Das Gebäude wurde **von den Arbeitern** gebaut.

შენობა მუშების მიერ იქნა აშენებული (=მუშებმა ააშენეს).

Man hört den Lärm **von Motoren**

ისმის ძრავების ხმაური.

9) წინდებული **entgegen** — საპირისპიროდ, საწინააღმდეგოდ (შესაძლოა იდგეს სახელის შემდეგაც).

Entgegen den Erwartungen hat er die Prüfungen gut abgelegt.
მოლოდინის საპირისპიროდ მან გამოცდები კარგად ჩააბარა.

Meiner Vorstellung entgegen hat er nicht studiert.

ჩემი წარმოდგენის საწინააღმდეგოდ მან არ ისწავლა.

10). წინდებული **gegenüber-** პირდაპირ, მოპირდაპირე მხარეს (გამოხატავს ადგილმდებარეობას.), მიმართ (შესაძლოა იდგეს სახელის შემდეგაც):

Gegenüben der Schule gibt es eine Post

სკოლის პირდაპირ არის ფოტა.



Dem Haus gegenüber steht ein Baum

სახლის პირდაპირ დგას ხე.

Den Bitten seines Sohnes gegenüber blieb der Vater hart.

შვილის თხოვნის მიმართ მამა მკაცრი დარჩა.

11) წინდებული **dank** – წყალობით; (იხმარება Genitiv-თანაც).

Dank dem Fleiß (des Fleißes) hat er die Prüfung bestanden

სიბეჭითის წყალობით მან გამოცდა ჩააბარა.

Dank deiner Aufmerksamkeit konnte ich diese Schwierigkeit überwinden

შენი ყურადღების წყალობით შევძელი ამ სიძნელის გადალახვა.

12) წინდებული **gemäß** – თანახმად, შესაბამისად (შესაძლოა იდგეს სახელის შემდეგაც).

Gemäß dem Gesetz ist der Angeklagte schuldig.

კანონის თანახმად ბრალდებული დამნაშავეა.

Dem Vorschlag des Richters gemäß sollten die Zeugen anwesen sein.

მოსამართლის წინადადების შესაბამისად მოწმეები იქ უნდა ყოფილიყვნენ.

შენი შვენა: იხმარება უმთავრესად იურიდიულ ტექსტებში

13) წინდებული – **entsprechend** – შესაბამისად, თანახმად (შესაძლოა იდგეს სახელის შემდეგაც).

Entsprechend meiner Vorstellung waren die Sehenswürdigkeiten dieses Landes sehr interessant.

ჩემი წარმოდგენის შესაბამისად ამ ქვეყნის ლირშესანი შაომბები ძალიან საინტერესო იყო.

Er hat **seiner Ansicht** entsprechend gehandelt.

იგი თავისი თვალსაზრისის შესაბამისად მოიქცა.

14) წინდებული **samt** – ერთად

Er kam **samt** seinen drei Kindern.

ის თავისი სამ შვილთან ერთად მოვიდა.

15) წინდებული **zufolge** – შესაბამისად, თანახმად (უმთავრესად სახელის შემდეგ).

Der Diagnose des Arztes **zufolge** kann sie in zwei Wochen geheilt werden.

ექიმის დიაგნოზის თანახმად ის შეიძლება ორ კვირიში გარე კურნოს.

16) **წინდებული zuliebe** – გულისთვის (უმთავრესად სახელი შემდეგ).

Das habe ich **dem Kind zuliebe** gemacht.

ეს მე ბავშვის გულისთვის გავაკეთე.

III. Akkusativ-ის წინდებულებია:

durch, für, ohne, um, gegen, wider, entlang, bis

1) **წინდებული durch** – გავლით, ზე, ში, მიერ, საშუალებით, წყალობით

Die Kinder gingen **durch** den Wald.

ბავშვები ტყეზე გავლით მიღიოდნენ.

Wir bummeln **durch** die Stadt.

ჩვენ **ქალაქში** ვსეირნობთ.

Die Entdeckung Amerikas **durch** Kolumbus.

ამერიკის აღმოჩენა კოლუმბის მიერ.

Das Schiff wurde **durch ein Torpedo** versenkt.

გემი ჩაძირულ იქნა ტორპედოს საშუალებით.

Ich bin am Leben **durch dich** geblieben.

ცოცხალი შენის წყალობით გადავრჩი.

2) **წინდებული für** – სთვის, ში, ად, შედარებით (კვალობაზე).

Die Mutter kaufte ein Kleid **für die Tochter**.

ღეღაძ ქალიშვილისთვის კაბა იყიდა.

Für den Wagen bekam er nur wenig Geld.

მანქანაში მან ცოტა ფული აიღო.

Die Frau kaufte zwei Kilo Äpfel **für einen Euro**.

ქალმა ორი კილო ვაშლი ერთ ევროდ იყიდა.

Für sein Alter ist das Kind gut entwickelt.

თავისი ასაკის კვალობაზე (ასაკისთვის, ასაკთან შედარებით)
ბავშვი კარგად არის განვითარებული.

3) წინდებული **ohne** —გარეშე (უ), გარდა (არსებითი სახელი უმთავრესად არტიკლის გარეშე დგას);
Er ging **ohne Mantel** aus.
ის უპალტოოდ გავიღა გარეთ.

Das Zimmer kostet **ohne Frühstück** 10 Euro.

ოთახი საუზმის გარეშე 10 ევრო ღირს.

Er fährt **ohne seine Kinder** in den Urlaub

ის შვებულებაში ბავშვების გარეშე მიღის.

Ohne die Kinder waren es fünf Gäste ბავშვების გარდა (კიდევ) ხუთი სტუმარი იყო.

4. წინდებული **um** —გარშემო; ში; მიახლოებითი დროის აღ-
სანიშნავად; ზუსტი საათის აღსანიშნავად;

Der Junge läuft **um** einem Baum.

ბიჭი დარბის ხის გარშემო.

Die Studenten versammelten sich **um den Dozenten**.

სტუდენტები დოცენტის გარშემო შეიკრიბნენ.

Dieses Haus ist **um** 1900 erbaut.

ეს სახლი დაახლოებით 1900 წელსაა აშენებული.

Kommen Sie bitte **um 3 Uhr** zu mir!

მოდით ჩემთან 3 საათზე!

5) წინდებული **gegen** — წინააღმდეგ; (რაღაცის) მიმართულე-
ბით; (ვინმესთან, რამესთან) შედარებით; დაახლოებით (დროის
აღსანიშნავად)

In der Diskussion waren alle **gegen den Direktor**;

კამათის დროს ყველა დირექტორის წინააღმდეგი იყო;

Sie kämpften **gegen den Feind**.

ისინი მტრის წინააღმდეგ იბრძოდნენ.

Das Auto fuhr **gegen einen Baum**

მანქანა ხის მიმართულებით (ხისკენ) მიღიოდა.

Gegen seine Schwester ist er klein.

თავის დასთან შედარებით ის (ბიჭი) პატარაა.

Gegen gestern ist es heute kalt.

გუშინდელთან შედარებით დღეს ცივა.

Der Zug kommt gegen 2 Uhr an.

მატარებელი დაახლოებით 2 საათზე ჩამოვა.

6) წინდებული wider – წინააღმდეგ, საწინააღმდეგოდ, საარისპიროდ (იხმარება ამაღლებული ან ოფიციალური სტილი გამოსახატავად).

Die Bürger haben wider das Gesetz gehandelt.

მოქალაქეები კანონსაწინააღმდეგოდ მოიქცნენ.

Wider Erwarten kam er pünktlich.

მოლოდინისდა საპირისპიროდ იგი ზუსტად მოვიდა.

7) წინდებული entlang – გასწვრივ, გაყოლებით, ზე, შირად სახელის შემდეგ

Den Weg entlang stehen schone Bäume.

გზის გასწვრივ დგას ლამაზი ხეები.

Das Schiff fährt den Fluss entlang.

გემი მიღის მდინარის გაყოლებით.

Wir wandern die Strasse entlang.

ჩვენ ვსეირნობთ ქუჩის გაყოლებით.

შენიშვნა: წინდებულები entlang იშვიათად გვხვდება

Dativ-თან და Genitiv-თანაც.

dem Weg entlang

entlang des Weges

8) წინდებული bis – მდე (გამოხატავს დროს ან აღგილს, უარტიკლოდ):

Bis Batumi sind es noch etwa 200 Kilometer.

ბათუმამდე კიდევ 200 კმ-ია.

Von 12 bis 14 Uhr bin ich nicht zu Hause.

12-დან 2 საათამდე სახლში არ ვიქნები.

შენიშვნა: წინდებული bis ხშირად იხმარება Akkusativ-ის ან

Dativ-ის წინდებულებთან ერთად. ამ დროს იგი ინარჩუნებს თავის ლექსიკურ მნიშვნელობას, ხოლო სახელი დგას იმ ბრუნვაში, რომელსაც მოითხოვს ამ წინდებულის მეტყვილე წინდებული:

Der Zirkus war bis auf den letzten Platz ausverkauft.

ცირკის ბილეთები ბოლო აღგილამდე გაყიდული იყო.



Kannst du nicht **bis nach dem Essen** warten?

არ შეგიძლია ჭამის **დამთავრებამდე** მოიცადო?

Ich will dich **bis zum Bahnhof** begleiten.

მინდა სადგურამდე გაგაცილო.

IV. Genitiv-ის წინდებულებია:

(an)statt, außerhalb, diesseits, infolge, innerhalb, jenseits, längs, mittels, oberhalb, trotz, ungeachtet, unterhalb, unweit, unfern, wegen.

1) **წინდებული (an)statt-ნაცვლად**, მაგიერ, მაგივრად.
Statt eines Kühlschranks kauften sie eine Waschmaschine

მაცივრის ნაცვლად მათ სარეცხი მანქანა იყიდეს.

(An)statt der Freundin fuhr Inge nach Berlin
მეგობრის მაგივრად ინგე წავიდა ბერლინში.

2. **წინდებული außerhalb -გარეთ**
Das Haus befindet sich **außerhalb der Stadt**
სახლი ქალაქისგარეთ მდებარეობს.

3) **წინდებული diesseits -აქთა მხარეს**, გამოღმა
Wir sind **diesseits des Flusses** geblieben.
ჩვენ მდინარის გამოღმა დავრჩით.

4) **წინდებული infolge -შედეგად**
Infolge eines Unfalls konnte er nicht mehr arbeiten.

უბედური შემთხვევის შედეგად მას მუშაობა აღარ შეეძლო.

5) **წინდებული innerhalb-შიგ**, შიგნით, ში.

Innerhalb des Gebäudes darf man nicht rauchen.

შენობის შიგნით (შენობაში) მოწევა არ შეიძლება.

6) **წინდებული jenseits -იქთა მხარეს**, გაღმა, გაღალმა
Der Berg befindet sich **jenseits der Grenze**.

მთა მდებარეობს საზღვრის გაღალმა (იქითა მხარეს).

7) **წინდებული längs -გასწვრივ**, გაყოლებით.

Längs der Straße standen Autos.

ქუჩის გასწვრივ მანქანები იღვა.

შენიშვნა: längs იშვიათად Dativ-საც მოითხოვს

Längs dem Park პარკის გაყოლებით

Längs dem Haus სახლის გასწვრივ

8) წინდებული **laut** –თანახმად, შესაბამისად

Laut dieses **Gesetzes** war das verboten

ამ კანონის თანახმად ეს აკრძალული იყო

შენიშვნა: laut Dativ-თანაც გვხვდება

Laut deinen **Worten** შენისიტყვების თანახმად.

9) წინდებული **mittels** –საშუალებით, დახმარებით

Wir haben die Tür **mittels** eines Gerätes geöffnet.

კარი ხელსაწყოს საშუალებით გავაღეთ.

10) წინდებული **oberhalb** –ზევით, ზემოთ

Oberhalb des Ladens brach ein Feuer aus.

მაღაზიის თავზე ცეცხლი გაჩნდა.

11) წინდებული **trotz** – მიუხედავად

Trotz des schlechten Wetters gingen wir spazieren.

ცუდი ამინდის მიუხედავად სასეირნოდ წავედით.

შენიშვნა: trotz იშვიათად Dativ-თანაც დგას.

Trotz dem Verbot des Vaters

მამის აკრძალვის მიუხედავად.

12) წინდებული **ungeachtet** – მიუხედავად

Ungeachtet der Schwierigkeiten hat sie die Arbeit abgeschlossen

მიუხედავად სიძნელეებისა, მან სამუშაო დაასრულა.

13) წინდებული **unterhalb** –ქვევით, ქვემოთ

Das Feuer brach unterhalb des zweiten Stockwerks aus.

ცეცხლი მეორე სართულის ქვემოთ გაჩნდა.

14) წინდებული **unweit, unfern** – ახლოს, შორისახლოს

Unweit des Flusses wird eine Stadt gebaut

მდინარის ახლოს ქალაქი შენდება.

15) წინდებული **wegen-** გამო

Wegen des Frostes heizen wir häufiger

ყინვის გამო ღუმელს უფრო ხშირად ვანთებთ.

V. ორმაგი წინდებულები

ორმაგი წინდებულები შედგება ორი დამოუკიდებელი წინდებულისგან, რომელთაგან მხოლოდ ერთ-ერთი მათგანი ითარგმნება. ამ წინდებულებთან მდგარი არსებითი სახელის ბრუნვა უმსყრესად დამოკიდებულია მეორე წინდებულზე.

bis zum 1. September – პირველ სექტემბერამდე

bis zum Ende des Winters – ზამთრის ბოლომდე

bis vor kurzer Zeit – ვიდრე ბოლო დრომდე

bis in die Nacht – ვიდრე ღამემდე

bis zu 100 Euro – 100 ევრომდე

bis zum Kaukasus – კავკასიონამდე

in 10 bis 15 Tagen – 10-15 დღემდე (განმავლობაში)

innerhalb von einem Jahr – ერთ წლის განმავლობაში

von diesem Standpunkt aus – ამ თვალსაზრისით

von Kindheit an – ბავშვობიდან

§ 5. ზედსართავი სახელი

(Das Adjektiv)

ზედსართავი სახელი აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას და საჩიტას; იგი იხმარება მოკლე ანუ ფორმაუცვლელი და ფორმაცვალებადი სახით.

ფორმაცვალებადი ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ დგას ასებითი სახელის წინ და ეთანხმება მას ბრუნვაში, სქესა და რიცხვში. მაგ.,

das kleine Haus პატარა სახლი

ein kluger Junge ჭრიანი ბიჭი

kaltes Wasser ცივი წყალი

ფორმაცვალებადი ზედსართავი სახელის წინ შეიძლება იღგეს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი არტიკლი, ნაცვლსახელი, ან საერთოდ არ ახლდეს არც ერთი მათგანი.

ფორმაუცვლელი ზედსართავი სახელი არ იღებს არავითარ დაბოლოებას და ფორმას არ იცვლის

Der Mann ist höflich – კაცი თავაზიანია.

Die Kinder sind klein – ბავშვები პატარები არიან.

ზეღლსართავი სახელის ბრუნება

(Die Deklination des Adjektivs)

ფორმაციალებადი ზეღლსართავი სახელის ბრუნების ტიპი და მოკიდებულია იმაზე, რა დგას მის წინ: არტიკული, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, თუ არსებითი სახელის წინ მხოლოდ ზეღლსართავი სახელი იყავებს ადგილს.

ამის მიხედვით ანსხვავებენ ზეღლსართავი სახელის ბრუნების 3 ტიპს; ესაა:

1. ძლიერი ბრუნება – die starke Deklination

2. სუსტი ბრუნება – die schwache Deklination

3. შერეული ბრუნება – die gemischte Deklination

1) ძლიერი ბრუნება

ზეღლსართავი სახელი იბრუნვის ძლიერი ბრუნებით, თუ მის წინ არ დგას არტიკული ან არტიკულის მსგავსი სიტყვა.

ძლიერი ბრუნების დროს ზეღლსართავი სახელი იღებს არტიკულის დაბოლოებას როგორც მხოლობით, ისე მრავლობით რიცხვში, გარდა მამრობითი და საშუალო სქესის **Genitiv**-ისა, საღაციგი (e)s-დაბოლოების ნაცვლად, -en დაბოლოებას იღებს.

Singular

ბრუნვა	მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი	საშუალო სქესი
N.	großer Erfolg	große Sorge	großes Geheimnis
G.	großen Erfolgs	großer Sorge	großen Geheimnisses
D.	großem Erfolg	großer Sorge	großem Geheimnis
Akk.	großen Erfolg	große Sorge	großes Geheimni

დიდი წარმატება

დიდი საზრუნავი

დიდი საიდუმლო

Plural

ბრუნვა	ყველა სქესისათვის		
N.	große Erfolge	Sorgen	Geheimnisse
G.	großer Erfolge	Sorgen	Geheimnisse
D.	großen Erfolgen	Sorgen	Geheimnissen
Akk.	große Erfolge	Sorgen	Geheimnisse

შენიშვნა 1: თუ ზედსართავი სახელის წინ დგას ნაცვალსახელები ან ზედსართავები: viele, wenige, etliche, einige, mehrere, manche, folgende, verschiedene, ზედსართავი სახელი იბრუნვის ძლიერი ბრუნებით, ხოლო არსებითი სახელი ქრთულისგან განსხვავებით დგას მრავლობით რიცხვში.

N.	einige	viele	wenige	manche	neue Häuser
G.	einiger	vieler	weniger	mancher	neuer Häuser
D.	einigen	vielen	wenigen	manchen	neuen Häusern
Akk.	einige	viele	wenige	manche	neue Häuser

შენიშვნა 2. თუ ზედსართავი სახელის წინ დგას რიგობითი რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი იბრუნვის ძლიერი ბრუნებით:

N.	fünf, zehn... neue Bücher
G.	fünf, zehn... neuer Bücher
D.	fünf, zehn... neuen Büchern
Akk.	fünf, zehn... neue Bücher

ძლიერი ბრუნებით იბრუნვის ის ზედსართავი სახელები, რომელთა შესაბამის არსებით სახელებს ნულოვანი არტიკლი აქვთ. ანუ უარტიკლოდ იხმარებიან. მაგ.,

etwas kaltes Wasser – ცოტაოდენი ცივი წყალი

bei schönem Wetter – კარგ ამინდში

frisches Gemüse – ახალი ბოსტნეული

2) სუსტი ბრუნება

ზედსართავი სახელი იბრუნვის სუსტი ბრუნებით, თუ მის წინ დგას განსაზღვრული არტიკლი **der, die, das, die** ან ამ არტიკლის მსგავსი ნაცვალსახელები:

dieser, diese, dieses, diese

jener, jene, jenes, jene

solcher, solche, solches, solche

jeder, jede, jedes

derjenige, diejenige, dasjenige, diejenigen

derselbe, dieselbe, dasselbe, dieselben
welcher, welche, welches, welche

სუსტი ბრუნების დროს ზედსართავი სახელი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში იღებს - **en** და გამოლოებას, გარდა ყველა სქესის **Nominativ**-ისა და მდედრობითი და საშუალო სქესის **Akkusativ**-ისა, სადაც იგი - **e** და გამოლოებას იღებს.

Singular

ბრუნვა	მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი	საშუალო სქესი
N.	der schöne Tag	die schöne Nacht	das schöne Bild
G.	des schönen Tages	der schönen Nacht	des schönen Bildes
D.	dem schönen Tag	der schönen Nacht	dem schönen Bild
Akk.	den schönen Tag	die schöne Nacht	das schöne Bild

Plural ყველა სქესისათვის

N	die schönen Tage	Nächte	Bilder
G	der schönen Tage	Nächte	Bilder
D	den schönen Tagen	Nächtchen	Bildern
Akk	die schönen Tage	Nächte	Bilder

ასევე იბრუნვის ზედსართავი სახელი, რომლის წინაც დგას ზემოქამოთვლილი ნაცვალსახელები.

Singular

ბრუნვა	მამრობითი სქესი						
N.	dieser	solcher	jener	jeder	welcher	kluge	Mann
G.	dieses	solches	jenes	jedes	welches	klugen	Mannes
D.	diesem	solchem	jenem	jemehr	welchem	klugen	Mann
Akk.	diesen	solchen	jenen	jeden	welchen	klugen	Mann
ბრუნვა	მდედრობითი სქესი						
N.	diese	solche	jene	jede	welche	kluge	Frau
G.	dieser	solcher	jener	jeder	welcher	klugen	Frau
D.	dieser	solcher	jener	jeder	welcher	klugen	Frau
Akk.	diese	solche	jene	jede	welche	kluge	Frau

ბრუნვა	საშუალო სქესი						
N.	dieses	solches	jenes	jedes	welches	kluge	Kind
G.	dieses	solches	jenes	jedes	welches	klugen	Kindes
D.	diesem	solchem	jenem	jemehr	welchem	klugen	Kind
Akk.	dieses	solches	jenes	jedes	welches	kluge	Kind

Plural

ბრუნვა	ყველა სქესისათვის						
N.	diese	solche	jene	welche	schönen Tage	Nächte	Bilder
G.	dieser	solcher	jener	welcher	schönen Tage	Nächte	Bilder
D.	diesen	solchen	jenen	welchen	schönen Tagen	Nächten	Bildern
Akk.	diese	solche	jene	welche	schönen Tage	Nächte	Bilder

შენიშვნა: თუ ზედსართავი სახელის წინ დგას სიტყვები **alle**-
კელა, **beide** – ორივე, **sämtliche** – ყველა (უკლებლივ), მაშინ
ზედსართავი სახელი იბრუნვის სუსტი ბრუნებით, არსებითი სახ-
ელი კი ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას.

Plural

ბრუნვა	ყველა სქესისთვის						
N.	alle	beide	sämtliche	schönen Tage	Nächte	Bilder	
G.	aller	beider	sämtlicher	schönen Tage	Nächte	Bilder	
D.	allen	beiden	sämtlichen	schönen Tagen	Nächten	Bildern	
Akk.	alle	beide	sämtliche	schönen Tage	Nächte	Bilder	

3) შერეული ბრუნება

ზედსართავი სახელი იბრუნვის შერეული ბრუნებით, თუ მის
წინ დგას განუსაზღვრელი არტიკლი: **ein, eine, ein**, კუთვნილე-
ბითი ნაცვალსახელები: **mein, dein, sein** და ა.შ. და უარყოფითი
ნაცვალსახელი: **kein**.

შერეული ბრუნების დროს ზედსართავი სახელი მხოლ. რიცხ-
ვის ყველა ბრუნვაში იღებს **-en** დაბოლოებას, გარდა მხოლობითი
რიცხვის ყველა სქესის **Nominativ**-ისა და მდედრობითი და საშუ-
ალო სქესის **Akkusativ**-ისა, სადაც ზედსართავი სახელი იღებს გან-
საზღვრული არტიკლის დაბოლოებას.

Singular

ბრუნვა	მამრობითი სქესი	შედებრობითი სქესი	საშუალო სქესი
N.	ein schöner Tag	eine schöne Nacht	ein schönes Bild
G.	eines schönen Tages	einer schönen Nacht	eines schönen Bildes
D.	inem schönen Tag	einer schönen Nacht	inem schönen Bild
Akk.	einen schönen Tag	eine schöne Nacht	ein schönes Bild

1. შენიშვნა. თუ ზედსართავ სახელს წინ უძღვის განუსაზღვრელი არტიკული, მაშინ ეს ზედსართავი მრავლობით რიცხვში იბრუნვის ძლიერი ბრუნებით (იხ. ზედსართავი სახელის ძლიერი ბრუნება მრავლობით რიცხვში).

Plural

ბრუნვა	ყველა სქესისათვის			
N.	schöne	Tage	Nächte	Bücher
G.	schöner	Tage	Nächte	Bücher
D.	schönen	Tagen	Nächten	Büchern
Akk.	schöne	Tage	Nächte	Bücher

Singular

ბრუნვა	მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი	საშუალო სქესი
N.	mein guter Freund	meine gute Freundin	mein gutes Buch
G.	meines guten Freundes	meiner guten Freundin	meines guten Buches
D.	meinem guten Freund	meiner guten Freundin	meinem guten Buch
Akk.	meinen guten Freund	meine gute Freundin	mein gutes Buch

Singular

ბრუნვა	მამრობითი სქესი	მდედრობითი სქესი	საშუალო სქესი
N.	kein guter Freund	keine gute Freundin	kein gutes Buch
G.	keines guten Freundes	keiner guten Freundin	keines guten Buches
D.	keinem guten Freund	keiner guten Freundin	keinem guten Buch
Akk.	keinen guten Freund	keine gute Freundin	kein gutes Buch

შენიშვნა 2. თუ ზედსართავ სახელს წინ უძღვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი ან უარყოფითი ნაცვალსახელი **kein**, მაშინ ზედსართავი მრავლობით რიცხვში იბრუნვის სუსტი ბრუნებით (იხ. ზედსართავი სახელის სუსტი ბრუნება მრავლობით რიცხვში).

Plural

ბრუნვა	ყველა სქესისათვის				
N.	meine	keine	guten	Freunde	Freundinnen Bücher
G.	meiner	keiner	guten	Freunde	Freundinnen Bücher
D.	meinen	keinen	guten	Freunden	Freundinnen Büchern
Akk.	meine	keine	guten	Freunde	Freundinnen Bücher

ფორმაუცვლელი ზედსართავი სახელი

როგორც აღვნიშნეთ, გერმანულ ენაში ზედსართავ სახელს
მოკლე ფორმაც გააჩნია; იგი ფორმაუცვლელია და არავითარ და
ბოლოებებს არ იღებს. ჩვეულებრივ ფორმაუცვლელი სახით ზედ-
სართავი სახელი იხმარება სახელადი შემასტენლის შემადგენელი
ნაწილის სახით და პასუხობს კითხვაზე: როგორია საგანი?

Der Mann ist **klug** – კაცი ჭკვიანია

Die Frau ist **jung** – ქალი ახალგაზრდაა

Das Haus ist **neu** – სახლი ახალია

Die Bücher sind **interessant** – წიგნები საინტერესოა

იგი წინადადებაში გამოდის როგორც განსაზღვრება, რომე-
ლიც დგას არსებითი სახელის შემდეგ;

Das Kind, **müde** aber **glücklich**, lächelte mich an.

ბავშვმა, დალლილმა მაგრამ ბედნიერმა, გამიღმა.

განსაზღვრება, რომელიც გამოხატავს ქვემდებარის ან დამატე-
ბის მდგომარეობას:

Die Frau sah den Sohn **gesund** und **munter**.

ქალმა თავისი ვაჟიშვილი სალსალამათი იხილა.

Er ging **krank** ins Geschäft.

ის სამსახურში ავადმყოფი წავიდა.

ზედსართავი სახელის ხარისხები

(Steigerungsstufen des Adjektivs)

გერმანულ ენაში ზედსართავ სახელს 3 ხარისხი აქვს:

1. დადგებითი ხარისხი – **der Positiv**

2. შედარებითი ხარისხი –**der Komparativ**

3. აღმატებითი ხარისხი –**der Superlativ**

1. დადგებითი ხარისხი წარმოადგენს ფუძეს, რომლის საშუა-
ლებითაც იწარმოება შედარებითი და აღმატებითი ხარისხები:

groß, schön, klein, klug, schlank და ა.შ.

2. შედარებით ხარისხს ზედსართავი სახელი აწარმოებს
 დადებით ხარისხზე -er სუფიქსის დართვით. ზოგ ერთმარცვლის
 ზედსართავს a, o, u ფუძისეული ხმოვანი გაუუმლაუტდება; მაგ., -
 jung – **jünger** – უფრო ახალგაზრდა
 alt – **älter** – უფრო ძველი ან ხანდაზმული
 schlecht – **schlechter** – უფრო ცუდი
 schön – **schöner** – უფრო ლაპაზი
 klein – **kleiner** – უფრო პატარა
 klug – **klüger** – უფრო ჭკვიანი
 მაგრამ:
 laut – **lauter** – უფრო ხმამაღლა
 faul – **fauler** – უფრო ზარმაცი
 falsch – **falscher** – უფრო ყალბი, არასწორი
 rasch – **rascher** – უფრო სწრაფი
 froh – **froher** – უფრო გახარებული
 schlank – **schlanker** – უფრო წერწეტი

3. აღმატებით ხარისხს ზედსართავი სახელი აწარმოებს
 დადებით ხარისხზე (**e**)st-სუფიქსის ან **am** პრეფიქსის და - sten –
 სუფიქსის დართვით. აღმატებით ხარისხში ზედსართავ სახელს წინ
 უძღვის განსაზღვრული არტიკლი; ზოგიერთ ერთმარცვლიან ზედ-
 სართავს a, o, u ფუძისეული ხმოვანი გაუუმლაუტდება

		der		
schlecht-schlechter	die	schlechteste	am	schlechtesten
	das		schlechtesten	
		der		
jung- jünger	die	jüngste	am	jüngsten
	das		jüngsten	
		der		
alt-älter	die	älteste	am	ältesten
	das		ältesten	



schön-sehöner	der die das	schönste	am schönsten
klein-kleiner	der die das	kleinste	am kleinsten
klug-klüger	der die das	klügste	am klügsten

შენიშვნა: საგნის ნიშან-თვისების შედარება წარმოადგენს უსართავი სახელის ძრითად ფუნქციას.

ა) ზედსართავი სახელი შედარებითი ხარისხის ფორმით წილადებაში გამოდის როგორც:

განსაზღვრება:

Sein älterer Bruder ist Fußballspieler.

მისი უფროსი ძმა ფეხბურთელია.

შემასმენელის ნაწილი:

Er war **fleißiger** als du.

ის შენზე ბეჭითი იყო.

ბ) ზედსართავი სახელი აღმატებითი ხარისხის ფორმით წილადებაში გამოდის როგორც:

განსაზღვრება

Die **schönsten** Tage seines Lebens.

მისი ცხოვრების უმშენერესი დღეები.

შემასმენლის ნაწილი: am წინდებულთან ერთად

Diese Studenten sind **am klügsten**.

ეს სტუდენტები ყველაზე ჰქვიანი არიან.

გ) მიმართვისას:

Liebster Freund! – უსაყვარლესო მეგობარო!

Mit herzlichem Dank! – გულითადი მაღლობა!

შედარება შეიძლება იყოს გამოხატული ზედსართავის სახელის
დადებითი ხარისხით

so... wie ანდა ebenso... wie-s დახმარებით:

Er ist **so fleißig** wie du.

ის ისეთივე ბეჭითია, როგორც შენ.

weniger . . . als

Dieses Mädchen ist **weniger schön** als jenes.

ეს გოგონა ისეთი ლაშაზი არ არის როგორც ის (გოგონა).

mehr als

Er ist **mehr fleißig** als klug.

ის უფრო ბეჭითია ვიდრე ჭიჭიანი.

4. არსებობს არაწესიერ ზედსართავ სახელთა ერთი ჯგუფი,
რომელიც ხარისხების წარმოების ზოგად წესს არ ემორჩილება.
ესენია:

gut, besser, der, die, das, beste

am besten

nah, näher, der, die, das nächste

am nächsten

hoch, höher, der, die, das höchste

am höchsten

§ 6. ზმნიზედა (Das Adverb)

ზმნიზედა დაკავშირებულია უშუალოდ ზმნასთან და გა-
მოხატავს მოქმედების ან საგნის მახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

თავისი მნიშვნელობით ზმნიზედა შეიძლება იყოს:

1. ადგილის ზმნიზედა (das Adverb des Ortes), რომელიც
პასუხობს კითხვებზე: wo? სად? wohin? საით? woher? საიდან?

ადგილის ზმნიზედებია: hier-აქ, dort-იქ, überall -უკელგან, nirgends -არსად, oben -ზევით, unten-ქვევით, innen -შიგნით,
außen -გარეთ, vorwärts -წინ, rückwärts -უკან.

2) დროის ზმნიზედა (das Adverb der Zeit), რომელიც
პასუხობს კითხვებზე: wann? როდის? wie oft? რა სისირით? seit

wann? რა დროიდან? wie lange? რამდენ სანს? ესენია: jetzt – ახლა, 36 უასტა
gleich – ახლავე, einst – ერთხელ, schon – უკვე, bald – მალე, längst – არ არის ასტა
დღისანია, morgens – დღლაობით, abends – საღამოობით, oft –
შირად, spät – გვიან და ა.შ.

3) მიზეზის და მიზნის ზმნიზედა (das Adverb des Grundes
und des Ziels), რომელიც პასუხობს კითხვაზე warum? რატომ?
wozu? რისთვის? weshalb? zu welchem Zweck? რა მიზნით?

ესენია: darum – ამიტომ, dazu – ამ მიზნით, ihretwegen – მის
გამო, meinethalben – ჩემს გამო, ჩემი გულისთვის.

4) კითხვითი და ნაცვალსახელური ზმნიზედები: wo, wohin,
wann, warum, wozu, wofür და სხვ. ისინი წინადადებაში გამოდიან
კითხვითი სიტყვების როლში და, ამასთან, როგორც მაკავშირე-
ბელი სიტყვები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში:

Wo bist du? – სად ხარ?

Weisst du, wo sich dieses Haus befindet? – იცი, სად მდე-
ბარებოს ეს სახლი?

5) მოდალური ზმნიზედა (das Adverb des Modus), რომელიც
პასუხობს კითხვაზე: wie? როგორ?

ესენია: hoffentlich – იმედია, möglich შესაძლებელია, wahr-
scheinlich – ალბათ, ნამდვილად, wohl – ნამდვილად, gewiss – რა
ოქმა უნდა, offenbar – აშკარად;

6) საგნის ხარისხის, ნიშან-თვისების ან ინტენსივობის აღმ-
ნიშვნელი ზმნიზედა, რომელიც, აგრეთვე, დაკავშირებულია
მნასთან და პასუხობს კითხვაზე: wie? როგორ?

ა) აღნიშნული ზმნიზედის და ზედსართავი სახელის დადებ-
ოთი ხარისხის ფორმები ხშირად ემთხვევა ერთმანეთს და
ლექსიკონში აღნიშნულია შესაბამისად: ზედსართავი – adj (Adjek-
tiv), ხოლო ზმნიზედა – adv (Adverb).

როგორც აღვნიშნეთ, მათ წინადადებაში სხვადასხვა ფუნქციის
შესრულება უხდებათ, რადგან ზედსართავი სახელი დაკავშირე-
ბულია არსებით სახელთან, ხოლო ზმნიზედა – ზმნასთან.

ეს ზმნიზედებია: schnell, gut, klug, jung, groß და სხვ.

ბ) შედარებით ხარისხს აღნიშნული ზმნიზედები ისევე აწარ-
მოებენ, როგორც ზედსართავი სახელი, ე.ი. მათ დადგებით ხარისხს
დაერთვის სუფიქსი -er. ზოგიერთი ერთმარცვლისათვის შემძლებელი
ასევე უმღაუტს მიიღებს a, o, u ხმოვანზე;
მაგ., grob -gröber – უფრო დიდად jung-jünger – უფრო ახალგაზრდულად
klug-klüger – უფრო ჭკვიანურად schön-schöner – უფრო ლამაზად

Er sieht jünger aus als du.

ის შენზე ახალგაზრდულარ გამოიყორება.

8) აღმატებით ხარისხს ზმინიშველა აწარმოებს -am წინდებულისა და (-e)sten სუფიქსის დართვით; მაგალითად:

- schnell, schneller, am schnellsten
- langsam, langamer, am langsamsten
- schön, schöner, am schönsten
- interessant, interessanter, am interessantesten

შენიშვნა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზედსართავ სახელსაც შეიძლება ჰქონდეს აღმატებით ხარისხში ფორმა: **am-(e)sten**. მაგრამ ამ შემთხვევაში იგი გამოდის როგორც შედგენილი შემსმენლის სახელადი ნაწილი (das Prädikativ) მარტითან (sein, werden, bleiben, heißen scheinen) (იხ. აგრეთვე ფორმაუცვლელი ზედსართავი სახელი).

დგ) გერმანულ ენაში არსებობს ერთი ჭილი არაწესიერი ზმნიზეობისა;

gern, lieber, am liebsten

viel, mehr, am meisten

bald, eher, am ehesten

oft, öfter, am öftesten | häufiger, am häufigsten

wenig, weniger, am wenigsten | minder, am mindesten

§7. რიცხვითი სახელი (Das Numerale)

რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნების ან პირთა რაოდენობას და პასუხობს კითხვაზე: **wieviel?** – **რამდენი?** და **der /die/das wievielte? – მერამდენე?**

არსებობს რიცხვითი სახელის ორი ძირითადი ჯგუფი:

1. რაოდენობითი –**die Kardinalia**

2. რიგობითი –**die Ordinalia**

1. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნების ან პირთა რაოდენობას და პასუხობს კითხვაზე: **wieviel?** რამდენი? უი, როგორც წესი, ფორმაუცვლელია.

არსებობს მარტივი და რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელი:

ა) მარტივი რიცხვითი სახელი შედგება ერთი სიტყვისგან: Null, eins, zwei, drei, vier, fünf, sechs, sieben, acht, neun, zehn, elf, zwölf, hundert, tausend;

რიცხვითი სახელები 0-დან 12-ის ჩათვლით მარტივია; მათი საშუალებით იწარმოება აგრეთვე რთული რიცხვითი სახელები.

ბ) რთული რიცხვითი სახელები მიიღება ერთეულებისა და თეულების შეერთებით.

რიცხვითი სახელები 13-დან 19-ის ჩათვლით წარმოადგენენ სარტივი რიცხვითი სახელის შეერთებას – zehn-თან (10).

dreizehn – 13

vierzehn – 14

fünfzehn – 15

sechzehn (არა sechszehn) – 16

siebzehn (არა siebenzehn) – 17

achtzehn – 18

neunzehn – 19

„ოცულის“ გამომხატველი რიცხვითი სახელი იწარმოება მარტივი რიცხვითი სახელისა და -zig სუფიქსის შეცველით.

zwanzig – 20

dreissig – 30

vierzig – 40

fünfzig – 50

sechzig – 60

siebzig – 70

achtzig – 80

neunzig – 90

ამ რიცხვებისგან ნაწარმოები სახელები რთულია; ისინი იწერება ერთად და ჯერ წარმოითქმის ერთეულები, ხოლო შემდეგ – ოცეულები, რაც გერმანული ენის დამახასიათებელ ნიშანთვისებას წარმოადგენს; მაგალითად:

einundzwanzig – 21

fünfunddreißig – 35

dreiundsechzig – 63

sechsundsiebzig – 76

siebenundachtzig – 87

neunundneunzig – 99

რიცხვითი სახელი **hundert** (100) აწარმოებს რთულ რიცხვის სახელებს:

einhundert – 100

dreihundert – 300

fünfhundert – 500

hunderteins – 101

hundertzwölf – 112

neuhundertneunundneunzig – 999

რიცხვითი სახელი **tausend** (1000) აწარმოებს ასევე რთულ რიცხვით სახელებს.

eintausend – 1000

fünftausend – 5000

sechstausendfünfhundertsiebenunddreißig – 6537

dreihunderttausend – 300000

რიცხვები: მილიონი, მილიარდი და ბილიონი გამოიხატება არსებითი სახელებით:

eine Million

eine Milliadre

eine Billion

drei Millionen fünfhunderttausend – 3 500 000

eine Milliarde – 1 000 000 000

zwei Milliarden – 2 000 000 000

eine Billion – 1 000 000 000 000

drei Billionen – 3 000 000 000 000

რაოდენობითი რიცხვითი სახელი **eins** იხმარება მხოლოდ რელის და ანგარიშის დროს (eins, zwei, drei ...);

რაოდენობითი რიცხვითი სახელები უმთავრესად არტიკლის ადგილს იკავებენ და არ იძრუნვიან გარდა **ein, eine, ein, zwei და drei-სა**

ein, eine, ein – იძრუნვის არტიკლის მსგავსად.

zwei-ს და drei-ს შემდეგ არსებითი სახელი მრავლობით რიცხვში დგას.

Plural

N.	zwei Jahre	drei Bücher
G.	zweier Jahre	dreier Bücher
D.	zwei(en) Jahren	drei(en) Büchern
Akk.	zwei Jahre	drei Bücher

შენიშვნა: რიცხვითი სახელები **zwei** და **drei Genitiv-სა და Dativ-ში** არ იძრუნვის, თუ მათ წინ დგას არტიკლი, ნაცვალსახელი ან წინდებული Dativ-ში. მაგალითად:

Die Arbeit **zweier** Schüler

მაგრამ: Die Arbeit **der** **zwei** Schüler

Die Arbeit von **zwei** Schülern

ორი მოსწავლის ნაცუშევარი

Die Pferde **zweier** Nachbarn

ორი გეზობლის ცხენები

Die Pferde meiner **zwei** Nachbarn

Die Pferde von meinen **zwei** Nachbarn

ჩემი ორი გეზობლის ცხენები

N. meine zwei (drei) Bücher

G. meiner zwei (drei) Bücher

D. meinen zwei (drei) Büchern

Akk. meine zwei (drei) Bücher

საუბრის და ასოებით წერის დროს წლებთან 1100- დან 1999-

მდე ათასის ნაცვლად, გამოიყენება შესაბამისი ასეული:

1100 – elfhundert

1850 – achthundertfünfzig

წლის გამოსახატავად გერმანულში გამოიყენება ან გარტო
წლის რიცხვის დასახელება, ან მის წინ დგას im Jahr(e)

მაგ., Er wurde 1960 geboren ან

Er wurde im Jahre 1960 geboren

ა) წლები ჩვენს წელთაღრიცხვამდე აღინიშნება v. u. Z=vor
unserer Zeitrechnung

Der Spartacus – Aufstand fand 74-71 v.u. Z. statt

სპარტაკის აჯანყება მოხდა 74-71 წლებში ჩვენს წელთაღრიცხ-
ვამდე.

ბ) წლები ჩვენი წელთაღრიცხვით აღინიშნება u.Z. = unserer
Zeitrechnung

Diese Dynastie bestand von 206 v. u. Z. bis 220 u. Z.

ეს დინასტია არსებობდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 206 წლი-
დან ჩვენი წელთაღრიცხვის 220 წლამდე.

გ) გერმანულში საათის აღნიშვნის ორი წესი არსებობს:
ყოველდღიურად ხმარებული (სასაუბრო) და ოფიციალური.

მაგ., Es ist ein Uhr – პირველი საათია.

Es ist zwölf Uhr – თორმეტი საათია

სასაუბრო ენაში შეიძლება გამოვტოვოთ სიტყვა „Uhr“

მაგ., Es ist eins – პირველია

Es ist zwölf – თორმეტია

12-24 საათამდე აღნიშვნა ოფიციალურად და სასუბრო ენაში
ასეთია:

Es ist dreizehn Uhr – ცამეტი საათია

Es ist dreiundzwanzig - መሬዳስፋምን ርዕስትን

ამას შეუსაბამება ყოველდღიური:

Es ist ein Uhr/eins პირველი საათია

Es ist elf(Uhr) ຕ່າງໆຕ່າງໆເຖິງ ສ້າງຕ້ອງ ເພື່ອລັບກຳນົດ ດ້ວຍກຳນົດມີຄວາມ ເຄີຍເຊີ

დ) საათი იყოფა 15 წუთებად: (ein) viertel – ერთი მეოთხედი, halb – ნახევარი, dreiviertel – სამი მეოთხედი.

სასაუბრო ენაში vor და nach წინდებულები დგანან საათის დასახელების წინ. ამ დროს სიტყვები Uhr და Minuten შეიძლება მოვტკოვთ.

8.50 Uhr – zehn vor neun

7.40 Uhr – zwanzig vor acht

9. 20 Uhr – zwanzig nach neun 56 zehn vor halb zehn

2.30 Uhr - halb drei

$9+6=15$ 9 plus/und 6 ist (gleich) 15

$6-2=4$ 6 minus/weniger 2 ist (gleich) 4

$5 \times 4 = 20$ 5 mal/multipliziert mit 4 ist (gleich) 20

30:6=5 30 (dividiert) durch 6 ist gleich 5

$3^2=9$ 3 hoch 2 ist (gleich) 9 (auch: 3 zum Quadrat ist 9)

$3^3=27$ 3 hoch 3 ist (gleich) siebenundzwanzig

$\sqrt{4-3}$ Quadratwurzel aus 4 ist (gleich) ?

$\sqrt{4} = 2$ Quadratwurzel aus 4 ist (gleich) 2

$\sqrt[3]{8} = 2$ Kubikwurzel aus 8 ist (gleich) 2

$Y=f(x)$ Ypsilon ist (gleich) Funktion (oder: f) von x

2. რიგობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგანთა ან პირთა

და პასუხობს კითხვაზე: **der/die/das wievielte? მერამდენე?**

აბითი რიცხვითი სახელი- დგას, უმთავრესად, მხოლობით

ევში განსაზღვრულ არტიკულთან ერთად და გამოდის განსაზ-

ა) რიგობითი რიცხვითი სახელები იწარმოებიან სუფიქსებით -

st. 2-ըան 19-թղթ օնսին ո՞վարմողներ և սուբյեկտ -t, եռլու 20-

- სუთიშები -st. მაგალითად:

der zweite – ମ୍ରାଣ୍ତି



der sechzehnte – მეთექსმეტე

der dreißigste – ოცდამეათე

der neuntausendneunhundertneunundneunzigste – ცხრაათს

ცხრაას ოთხმოცდა შეცხრამეტე.

წესგარეშე ფორმებია:

der erste – პირველი

der dritte – მესამე

der achte – მერვე

ბ) რიგობითი რიცხვითი სახელი იბრუნვის ზედსართავი სახელის მსგავსად სუსტი, ძლიერი და შერეული ბრუნებით, მხოლობით რიცხვში:

N.	der dritte	Band	dritter Band
----	------------	------	--------------

G.	des dritten	Bandes	dritten Bandes
----	-------------	--------	----------------

D.	dem dritten	Band	drittem Band
----	-------------	------	--------------

Akk.	den dritten	Band	dritten Band
------	-------------	------	--------------

N.	mein	dritter	Freund
----	------	---------	--------

G.	meines	dritten	Freundes
----	--------	---------	----------

D.	meinem	dritten	Freund
----	--------	---------	--------

Akk.	meinen	dritten	Freund
------	--------	---------	--------

გ) როდესაც რიგობითი რიცხვითი სახელი მეფეებისა და მმრჩეველთა რიგს ციფრებით აღნიშნავს, იგი ჩვეულებრივ ზედსართავი სახელის სუსტი ბრუნებით იბრუნვის. ამ დროს გამოყენებენ რომაულ რიცხვებს წერტილით:

David IV. = David der Vierte

Peter I. = Peter der Erste

Die Regierungszeit des Königs Heinrich IV. (=des Vierten)

დ) წილადი აღნიშნავს მთელის ნაწილს. იგი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისა და რიგობითი რიცხვითი სახელისაგან, ამ უკანასკნელზე -el სუფიქსის დართვით.

ein viertel – ერთი მეოთხედი

vier zehntel – ოთხი მეათედი

sechs millionstel – ექვსი მემილიონედი

3, $\frac{1}{4}$ Stunden – drei einviertel Stunden სამი და ერთ-
მეოთხედი საათი

$4, \frac{2}{5}$ Kilogramm = vier zweifünftel Kilogramm

ოთხი და ორი მეტუთედი კილოგრამი.

1, $\frac{1}{2}$ შეიძლება აღინიშნოს:

eineinhalb Kilo

anderthal Kilo

ein und ein halbes Kilo

შენიშვნა: რიგობითი სახელით იწყება მაგ...

4,2m = vier Komma zwei Meter

2,35 km = zwei Komma drei fünf Kilometer

(\approx 732 zweij Komma fünfunddreißig Kilometer)

1,7 L = eins Komma sieben Liter

4. 20 m = vier Meter zwanzig (Zentimeter)

1. 75 m = ein Meter fünfundsiebenzig (Zentimeter)

5,20⁹= fünf Euro zwanzig (Cent)

1,30 ⓢ = ein Euro dreißig (Cent) 630 ⓢ – 228 ⓢ

§ 8. ქავშირი (Die Konjunktion)

კავშირი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც წინადაღებაში ერთმანეთთან აკავშირებს სიტყვებსა და სიტყვათშეერთებებს. გარდა ამისა, კავშირი ერთმანეთთან აკავშირებს წინადაღებებს, გამოხატავს მათ შორის შინაარსობრივ და სტრუქტურულ მიმართებებს.

კავშირი ორი სახისა – მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

ა) მაერთებელი კავშირები აკავშირებენ რთულ თანწყობილ წინადაღებებს. ესენია:

und – და	allein – მთლიანი, ოლონდ
aber – მაგრამ	doch – ხომ, მაინც
oder – ან	zwar – თუმცა, მართალია უშენ – თუ
denn – რადგან	trotzdem – მიუხედავად
auch – აგრეთვე	sonst – თორემ, წინააღმდეგ შემთხვევაში და სხვ.

ბ) მაქვემდებარებელი კავშირები აკაგშირებენ როგორ
კვეწყობილ წინადაღებებს. ესენია:

ob – თუ არ
da – რადგან
ehe – ვიდრე
bevor – ვიდრე, სანამ
seit – მას შემდეგ
wenn – როდესაც, როცა, თუ
weil – რადგან

als – როდესაც
nachdem – მას შემდეგ, რაც
damit – რათა
bis – ვიდრე, სანამ
obwohl – თუმცა
während – იმ დროს, როდესაც
sobald – როგორც კი დასხვ.

გ) ამას გარდა, არსებობს რთული მაქვემდებარებელი კავშირები, რომლებიც ორი კავშირისაგან შედგება; ესენია:

als dass – რათა
so dass – ისე რომ
(an) statt dass – ნაცვლად იმისა, რომ
ohne dass – ისე რომ არ
als ob – თითქოსდა
als wenn – თითქოსდა

დ) არსებობს აგრეთვე წყვილადი კავშირები; ესენია:

entweder oder ან ან
weder noch არც არც
nicht nur sondern auch არა მხოლოდ, არამედ .. აგრეთვე
sowohl als auch როგორც ... აგრეთვე
bald bald ხან ... ხან
je desto რაც უფრო ... მით უფრო

ე) კავშირების როლში გამოდიან, აგრეთვე, კითხვითი და მი-
მართებითი ნაცვალსახელები და ნაცვალსახელური ზმნიზედები.
wer – ვინც, was – რაც; der, die, das – რომელიც; worauf,
womit, wofür, darauf, dafür, danach და სხვ.

(დაწვრილებით იხ. სინტაქსი, რთული წინადაღება).

§ 9. ნაწილაკი (Die Partikel)

გერმანულში ნაწილაკები შეადგენენ შეღარებით დახურულ ჟეტკველების ნაწილთა კლასს, რომელიც დაახლოებით 40 სიტყვას მოცავს; ნაწილაკი ფორმაუცვლელ მეტკველების ნაწილებს განეკუთვნება. იგი წინადაღებას თავისებურ ელფერს აძლევს, ამიტომაც ნაწილაკის თარგმნა ყოველთვის განპირობებულია კონტექსტიდან გამომდინარე. ყველაზე გავრცელებული ნაწილაკებია:

schon (bereits) უკვე, ჯერ კიდევ მაშინ, უკვე მაშინ

Es ist **schon** 12 Uhr უკვე თორმეტი საათია.

erst მხოლოდ, ჯერ, არა უმეტეს.

Er kommt **erst** in zwei Stunden ის მხოლოდ ორ საათში მოვა.

Er hat erst zehn Seiten seines Referats geschrieben – მას თავისი რეფერატის ათ გვერდზე (არა უმეტეს) მეტი არ დაუწერია.

nur მხოლოდ, მხოლოდ და მხოლოდ;

Der Mann dachte **nur** an seine Freunde

ეს კაცი მხოლოდ თავის მეგობრებზე ფიქრობდა.

Sie hatte **nur** 50 Euro – მას მხოლოდ 50 ევრო ჰქონდა.

ყურადღება! **erst** – ნიშნავს „არა უგვიანეს, ვიდრე“, **nur** – აღნიშნავს „არა უმეტეს, ვიდრე“.

eben (soeben) – ეს-ესაა, სწორედ ესაა (ახლა), ახლიანს, სახლდობრ ეს;

Das Mädchen hat ihn **eben** gesehen

გოგონამ იგი ეს-ესაა (სწორედ ახლა) ნახა.

Eben das konnte ich nicht machen

სწორედ (სახელდობრ) ამის გაკეთება არ შემეტლო.

gerade – ზუსტად, სწორედ (ეს), სახელდობრ (ეს), ეს-ესაა

Gerade heute braucht er seine Hilfe

სწორედ (სახელდობრ) დღეს სჭირდება მას მისი დახმარება.

Sie ist zu Hause und telefoniert **garade**

ის სახლშია და სწორედ ახლა ტელეფონზე რეკავს.

etwa – თითქმის, დაახლოებით;

Etwa zwei Monate bleiben wir da



დაახლოებით ორ თვეს დავრჩებით იქ.

Die Studenten haben die Klausurarbeit in etwa 2 Stunden geschrieben.

სტუდენტები საკონტროლო სამუშაოს თითქმის 2 საათს წერდნენ.

aber – კი მაგრამ (გამოხატავს გაკვირვებას, წინააღმდეგობას);

Aber Junge! Warum spielst du Ball im Zimmer?

კი მაგრამ, ბიჭო! რატომ თამაშობ ბურთს ოთახში?

auch – აგრეთვე, ც;

Hast du **auch** diese Frage gestellt?

შენც ეს შეკითხვა დასვი?

eigentlich – კაცმა რომ თქვას, საკუთრივ;

Was ist das **eigentlich für** ein Kind?

კაცმა რომ თქვას, როგორი ბავშვია ის?

denn – კი მაგრამ;

Warum hast du **denn** nicht angerufen?

კი მაგრამ, რატომ არ დამირეკა?

Wer ist es **denn** gewesen?

კი მაგრამ, ვინ იყო ეს?

doch – ხომ

Er ist **doch** kein Kind mehr!

ის ხომ ბავშვი აღარ არის!

Ich kenne ihn **doch** nicht!

მე ხომ მას არ ვიცნობ!

schon – აუცილებლად, უდაოდ, უეჭველად;

Du wirst das Problem **schon** lösen!

შენ ამ პრობლემას აუცილებლად გადაჭრი!

Sie wird die Prüfung **schon** bestehen.

ის გამოცდას უეჭველად ჩააბარებს.

Wen interessiert das **schon**?

ვისდა აინტერესებს ეს?



§ 10. შორისდებული (Die Interjektion)

შორისდებული გამოხატავს ადამიანის ემოციური გრამოტული მოვალეობის მთელ შეკალას და წინადადებაში მხოლოდ ხმისბაძვით ფუნქციას ასრულებს. შესაბამისად, იგი გამოხატავს სიხარულს, დარღს, ჰშს, აღტაცებას, ზიზღს, დაცინვას, ეჭვს, ფიზიკურ შეგრძნებებს და ა.შ. მაგალითად:

სიხარულს: heissa! hurra!, juchhe! – ვაშა! დიდება!

ფიზიკურ ტკივილს: oh weh! oh! ach! – ვაი! ოჸ! აჸ!

სიცივის შეგრძნებას: huhu! hu! – ჰო, ჰო, ჰო, ცივა!

ზიზღს: äaks! brr! pfui!, fi! puh! – ფუ! ფუ!

დაეჭვებას: ho! hm, hm! na, na! – ჰმ, ჰმ, ჰმ, ვითომ, ვითომ!

დამშვიდებას: na, na! pst! pscht! st! sch! – სუ, სუ, ჩუმად, ვ!ვ!

შორისდებული არ ასრულებს წინადადების წევრის ფუნქციას და წინადადების ემოციონალურ ელფერს აძლიერებს მხოლოდ. ამიტომ შორისდებულის სათარგმნელად აუცილებელია კონტექტი, რომელიც გამოავლენს მის შინაარსობრივ დატვირთვას.

Hu, wie kalt ist es!

ოჸ, ოჸ, როგორ ცივა!

Pfui, schäme dich! – ფუ, გრცხვენოდეს!

Oh, wie schön ist das Wetter! – აჸ, რა მშვენიერი ამინდია!



96136340

ACCURACY **DISPUTATION** **REGISTRATION**

სინტაქსი

SYNTAX

წინადაღება

|Der Satz|

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, სინტაქსი იყენებს მეტყულების ნაწილებს, რომლებიც სინტაქსის დონეზე გადაიქცევიან წინადაღების წევრებად და შესაძლებელს ხდიან წინადაღების აგებას ჰიტონტალურ ხაზზე.

შესაბამისად, სინტაქსის შესწავლის ობიექტს წარმოადგენს წინადაღება და წინადაღების წევრები, რომლებიც გამოხატავენ მეტყულებად დასრულებულ აზრს წინადაღების, ამზადის ან ტექსტის ფონზე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია სინტაქსისა და მორფოლოგიის პარალელურად შესწავლა მასალის თან-ზათანობით გართულების შესაბამისად.

სასურველია, ზმნის ძირითადი ფორმებისა და დროითი სისტემის გაცნობის შემდეგ, უშუალოდ გერმანული წინადაღების სტრუქტურული თვისებურებების შესწავლა.

1. წინადაღების ტიპები გამონათქვამის მიხედვით

გამონათქვამის მიხედვით გერმანულ ენაში არსებობს წინადაღების 4 ტიპი, რომელთაც დამოუკიდებელი სტრუქტურა გააჩნიათ.

ესენია:

1. თხრობითი წინადაღება (der Aussagesatz)
2. კითხვითი წინადაღება (der Fragesatz)
3. ბრძანებითი წინადაღება (der Befehlsatz)
4. ძახილის წინადაღება (der Ausrufesatz)

ა) თითოეული ამ წინადაღებათაგანი შედგება წინადაღების მთავრი და მეორეებარისხოვანი წევრებისაგან. ესენია: ქვემდებარე, შემასმენელი, დაშატება, განსაზღვრება და სხვადასხვა გარემოება;

ბ) ყოველი წინადაღების ტიპს აქვს მისთვის დამახასიათებელი სიტყვათწყობა;

გ) გერმანული წინადადება აუცილებლად უნდა შეიტყოფოს
ნადადების ორ წევრს: ქვემდებარებს და შემასმენელს. ასე ჰართული
წინადადებისთვის აუცილებელი არ არის;

დ) ყოველი ტიპის წინადადების სტრუქტურას განსაზღვრავ
შასში ზმნა-შემასმენლის ადგილი;

1. სიტყვათწყობა თხრობით წინადადებაში

(Die Wortfolge im Aussagesatz)

სიტყვათწყობის მიხედვით გერმანულ ენაში არსებობს თხრობითი წინადადების ორი ტიპი:

ა) პირდაპირი სიტყვათწყობით (die gerade Wortfolge)

ბ) ინვერსიული ანუ არაპირდაპირი სიტყვათწყობით
(die inversierte Wortfolge).

ა) თხრობით წინადადებაში პირდაპირი სიტყვათწყობით I
ადგილზე დგას ქვემდებარე, II-ზე შემასმენლის ულლებადი ნაწილი.
არაულლებადი ნაწილი დგას წინადადების ბოლოს და ულლებად
ნაწილთან ერთად ქმნის გერმანული წინადადებისთვის დამახა-
სიათებელ ჩარჩოს კონსტრუქციას (die Rahmenkonstruktion), რო-
მელშიც მოექცევა წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები. მაგ.,

1 2 3 4 5

Mein Freund kommt heute nach Hause um 5 Uhr.
ჩემი მეგობარი დღეს შინ 5 საათზე მოდის.

1 2 3 4

Die Studenten [haben in der Bibliothek ein interessantes Buch
gelesen].

სტუდენტებმა ბიბლიოთეკაში საინტერესო წიგნი წაიკითხეს.

1 2 3 4 5 2

Wir [sollen am Morgen im Hörsaal die Fenster aufmachen].

ჩვენ დილით აუდიტორიაში ფანჯრები უნდა გავაღოთ.

წინადადება ქვემდ. შემას. მეორე ხარ.წ. მეორე ხარ.წ. შემას.

der Satz = Subj → P → NG → NG → P

ბ) თხრობით წინადადებაში ინვერსიული ანუ არაპირდაპირი წეობით I ადგილზე დგას წინადადების მეორეხარისხოვანი წევრი, II-ზე – შემასმენლის უდლებადი ნაწილი, რომელიც არაუღლებად ნაწილთან ერთად ქმნის ჩარჩოს კონსტრუქციას, ხოლო III ადგილი უკავია ქვემდებარეს; მას მოყვება წინადადების სხვა წევრები.

მაგალითად:

1 2 3 4 5

Heute kommt mein Freund nach Hause um 5 Uhr.

დღეს ჩემი შეგობარი შინ 5 საათზე მოდის.

1 2 3 4


In der Bibliothek [haben] die Studenten ein interessantes Buch gelesen].

ბიბლიოთეკაში სტუდენტებმა საინტერესო წიგნი წაიკითხეს.

1 2 3 4 5 2

Im Horsaal [sollen wir am Morgen die Fenster aufmachen].

აუდიტორიაში დილით ფანჯრები უნდა გავალოთ.



ყურადღება!

თხრობით წინადადებას გერმანულში მყარი სიტყვათწყობა აქვს:

ზმნა-შემასმენლის უდლებადი ნაწილი II ადგილზე დგას, ხოლო არაუღლებადი ნაწილი – წინადადების ბოლოს.

2. სიტყვათწყობა კითხვით წინადადებაში

(Die Wortfolge im Fragesatz)

სიტყვათწყობის მიხედვით, გერმანულ ენაში არსებობს კითხვითი წინადადების 2 ტიპი:

1) კითხვითი სიტყვის გარეშე (ohne Fragewort);



საქართველო

სამართლის

2) კითხვითი სიტყვით (mit Fragewort);

1) კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვის გარეშე ადგილზე დგას ზმნა-შემასმენლის ულლებადი ნაწილი, რომელიც არაულლებად ნაწილთან ერთად ქმნის მთლიანი ჩარჩოს კონსტრუქციას; II ადგილზე დგას ქვემდებარებული შემდეგ კი წინადადების მეორეხარისხოვანი წევრები. მაგ.,

1 2 3 4

Gehen die Studenten heute in die Universität?

მიღიან სტუდენტები დღეს უნივერსიტეტში?

1 2 3 4

[Haben die Studenten heute in der Bibliothek gearbeitet?]

იმუშავეს სტუდენტებმა დღეს ბიბლიოთეკაში?

1 2 3 4 1


[Ist er heute nach Berlin gefahren?]

წავიდა ის დღეს ბერლინში?

1 2 3 4 1

[Sollen Sie im Januar die Prüfungen ablegen?]

უნდა ჩააბაროთ იანვარში გამოცდები?



2) კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვით

I ადგილზე დგას კითხვითი სიტყვა,

II ადგილზე—ზმნა-შემასმენლის ულლებადი ნაწილი, რომელიც არაულლებად ნაწილთან ერთად ქმნის ჩარჩოს კონსტრუქციას.

III ადგილი უკავია ქვემდებარებულის, თუ თვითონ კითხვითი სიტყვა არ გამოდის ქვემდებარის როლში და გამოხატული არ არის კითხვებით:

wer ვინ? ვის?

what რა? რას?

შემდეგ ადგილებზე გამოდიან წინადაღების მეორეხარისხოვანი წერტილი. კითხვითი სიტყვების როლში შეიძლება გამოვიდნენ აფრეთვე:

wem ვის? რას?

wen? ვის? რას? ვინ? რა?

wann? როდის?

warum? რატომ?

wozu? რისთვის?

wo? სად?

wohin? საით? და სხვ.

1 2 3 4 4

Wen besuchen Sie heute abend?

ვის ესტუმრებით დღეს საღამოს?

1 2 3 4 2

Wohin [sind die Freunde am Wochenende gefahren?]

სად წავიდნენ მეგობრები კვირის ბოლოს?

1 2 3 4 2


Wer [sollte heute den Tisch decken?]

ვის უნდა გაეშალა დღეს სუფრა?

1 2 3

Was liegt auf dem Tisch?

რა დევს მაგილაზე?



შენიშვნა 1:

თუ კითხვითი წინადაღება იწყება კითხვითი სიტყვებით: welcher? ან was für ein? რომელი? როგორი? მაშინ II ადგილზე არსებოთი სახელი დგას, ხოლო III-ზე – ზმნის ულლებალი ნაწილი.



Welche Kinder spielen auf dem Hof?

რომელი ბავშვები თამაშობენ ეზოში?

1 2 3 4 3

Was für ein Kleid [möchte sie kaufen?]

როგორი კაბის ყიდვა უნდა მას?

შენიშვნა 2:

განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს დარწმუნებითი კითხვითი წინადაღებები, რომელთაც სიტყვათწყობა თხრობითი წინადაღებისა აქვთ, მაგრამ კითხვითი ინტონაციით ხასიათდებიან. ასეთი წინადაღებების ბოლოს ხშირად იხმარება გამოთქმა: nicht wahr? ხომ მართალია? ხომ სწორეა?

Du **wirst** heute zu mir **kommen**, nicht wahr?

დღეს ჩემთან მოხვალ, არა?

Diese Bücher **hat** er schon **gelesen**, nicht wahr?

მან ხომ ეს წიგნები უკვე წაიკითხა?

3. სიტყვათწყობა ბრძანებით წინადაღებაში (Die Wortfolge im Befehlsatz)

ბრძანებითი ან ძახილის წინადაღება გამოხატავს თხოვნას, მოთხოვნას, ბრძანებას, აკრძალვას და ა.შ. ბრძანებით წინადაღებაში I ადგილზე დგას ზმნა-შემასმენელი Imperativ-ის ფორმაში (იხ. ზმნა, Imperativ-ის წარმოება), რომელიც ყოველთვის მახვილიანია.

Seien Sie bitte vorsichtig!

ფრთხილად იყავით!

Nimm das Buch und **lies es!**

აიღე წიგნი და წაიკითხე!

Hört aufmerksam **zu!**

ყურადღებით მოუშმინეთ!

Ärgere mich **nicht!**

ნუ მაბრაზებ!

შენიშვნა: კატეგორიული ბრძანების ან დაბეჭითებით თხოვნის
არს ბრძანებით წინადაღებას შეიძლება ისეთივე სიტყვათწყობა
ჰქონდეს, როგორც: ა) თხერობით წინადაღებას:

Du schreibst mir diese Aufgabe!

ამ დავალებას დამიწერ!

Du sollst das Zimmer sofort aufräumen!

ოთახს ახლავე დაალაგებ!

ბ) დამოკიდებულ წინადაღებას **dass** კავშირით:

Dass du nicht spät nach Hause kommst!

იცოდე, სახლში გვიან არ მოხვიდე!

Dass du das Mädchen nicht auslachst!

იცოდე, გოგონას არ დასცინო!

გ) წინადაღებას **man**-ქვემდებარით და ზმნით **Konjunktiv-II**.

ასეთი ბრძანებითი წინადაღება გამოხატავს რჩევასა და რეკომენდა-
ცებს; გამოიყენება (ამჟამად უკვე იშვიათად) რეცეპტებში:

Man nehme die Tabletten 2-mal am Tage ein!

აბები დღეში ორჯერ უნდა მიიღოთ!

Man lasse den Teig 2 Stunden im Kühlschrank liegen!

ცომი 2 საათით შედგით მაცივარში!

4. სიტყვათწყობა ძახილის წინადაღებაში (Die Wortfolge im Ausrufesatz)

ძახილის წინადაღებით მოსაუბრე გამოხატავს თავის გრძნო-
ბებს (სიხარულს, შიშს, წყენას, აღფრთოვანებას, სინანულს და ა.შ.).
ასეთ წინადაღებას შეიძლება ჰქონდეს ისეთივე სიტყვათწყობა, რო-
გორც:

ა) კითხვით წინადაღებას;

Haben Sie sowas irgendwann gesehen!

ასეთი რამ იდესმე თუ გინახავთ!

Hast du das aber gut gesagt!

რა კარგად თქვი ეს!

Wie schön siehst du heute aus!

რა მშვენივრად გამოიყურები დღეს!

ბ) თხრობით წინადადებას:

Da sprechen sie doch schon wieder!

ისინი ისევ ლაპარაკობენ!

Der Film war ja schön!

ფილმი მშვენიერი იყო!

Ich habe dich eine Ewigkeit und drei Tage nicht gesehen!

მთელი საუკუნეა არ მინახისარ!

გ) რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ

ნაწილს;

Wo du wieder gesteckt hast!

ისევ საღლაც დაიკარგე!

Was für eine schöne Wohnung das ist!

რა მშვენიერი ბინაა!

II. წინადადებების სტრუქტურული ტიპები

ცნობილია, რომ წინადადება უნდა გამოხატავდეს დამთავრებულ აზრს და უნდა ჰქონდეს განსაზღვრული ფორმა ანუ სტრუქტურა.

დამთავრებული აზრი შეიძლება გამოხატონ გარკვეული სტრუქტურის მქონე წინადადებებმა. ესენია:

1. მარტივი წინადადება /der einfache Satz/, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს:

ა) მარტივი გაუვრცობილი – (der einfache unerweiterte Satz)

ბ) მარტივი გავრცობილი – (der einfache erweiterte Satz)

2. შერწყმული წინადადება – (der zusammengezogene Satz)


3. რთული წინადადება – (der zusammengesetzte Satz),

რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს:

ა) რთული თანწყობილი – (die Satzreihe)

ბ) რთული ქვეწყობილი – (das Satzgefüge)

სემატურად აღნიშნული სტრუქტურები შემდეგნაირად გვიჩვით.



1) მარტივი წინადადება (der einfache Satz)

შეიძლება იყოს: а) მარტივი გაუვრცობელი და ბ) მარტივი გავრცელი;

ა) მარტივი გაუვრცობელი ეწოდება წინადადებას, რომელიც სიდება ქვემდებარისა და შემასმენლისაგან. მაგ., „Er schreibt –“ ის წერს; **Man tanzt** – ცეკვავს.

ბ) მარტივი გავრცობილი ეწოდება წინადადებას, რომელსაც შედებარისა და შემასმენლის გარდა გააჩნია მეორეხარისხოვანი ფრებიც.

მაგალითად:

Er studiert in Berlin. ის ბერლინში სწავლობს.

Das Kind steht immer früh auf.

ბავშვი ყოველთვის ადრე დგება.

2) შერტყმული წინადაღება (der zusammengezogene Satz)
ეწოდება ისეთს, რომელშიც ხდება ერთნაირი წევრების შეკვეთი.
მაგ., ერთი და იმავე შემასმენელთან გვაქვს სხვადასხვა ქვემდებარე და
გარემოება, ან ერთი ქვემდებარე და სხვადასხვა შემასმენელი და
დამატება.

Er studierte in Berlin und seine Schwester (studierte) in Jena
ის ბერლინში სწავლობდა, მისი და კი — იუნაში.

Du kommst zu mir, oder (du) rufst mich zu Hause an.

შენ მოხვალ ჩემთან ან სახლში დამირეკავ.

წინადაღების წევრები (Satzglieder)

ზემოთ ჩამოთვლილი წინადაღების ნებისმიერი ტიპი შედგება
წინადაღების წევრებისაგან, რომელთა შორისაც ვანსხვავებთ მთა-
ვარსა და მეორეხარისხოვან წევრებს.

I) წინადაღების მთავარ წევრებად ითვლება ისეთი სიტყვები,
რომლებიც დამოკიდებული არიან წინადაღების ზმნა-პრედიკატის
ვალენტობაზე, ანუ იმაზე, თუ რამდენი აუცილებელი წევრის ჩა-
ნაცვლებაა საჭირო ამ ზმნასთან. ასეთებია:

1) ქვემდებარე – das Subjekt

2) თვითონ ზმნა-შემასმენელი – das Prädikat

3) დამატება – das Objekt

II) წინადაღების მეორეხარისხოვან წევრებად ითვლება ისეთი
სიტყვები, რომლებიც არ გამოხატავენ წინადაღების უშუალო მი-
მართებას ქვემდებარესთან ან პირდაპირ დამატებასთან. მეორეხ-
არისხოვანი წევრის როლში შეიძლება გამოვიდეს არსებითი სახელი
Dativ-ში, მოდალური სიტყვა, წინდებულიანი არსებითი სახელი და
სხვ.

მაგ.,

Der Hund fiel dem Kind ins Wasser.

ძალი ბავშვს წყალში ჩაუვარდა.

Das hat er der Mutter leider nicht gesagt.



ეს მან დედას, სამწუხაროდ, არ უთხრა.

Der Junge holt für die Mutter Wasser.

ბიჭუს დედისთვის წყალი მოაქვს.

წინადაღების სწორად გაგებისა და თარგმნის მიზნით, საჭიროა
ცალ-ცალკე განვიხილოთ წინადაღების წევრები და მათი სინ-
ტაქტური ფუნქციები.

1. ქვემდებარე

(Das Subjekt)

ქვემდებარე წარმოადგენს წინადაღების მთავარ წევრს; იგი აღ-
ნიშნავს პირს, საგანს ან მოვლენას, რომელზედაც საუბარია წი-
ნადაღებაში და პასუხობს კითხვაზე: wer? ვინ? ვის? ან was? რა?
რას? მის როლში შეიძლება გამოვიდეს:

ა) არსებითი სახელი Nominativ-ში

Der Richter spricht.

მოსამართლე ლაპარაკობს.

Der Stuhl steht im Zimmer.

სკამი ოთახში დგას.

ბ) პირის ნაცვალსახელი Nominativ-ში

(ich, du, er, sie, es, wir, ihr, sie, Sie).

გ) Passiv-ში რეალური ქვემდებარე გამოიხატება von ან
durch წინდებულიანი არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით:
გრამატიკული ქვემდებარე ამ დროს Nominativ -ში დგას.

Das Buch wird von den Studenten gelesen.

წიგნი იკითხება სტუდენტების მიერ.

დ) კითხვითი ნაცვალსახელები: wer? was? Nominativ-ში

Wer machte das Fenster auf?

ვინ გააღო ფანჯარა?

Was hat er gemacht?

რა გააკეთა მან?

ე) განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი **man**, რომელიც
წინადადებაში ყოველთვის ქვემდებარის როლში გამოდის. მის შემ-
დეგ ზმნა — შემასმენელი მხოლობითი რიცხვის III პირში დგას.

Hier darf **man** nicht rauchen.

აქ მოწევა არ შეიძლება.

Man soll an der Konferenz teinehmen.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაა საჭირო

ასევე ნაცვალსახელები: jemand, etwas, niemand, nichts.

3) უპირო ნაცვალსახელი **es**, რომელთანაც ზმნა-შემასმენელი
ყოველთვის მხოლობითი რიცხვის III პირში დგას. ეს ზმნები აღნიშ-
ნავენ, უმთავრესად, ბუნების მოვლენებს და აღამიანის შეგრძნებებს:

es regnet — წვიმს es tut mir leid — ვწუხვარ

es blitzt — ელავს es tut mir weh — მტკივა

es schneit — ოოვს es freut mich — მიხარია

es donnert — ქუხს es ist mir kalt — მცივა

es schwindelt mich — თავბრუ მეხვევა

es ნაცვალსახელი გამოიყენება შემდეგ მყარ შეერთებებში:

es gibt, es geht, es steht, es handelt sich, es fehlt და სხვა.

Wie geht es Ihnen - როგორ ხართ?

Wie steht es mit deinem Vortrag?

როგორ მიღის (არის) შენი მოხსენების საქმე?

Es handelt sich um dieses Problem.

საქმე ამ პრობლემას ეხება

Es gibt hier viele Häuser

აქ ბევრი სახლია

Was gibt's Neues?

რა არის ახალი?

2. შემასმენელი

(Das Prädikat)

შემასმენელი წარმოადგენს წინადადების მთავარ წევრს, რო-
მელიც აღნიშნავს ქვემდებარის მოქმედებას ან მდგომარეობას და

გერმანულში ზმა იშვიათად არის ერთშემადგენლიროვანი (Präsens, Präteritum Aktiv); იგი უმთავრესად შედგება ორი ან მეტი ნაწილისაგან, რომელთაგან მხოლოდ ერთი შემადგენლი იცვლება პრის, რიცხვის და დროის მიხედვით, ხოლო სხვა შემადგენლები უცვლელი რჩება.

გერმანულ ენაში არსებობს ორი სახის შემასმენელი: მარტივი და რთული.

1) მარტივი შემასმენელი (das einfache Prädikat) ყოველთვის ზმური შემასმენელია, ე.ი., გამოხატული მხოლოდ ზმური ფორმებით.

მარტივ ზმურ შემასმენლად ითვლება Aktiv-ისა და Passiv-ის კვლა დროითი ფორმა, რადგან რთულ დროით ფორმებში დამხმარე ზმნებს დაკარგული აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და მხოლოდ აზრობრივი ზმნის გრამატიკულ მახასიათებლებს წარმოადგენს (იხ. ზმა).

Das	Kind	öffnet	das	Fenster	
Das	Kind	öffnete	das	Fenster	
Das	Kind	hat	das	Fenster	geöffnet
Das	Kind	wird	das	Fenster	öffnen
Das	Fenster	wird			geöffnet
Das	Fenster	ist		geöffnet	worden
Das	Fenster	wird		geöffnet	worden sein.

2) რთული შემასმენელი (das zusammengesetzte Prädikat) ორი სახისა:

1. რთული ზმური შემასმენელი – (das zusammengesetzte verbale Prädikat) და
2. რთული სახელადი შემასმენელი (das zusammengestzte nominale Prädikat)

1. რთული ზმნური შემასმენებლი შედგება ორი ან მეტი ზმნისაგან, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ თავისი ლექსიკური მნიშვნელობა. აქედან, ერთი ზმნა უღლებადია და იცვლება პირის, რიცხვისა და დროის მიხედვით, ფორმაუცვლელი ნაწილი კი Infinitiv I-ის ან II-ის სახით გამოდის და შემასმენებლს დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს. რთულ ზმნურ შემასმენლად ითვლება შემდეგი კონსტრუქციები:

ა) მოდალური ზმნა + Infinitiv I და II

Er kann gut Tennis spielen.

მას კარგად შეუძლია ჩოგბურთის თამაში.

Er muss sich über deinen Brief sehr geärgert haben.

ის ნამდვილად ძალიან გაბრაზდა შენს წერილზე.

Man hat den Kranken operieren müssen.

ავადმყოფისთვის ოპერაცია უნდა გაეკეთებინათ.

Der Kranke muss operiert werden.

ავადმყოფს ოპერაცია უნდა გაუკეთდეს.

ბ) ზმნა lassen + Infinitiv-ი მოდალური მნიშვნელობით:

Sie liess die Schuhe reparieren.

მან ფეხსაცმელი დაკერებინა

გ) შეგრძნების გამომხატველი ზმნები + ზმნის Infinitiv-ი (ეს.

წ. accusativus cum infinitivo); ეს ზმნებია:

sehen, hören, fühlen, spüren

(ეს კონსტრუქცია ქართულად, უმთავრესად დამგორიზებული

წინადადებით ითარგმნება).

Ich sehe den Jungen kommen.

ვხედავ, რომ ბიჭი მოღის.

Der Mann hört ihn singen.

კაცს ესმის, რომ იგი მღერის.

Die Frau spürte das Kind zittern.

ქალი გრძნობდა, რომ ბავშვი კანკალებდა.

დ) ზმნები, რომლებთანაც მეორე ზმნა აუცილებლად ის-

გარება **zu** ნაწილაკით Infinitiv-თან ერთად:

მაგ. beginnen, anfangen, aufhören (შეწყვეტა), verbieten

(აკრძალვა), bitten, befehlen (ბრძანება), vergessen და სხვ.



Er hörte auf zu sprechen. დაბეჭდი (Genitivobjekt)

მან ლაპარაკი შეწყვიტა. (Präpositionalobjekt)

Ich verbiete dir hier zu rauchen

გირძალავ აქ მოწევას.

ე) კონსტრუქციები: **haben** და **sein**+ Infinitiv-ი **zu**-თი, რო-
ჟლშიც დამხმარე ზმნებს მოღალური მნიშვნელობა აქვთ:

Er hat das Buch zu lesen.

მან წიგნი უნდა წაიკითხოს.

Das Buch ist zu lesen.

წიგნი წასაკითხოა (წაიკითხება).

2. რთული სახელადი შემასმენელი შედგება ორი ნაწილისაგან:
ჰერთი (die Kopula) და სახელადი ნაწილი (das Prädikativ).
მაერთის ფუნქციას ასრულებენ ზმნები:

sein, werden, bleiben, heissen, scheinen

სახელადი ნაწილის ფუნქციას ასრულებს: არსებითი სახელი,
ჩედსართავი სახელადი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი,
შეიძელა.

Er ist Student (არსებითი სახელი).

ის სტუდენტია.

Wir sind wir (ნაცვალსახელი).

ჩვენ ჩვენა ვართ.

Er ist fleissig (ზედსართავი სახელი).

ის ბეჭითია.

Sie waren fünf (რიცხვითი სახელი)

ისინი ხუთი იყონენ

sie ist hier (აღგილის ზმნიზედა).

ის აქ არის.

er ist arbeits-

er wird krank

er bleibt krank

er heißt klaus

er scheint krank

zu sein

er ist arbeits-
er wird krank
er bleibt krank
er heißt klaus
er scheint krank

er ist arbeits-
er wird krank
er bleibt krank
er heißt klaus
er scheint krank


er ist arbeits-
er wird krank
er bleibt krank
er heißt klaus
er scheint krank

er ist arbeits-
er wird krank
er bleibt krank
er heißt klaus
er scheint krank

er ist arbeits-
er wird krank
er bleibt krank
er heißt klaus
er scheint krank

er ist arbeits-
er wird krank
er bleibt krank
er heißt klaus
er scheint krank

სქემატურად შემასმენლის ტიპები შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:



3. დამატება (Das Objekt)

დამატება გერმანულში უმთავრესად დაკავშირებულია ზონაშემასმენელთან და მიუთითებს მოქმედების შედეგზე ან მის მიმათულებაზე. შესაბამისად იგი პასუხობს კითხვებზე: wen? ვის? ვინ? was? რას? რა? wem? ვის?

(იხ. არსებითი სახელი, ბრუნვათა სინტაქსური ფუნქციები)

უნდა განვასხვავოთ დამატების შემდეგი სახეობები:

ა) პირდაპირი დამატება (Akkusativobjekt)



გ) ნათესაობითი ბრუნვის დამატება (Genitivobjekt)

დ) წინდებულიანი დამატება (Präpositionalobjekt)

ე) ინფინიტივით ან ინფინიტივის ჯგუფით გამოხატული დამატება (das durch den Infinitiv oder die Infinitivgruppe ausgedrückte Objekt).

გერმანულ ენაში, ისევე როგორც ქართულში, დამატება ჟიდლება გამოხატულ იქნება: არსებითი სახელით ან ნაცვალსახელით.

მაგ., „gab mir das gel...

Er schreibt einen Brief (Akkusativobjekt).

ის წერილს წერს.

Der Junge hilft seinem Freund (Dativobjekt).

ბიჭი ეხმარება თავის მეგობარს.

Die Frau erinnert sich des Freundes (Genitivobjekt).

ქალი იხსენებს მეგობარს.

Der Vater wartet auf die Kinder (Präpositionalobjekt).

მამა ელოდება ბავშვებს.

Das nenne ich arbeiten! (Infinitiv)

აი, ამას ვეძახი მე მუშაობას.

Ich hoffe dich bald wiederzusehen (Infinitiv mit zu)

იმედი მაქვს, მალე კვლავ გნახავ.

შენიშვნა: დამატება, გამოხატული ინფინიტიური ჯგუფით ან უმოკიდებული წინადადებით (იხ. ქვევით), შემასმენელს შეიძლება დაუკავშირდეს მიმართებითი სიტყვით, კორელატით (das Korrelat) ან ზმინს მართვასთან დაკავშირებული კორელატებით: **damit**, **darauf**, **dafür** და **სხვ.**

მიმართებითი სიტყვა – კორელატი აუცილებელია შემდეგ შენებთან:

ablehnen-უარყოფა, უარის თქმა.

aufgeben – 1) დავალების მიცემა 2) უარის თქმა, უარყოფა

aufschieben – 1) გაწევა, გამოწევა 2) გადავადება

aushalten – ატანა, გადატანა.

aushalten — ატანა, გაღატანა.

betrachten als — ჩაიმედ ჩათვლა, მიჩნევა, წარმოდგენა; გორგუს
erwarten — მოლოდინი, ლოდინი და სხვ.

Sie lehnte es ab am Konzert teilzunehmen.

მან კონცერტში მონაწილეობაზე უარი თქვა.

Der Freund hat es nicht erwartet das Mädchen hier zu treffen.

მეგობარი არ მოელოდა, რომ გოგონას აქ შეხვდებოდა.

4. განსაზღვრება

(Das Attribut)

განსაზღვრება წარმოადგენს სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს, რო-
მელიც განმარტავს არსებითი სახელით გამოხატული საგნის ნიშან-
თვისებას; განსაზღვრება პასუხობს კითხვებზე: welcher? რომელი?
was für ein როგორი? wessen? ვისი? რისი? wieviel? რამდენი? der
wievielte? მერამდენე?

განსაზღვრების როლში შეიძლება გამოვიდეს:

1) შეთანხმებადი (ფორმაციალებადი) განსაზღვრება, რომე-
ლიც ეთანხმება არსებით სახელს პირში, რიცხვსა და ბრუნვაში.
ასეთია:

ა) ზედსართავი სახელი;

ბ) განსაზღვრებითი სიტყვათქცევა, რომელშიც წამყვან სიტყვას
წარმოადგენს ზედსართავი სახელი (იხ. გავრცობილი განსაზ-
ღვრება);

გ) ნაცვალსახელი;

დ) რიცხვითი სახელი;

ე) მიმღეობა I ან II;

Der König hatte eine **schöne Tochter**.

შეფეს ჰყავდა მშვენიერი ქალიშვილი.

[Der in der Universität immer so **fleißige** Student] legte die
Prüfung ab.

უნივერსიტეტში მუდამ აგრერიგად ბეჭითმა სტუდენტმა გა-
მოცდა ჩააბარა.



Mein Freund fährt heute nach England.

ჩემი მეგობარი დღეს ინგლისში მიდის.

Gefällt dir **dieses** Buch?

მოგწონს ეს წიგნი?

Er studiert an **derselben** Universität.

იგი ამავე უნივერსიტეტში სწავლობს.

Das **dritte** Haus wird in diesem Jahr gebaut werden.

მესამე სახლი წლეულს აშენდება.

Er gab mir das **gekaufte** Kleid.

მან ნაყიდი კაბა მომცა.

Die **weinende** Frau sass im Zimmer.

მტირალი ქალი ოთახში იჯდა.

2) **შეუთანხმებადი** (ფორმაუცვლელი) განსაზღვრება არ ეთანხმება არსებით სახელს რიცხვსა და ბრუნვაში და გამოიხატება რაოდენობითი რიცხვითი სახელით, ნაცვალსახელებით: allerlei, mancherlei, zweierlei და სხვ., ზედსართავი სახელებით: lila, rosa, prima და გეოგრაფიული სახელებით, რომლებიც ნაწარმოებია - er სუფიქსის საშუალებით. შეუთანხმებადი განსაზღვრება დგას განსაზღვრული სიტყვების წინ;

Dort sassen **fünf** Studenten.

იქ იჯდა ხუთი სტუდენტი.

Im Zimmer lagen **allerlei** Bücher.

ოთახში ეწყო ნაირ-ნაირი წიგნები.

Die Frau hatte einen **rosa** Rock an.

ქალს ეცვა ვარდისფერი ქვედატანი.

Lila Farben sind jetzt große Mode.

იისფერი ახლა დიდად მოდაშია.

Die **Tbilisser** Straßen sind eng.

თბილისის ქუჩები ვიწროა.

შეუთანხმებადი განსაზღვრება შეიძლება იღებეს არსებითი სახელის შემდეგაც; ეს ეხება არსებით სახელს Genitiv-ში, რომელიც პასუხობს კითხვაზე: wessen – ვისი? რისი?

Der Roman des **Schriftstellers** war sehr interessant.

მწერლის რომანი ძალიან საინტერესო იყო.

Die Wohnung **meines Freundes** ist sehr bequem.

ჩემი მეგობრის ბინა ძალიან მოხერხებულია.

შენიშვნა 1: Genitiv-ში მდგომი არსებითი სახელი შეიძლება შეცვლილ იქნეს -von წინადებულიანი განსაზღვრუბით;

Der Roman von diesem Schriftsteller.

ამ მწერლის რომანი.

Die Wohnung von meinem Freund.

ჩიმი მეგობრის ბინა.

შენიშვნა 2: განსაზღვრება, გამოხატული საკუთარი სახელით
initiv-ში, შეიძლება იდგეს საზღვრული სიტყვის წინაც და მის
შემთხვევაში.

Goethes Werke

Die Werke Goethes

3) გმნიზედა, რომელიც დგის საზღვრული არსებითი სახელის შემდეგ:

das Haus **rechts** – სახლი მარჯვნივ

die Nachricht von heute – ପର୍ଯ୍ୟାନପର୍ଯ୍ୟାନ ଦିନାକାରୀ.

4) ინფინიტივი ან ინფინიტივური სიტყვათსაქცევი, რომელიც დგას საზღვრული არსებითი სახელის შემდეგ:

Sein Wunsch, ins Theater zu gehen.

მისი სურვილი, თეატრში წავიდეს.

Die Möglichkeit, die Stadt zu besichtigen.

ქალაქის დათვალიერების შესაძლებლობა (იხ. ზნასთან, ინფინიტივი).

დანართი (Die Apposition)

დანართი ისეთი განსაზღვრებაა, რომელიც განმარტავს საკუთარ სახელებს, მიუთითებს აღამიანთა წოდებაზე, პროფესიაზე, ეროვნებაზე და საზღვრულ არსებით სახელს აუცილებლად ემთხვევა ბრუნვში, თუმცა შეიძლება მისგან განსხვავდებოდეს სქესითა და რიცხვით:

Mein Nachbar, ein kluger Mann, war sehr unzufrieden.

ჩემი მეზობელი, (ეს) ჭკვიანი კაცი, ძალიან უქმაყოფილო იყო.

Rustaweli, der **größte georgische Dichter**, lebte im 12. Jahrhundert.

რუსთაველი, (ეს) უდიდესი ქართველი პოეტი, ცხოვრობდა მე-12 საუკუნეში.

Das geschah am Sonntag, am 15. Januar.

ეს მოხდა კვირას, 15 იანვარს.

Die Gemälde Kakabades, **des berühmten georgischen Malers**, sind im Museum ausgestellt.

ცნობილი ქართველი მხატვრის, კაგაბაძის, სურათები გამოფენილია მუზეუმში.

დანართის სახით გამოდის ზომის (რაოდენობის) აღმნიშვნელი არსებითი სახელი, რომელიც ყოველთვის Nominativ-ში დგას.

1 (ein) Glas Tee – ერთი ჭიქა ჩაი

1 (eine) Tasse Kaffee – ერთი ფინგანი ყავა

1 (eine) Flasche Wein – ერთი ბოთლი ღვინო

1 (ein) Dutzend silberne Löffel – ერთი დუჟინი ვერცხლის კოვზები

5. გარემოება

(Die Adverbialbestimmung)

გარემოება დაკავშირებულია შემასმენელთან და ავსებს ან აზუსტებს მის შინაარსს.

I. გარემოების როლში მეტყველების ნაწილებიდან შეიძლება გამოვიდეს:



1. ჭმიზედა

Der Gast kommt **heute**.

სტუმარი მოვა დღეს.

Der Student arbeitet **fleißig**.

სტუდენტი მუშაობს ბეჭითად.

2. არსებითი სახელი Akkusativ-ში, Genitiv-ში ან წინდებულიანი არსებითი სახელი.

Das Mädchen liest **den ganzen Tag**.

გოგონა მთელი დღე კითხულობს.

Er kam **des Morgens**.

ის დილით მოვიდა.

Er arbeitet **mit Begeisterung**.

ის აღფრთოვანებით მუშაობს.

3. რიცხვითი სახელი

Der Dom wurde **1010 gebaut**.

ტაძარი აშენდა 1010 წელს.

4. ინფინიტივური სიტყვათსაქცევები:

um+Infinitiv-ი zu-თი.

(an)statt+Infinitiv-ი zu-თი.

ohne+Infinitiv-ი zu-თი.

(იხ. ზმა, ინფინიტივური სიტყვათსაქცევები)

Er kam **um mir zum Geburtstag zu gratulieren**.

ის მოვიდა, რათა ჩემთვის დაბადების დღე მოელოცა.

Der Student fährt aufs Land **statt die Prüfung abzulegen**.

სტუდენტი სოფელში მიდის, ნაცვლად იმისა, რომ გამოცდა ჩააბაროს.

Der Student geht in die Bibliothek **ohne dort an seinem Thema zu arbeiten**.

სტუდენტი ბიბლიოთეკაში ისე დადის, რომ იქ თავის თემაზე არ მუშაობს.

II. გარემოების როლში, სინტაქსის დონეზე, შეიძლება გამოვიდეს:



1. დროის გარემოება (Temporalbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:

wann? – როდის?

seit wann? – რა დროიდან? როდის აქეთ?

wie lange? – რამდენ წანს?

wie oft? – რა სიხშირით? როგორი სიხშირით?

Mein Freund kommt **heute** zu mir. (wann?)

ჩემი მეგობარი ჩემთან დღეს მოვა.

Seit einer Woche ist er auf dem Lande. (seit wann?)

ერთი კვირაა, რაც იგი სოფელშია.

2. ადგილის გარემოება (Lokalbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:

wo? – სად? (ადგილმდებარეობა)

wohin? – საით? სად? (მიმართულება)

woher? – საით? (მიმართულება)

Das Kind sitzt **auf dem Stuhl**. (wo?)

ბავშვი სკამზე ზის.

Sie fahren **nach Deutschland**. (wohin?)

ისინი გერმანიაში მიღიან.

Meine Nachbarn wohnen **oben**. (wo?)

ჩემი მეზობლები ზემოთ ცხოვრობენ.

3. ვითარების გარემოება (Modalbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:

wie? – როგორ?

auf welche Weise-რანაირად? რა საშუალებით? რა გზით?

Sie läuft **schnell** (wie?).

ის სწრაფად დარბის

Mit Freude stimmte er mir zu. (auf welche Weise?)

იგი სიხარულით დამთანებდა.

a) დათმობითი (თუმცაობითი გარემოება) (Konzessivbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:



trotz wessen? } რის მიუხედავად?
ungeachtet wessen? }

Trotz der Erkältung ging er in die Universität. (trotz wessen?)
გაციების მიუხედავად, ის მაინც წავიდა უნივერსიტეტში.

ბ) შედეგის გარემოება (Konsekutivbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:

wie? – როგორ?

in welchem Grad? – რა ხარისხით?

Die beiden Schwestern sehen sich einander zum Verwechseln
ähnlich (wie?)

ორივე და ისე გავს ერთმანეთს, რომ ერთმანეთში აგერევა

4. მიზეზის გარემოება (Kausalbestimmung) პასუხობს კითხვებზე:

warum? – რატომ?

aus welchem Grund? – რა მიზეზით?

Wegen des Regens kann er nicht kommen. (warum? aus welchem Grund?)

წვიმის გამო ის ვერ მოვა.

5. პირობის გარემოება (Konditionalbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:

unter welcher Bedingung? – რა პირობით?

in welchem Fall? – რა შემთხვევაში?

Mit etwas Höflichkeit könnte er vieles erreichen (unter welcher Bedingung?)

ცოტაოდენი თავაზიანობის შემთხვევაში იგი ბევრს მიაღწევდა.

6. მიზნის გარემოება (Finalbestimmung)

პასუხობს კითხვებზე:

wozu? – რისთვის?

zu welchem Zweck? – რა მიზნით?

Die Familie fährt **zur Erholung** ins Gebirge. (zu welchem Zweck?)

ოჯახი დასასვენებლად მთებში მიემგზავრება.

3. რთული წინადადება (Der zusammengesetzte Satz)



რთული წინადადება იწარმოება რამდენიმე წინადადების კონკრეტულ სტრუქტურად შეერთების გზით. ანსხვავებენ რთული წინადადების ორ სახეობას. ესენია:

1. რთული თანწყობილი წინადადება (die Satzreihe)

2. რთული ქვეწყობილი წინადადება (das Satzgefüge)

წინადადების ორივე ტიპი განსხვავდება თავისი სტრუქტურითა და შინაარსობრივი მახასიათებლებით.

1. რთული თანწყობილი წინადადება (die Satzreihe)

რთული თანწყობილი ეწოდება წინადადებას, რომელიც შედგება ორი ან მეტი დამოუკიდებელი წინადადებისგან, ეს წინადადებები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ინტონაციით, უკავშიროდ ან მაერთებელი კავშირებისა და მაკავშირებელი სიტყვების საშუალებით (კავშირი-ზმნიზედა).

Wir gehen in die Universität, die Vorlesung beginnt um 9 Uhr.

(ინტონაცია)

ჩვენ უნივერსიტეტში მივდივართ, ლექცია იწყება 9 საათზე.

Der Richter kommt **und** der Prozess beginnt. (მაერთებელი კავშირი)

მოსამართლე მოდის და პროცესი იწყება.

ა) მაერთებელი კავშირებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება:

und – ადგან denn – რაღაც

aber – მაგრამ doch – და მაინც, მაგრამ

oder – ან allein – მხოლოდ, მაგრამ

sondern – არამედ auch – აგრეთვე

აღნიშნული მაერთებელი კავშირები არ მოქმედებენ წინადადების წყობაზე, ე. ი. მათ შემდეგ უშუალოდ არ დგას შემასმენელის ულლებადი ნაწილი, რის გამოც ამ კავშირებს წინადადებაში ნულოვანი პოზიცია უკავიათ.

მაგ., Ich gehe in die Universität und mein Freund geht nach Haus.

მე უნივერსიტეტში მივდივარ, ჩემი მეგობარი კი სახლში მიღწება.

Ich bleibe zu Hause, **denn** meine Freunde wollen mich besuchen.

სახლში ვიქნები, რადგან ჩემს მეგობრებს უნდათ ჩემთან მოსვლა.

Er will nicht nach Deutschland fahren, **sondern** er will hier an der Universität studieren

მას არ სურს გერმანიაში წასვლა, არამედ აյ უნდა უნივერსიტეტში სწავლა.

ბ) კავშირი-ზმნიზედებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება:

also – ამრიგად, მაშასადამე **trotzdem** – მიუხედავად ამისა

dann – შემდეგ **und zwar** – და სახელდობრ

darum } ამიტომ **dennoch** – და მანც, მაგრამ

deshalb } ამიტომ **ausserdem** – გარდა ამისა

deswegen } ამიტომ **ausserdem** – გარდა ამისა

sonst – თორებ } ამიტომ **ausserdem** – გარდა ამისა

აღნიშნული კავშირი-ზმნიზედები მოქმედებენ წინადაღების წყობაზე, ე. ი. მათ შემდეგ უშუალოდ დგას შემასმენლის უდლებადი ნაწილი, რის გამოც კავშირ-ზმნიზედებს წინადაღებაში I პოზიცია უკავიათ.

Du musst fleißig arbeiten, **dann** hast du im Leben Erfolg.

მუჟყაითად უნდა იმუშაო, მაშინ ცხოვრებაში წარმატება გეწება.

Der Angeklagte war unschuldig, **deshalb sprach** ihm das Gericht frei.

ბრალდებული უდანაშაულო იყო, ამიტომ სასამართლომ იყო გაამართლა.

Ich bin sehr müde, **trotzdem muss** ich noch arbeiten.

ძალიან დაღლილი ვარ, მიუხედავად ამისა კიდევ უნდა ვიმუშაო.

გ) რთულ თანწყობილ წინადაღებაში გვხვდება, აგრეთვე წყვილადი კავშირები, ესენია:

sowohl ... als auch – როგორც ... ასევე (აგრეთვე) 
nicht nur... sondern auch – არა მხოლოდ ... არამედ აგრეთვე
weder ... noch – არც ... არც
entweder ... oder – ან ... ან
bald... bald – ხან ... ხან
teils... teils – ნაწილობრივ... ნაწილობრივ, ხან... ხან.
აღნიშნული კავშირებიდან წინადაღების წყობაზე არ მოქმედებენ:
sowohl... als auch – როგორც ... ასევე (აგრეთვე).
nicht nur... sondern auch – არა მხოლოდ (მარტო), ... არამედ აგრეთვე

Sowohl er soll das machen, **als auch** seine Freunde sollen ihm dabei helfen.

როგორც მან უნდა გააკეთოს ეს, ასევე მისი მეგობრებიც უნდა დაქმარონ ამაში.

Nicht nur er soll sich auf die Prüfung vorbereiten, **sondern** auch sein Bruder soll das tun.

მარტო (მხოლოდ) ის კი არ უნდა მოემზადოს გამოცდისთვის, არამედ მისმა ძმამაც უნდა მოიმოქმედოს ეს.

Weder ich kam zu ihm, **noch** er wollte mich besuchen.

არც მე მივდიოდი მასთან, არც მას უნდოდა ჩემი ნახვა. წინადაღების წყობაზე მოქმედებენ კავშირები:

bald... bald – ... ხან... ხან
teils... teils – ნაწილობრივ... ნაწილობრივ, ხან... ხან თან... თან

Bald ... regnet es, **bald** schneit es.
ხან წვიმს, ხან თოვს

Teils will er sein Haus verkaufen, **teils** will er es behalten.

მას თან უნდა სახლის გაყიდვა, თან უნდა დაიტოვოს იგი.

შენიშვნა: წყვილადი კავშირები წინადაღებაში ხშირად ათვარებული წევრებს აკავშირებენ ერთმანეთთან.

Entweder fahre ich mit dem Zug **oder** mit dem Wagen.
ან მატარებლით წავალ, ან მანქანით.



Sowohl ich als auch mein Freund studieren Rechtswissenschaft.

როგორც მე, ასევე ჩემი მეგობარიც – სწავლობს სამართლმცოდნეობას.

Ich spreche weder Deutsch noch Englisch.

მე არც გერმანულად ვლაპარაკობ და არც ინგლისურად.

2. რთული ქვეწყობილი წინადაღება (Das Satzgefüge)

რთული ქვეწყობილი ეწოდება წინადაღებას, რომელიც შედგება (ერთი ან რამდენიმე) მთავარი და დამოკიდებული წინადაღებისგან.

დამოკიდებული წინადაღება მჭიდროდაა დაკავშირებული მთავართან როგორც სტრუქტურულად, ისე აზრობრივად და წარმოადგენს მისი რომელიმე წევრის განმარტებას, დაზუსტებას ან ამ წევრზე ახალი ინფორმაციის მიწოდებას. ამრიგად, დამოკიდებული წინადაღება ასრულებს ძალაუსახლებელი წინადაღების რომელიმე წევრის სინტაქსურ ფუნქციას. შესაბამისად, გვაჭვს იმდენივე სახის დამოკიდებული წინადაღება, რამდენიც წინადაღების წევრია.

მთავარ წინადაღებას ეწოდება **der Hauptsatz**, დამოკიდებულს – **der Nebensatz** ან **Gliedsatz**.

სინტაქსური ფუნქციის მიხედვით, ასებობს შემდეგი სახის დამოკიდებული წინადაღებები.

- 1) ქვემდებარული – der Subjektsatz,
- 2) შემასმენლური – der Prädikativsatz,
- 3) დამატებითი – der Objektsatz,
- 4) განსაზღვრებითი – der Attributsatz,
- 5) გარემოებითი წინადაღებები – Adverbialsätze,
- ა) დროის გარემოებითი წინადაღება – der Temporalsatz,
- ბ) ადგილის გარემოებითი წინადაღება – der Lokalsatz,
- გ) მიზეზის გარემოებითი წინადაღება – der Kausalsatz,

- ღ) მიზნის გარემოებითი წინადადება – der Finalsatz,
ე) პირობითი წინადადება – der Konditionalsatz,
ვ) დაომობითი (თუმცაობითი) წინადადება – der Konzessivsatz,
6) მოდალური წინადადება – der Modalsatz,
ა) შედარებითი წინადადება – der Komparativsatz,
ბ) შეზღუდვითი წინადადება – der Restriktivsatz,
გ) შედეგის წინადადება – der Konsekutivsatz.

იმისათვის, რომ რთული ქვეწყობილი წინადაღება სწორად შევაღინოთ ან გავაანალიზოთ, უნდა ვიცოდეთ ის რამდენიმე უმ-თავრესი თავისებურება, რომელიც ახასიათებს წინადაღების ამ ტიპს გერმანულ ენაში. ეს თავისებურებები შემდეგია:

- 1) რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში მთაგარი წინადაღების სილში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი გამონათქვამის მქონე წიაღიბა (თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი);

- 2) დამრკიდებული წინადაღება მთავარს უკავშირდება:

- ა) მაქვემდებარებული
dass - რომ, რათა

als - հոռչօ, հոռջղեա(չ

wenn — როცა, როდესაც, თუ

weil — რაოგან, ვინაიდა

da - რազմաբ. զոნանաբ.

nachdem – ପାଇଁ ଶ୍ରୀମତୀ କୁମାରୀ

ab = $\omega \nu \sqrt{\rho}$

trotzdem — მათხოვად იტენა რომ

his — *soo/θəs*

bevor – no დონისა, კოდონის
selbst – /ə'lɛft/ მოვალე ქადაგის სახით

solange – ვიღონებ, სახის

damit —**məmə**

falls —იდ მეტობევა მი, თუ

obwohl **obgleich** **obgleich** **obgleich** **obgleich**

obgleich  တွေ့စပါ

obzwar | 19.10.2016 | 13:16:00 | 06.08.2016 | 20:00:00 | 2016 | 249



als ob } тиотქს, დეფაციაში ითიბრნელო არის უკავშირი
 als wenn } тиотქსდა რა არ არის დეფაციაში ითიბრნელო
 ohne dass – ისე, რომ არ (ითიბრნელო) ითიბრნელო (დ
 (an) statt dass – ნაცვლად იმისა, რომ არის ითიბრნელო (დ
 ბ) მიმართებითი ნაცვალსახელებით: ადამიტონის დ
 der, (die, das, die) – რომელიც
 welcher, (welche, welches, welche) – რომელიც

გ) კითხვითი ნაცვალსახელებით და კითხვითი ნაცვალსახ
 ლური ზმნიზედებით, რომელთაც აქვთ მიმართებითი ნაცვალსა
 ხლის ფუნქცია.

wer, was – ვინ, რა

wo – სად, wohin – საით, warum – რატომ

worauf, womit	ითარგმნება ზმნის მნიშვნელობასთან
wodurch, worüber	მიმართებაში.

3) დამოკიდებული წინადადება შესაძლოა მთავარს კავშირის
 გარეშეც განმარტავდეს;

4) მთავარ წინადადებაში გვხვდება მიმართებითი სიტყვები –
 კორელატები, რომლებთანაც დაკავშირებულია დამოკიდებული
 წინადადება. ზოგ შემთხვევაში მათი არსებობა აუცილებელია; ისინი
 ხაზს უსვამენ დამოკიდებული წინადადების შინაარსს, ზოგ
 შემთხვევაში კი – შესაძლოა მათი გამოტოვდება. კორელატის
 როლში გამოდის ნაცვალსახელი, ნაცვალსახელური ზმნიზედა, არ-
 სებითი სახელი;

5) გერმანულში დამოკიდებულ წინადადებას თავისებური
 სიტყვათწყობა გააჩნია: შემასმენლის უღლებადი ნაწილი მასში
 ღვას წინადადების ბოლოს, არაუღლებადი ნაწილის შემდეგ; მაგრამ
 შემასმენლის უღლებადი ნაწილი შეიძლება იღეს არაუღლებადის
 წინ, თუ წინადადებაში გვაქვს ორი ან სამი ერთმანეთზე დამოკიდ-
 ბული ინფინიტივის ფორმა;

6) დამოკიდებულ წინადადებაში მოცილებადთავსართიანი
 ზმნა, რომელიც დგას აქტივის მარტივ დროით ფორმებში (Präsens-)

სა და Präteritum-ში), ზმნის პირიან ფორმასთან ერთად დგას წინადაღების ბოლოს;

7) თუ დამოკიდებული წინადაღება წინ უძღვის მთავარს, შათი შემასმენლების უღლებადი ნაწილები ერთად იყრიან თავს და შემით გამოიყოფიან;

8) a) თუ დამოკიდებულ წინადაღებაში შემასმენელი გამოხატულია უკუქცევითი ზმნით, ხოლო ქვემდებარე — პირის ნაცვალსახელით, **sich** უკუქცევითი ნაცვალსახელი დგას ქვემდებარის შემდეგ;

b) თუ დამოკიდებულ წინადაღებაში შემასმენელი გამოხატულია უკუქცევითი ზმნით, ხოლო ქვემდებარე — არსებითი სახელით, უკუქცევითი ნაცვალსახელი **sich** დგას ქვემდებარის წინ;

9) დამოკიდებული წინადაღება შეიძლება იდგეს მთავარი წინადაღების წინ, შუაში ან მის შემდეგ (Vordersatz, Zwischensatz, Nachsatz).

შენიშვნა: გერმანული ქვეწყობილი წინადაღებისათვის დამახასიათებელი ეს თავისებურებები არ გამორიცხავენ შემთხვევებს, როდესაც ხდება ზემოაღნიშნული წესების უგულებელყოფა (ძირითადად, სასაუბრო მეტყველებაში ან მხატვრულ ნაწარმოებებში, გმირების მეტყველების ხაზგასასმელად). ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს გერმანული ენის ნორმებიდან გადახვევასთან.

გერმანული რთული ქვეწყობილი წინადაღებისთვის დამახასიათებელი ზემოჩამოთვლილი თვისებები განვიხილოთ ამ ტიპის წინადაღების მაგალითებზე:

1. რთულ ქვეწყობილ წინადაღებაში მთავარი წინადაღების როლში შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი გამონათქვამის მქონე წინადაღება: თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი;

მაგ.

HS

Er kommt nicht zum Unterricht, weil er krank ist (თხრობითი).

ის არ მოვა მეცალინეობაზე, რაღვან ავად არის.

Kannst du mir sagen, **wann** du zu mir kommst? (კონტენტი).

ა) ვერ მეტყველ, როდის მოხვალ ჩემთან?

Geh schon mal nach Hause, **obwohl** du hier bleiben sollst! (გრძელებითი).

მაშ წადი სახლში, თუმცა აქ უნდა რჩებოდე!

2. დამოკიდებული წინაღადება მთავარს უკავშირდება:

ა) მაქვემდებარებელი კავშირებით:

Der Lehrer erlaubt dem Schüler, **dass** er früher nach Hause geht.
მასწავლებელი ნებას რთავს მოსწავლეს, რომ უფრო ადრე
წავიდეს სახლში.

Wir wissen nicht, **ob** er kommt.

ჩვენ არ ვიცით, მოვა თუ არა ის.

ბ) მიმართებითი ნაცვალსახელებით:

Ich kaufe das Buch, **das** im Schaufenster liegt.

მე ვყიდულობ წიგნს, რომელიც ვიტრინაში დევს.

Das ist der Student, **dessen** Bücher auf dem Tisch liegen.

ეს ის სტუდენტია, რომლის წიგნებიც მაგიდაზე აწყვია.

გ) კითხვითი ნაცვალსახელებით და კითხვითი ნაცვალსახელური ზმნიზედებით:

Ich kenne den Ausländer und kann dir sagen, **wo** er wohnt.

მე ვიცნობ ამ უცხოელს და შემიძლია გითხრა, სად ცხოვრობს.

Er wusste nicht, **wessen** Mantel das war.

მან არ იცოდა, ვისი პალტო იყო ეს.

Das war das Schönste, **woran** ich mich erinnern kann.

ეს არის ყველაზე მშვენიერი რამ, რისი გახსენებაც კი შემიძლია.

Es war etwas ganz Neues, **wonach** er strebte.

ეს იყო რაღაც სრულიად ახალი, რისკენაც იგი მიიღოვნდა.

3. დამოკიდებული წინაღადადება შესაძლოა მთავარს კავშირი გარეშე განმარტავდეს:

Ich fühle, du warst einmal glücklich.



ვარძნობ, (რომ) შენ ერთხელ ბედნიერი იყავი.

Er fordert den Sohn auf, er soll nach Hause rechtzeitig kommen.

ის უბრძანებს თავის ვაჟს, სახლში დროზე მოვიდეს.

4. მთავარ წინადაღებაში შესაძლოა იდგეს მიმართებითი სიტყვები – კორელატები. მათი არსებობა ზოგ შემთხვევაში აუ-სილებელია, ზოგ შემთხვევაში კი ხდება მათი გამოტოვება. კორელატის როლში შეიძლება გამოვიდეს: ნაცვალსახელი, ნაცვალსახელი ზმნიზედა ან არსებითი სახელი.

Ich bin es überdrüssig, dass er immer zu spät kommt.

მომბეჭრდა, რომ ის მუდამ ძალიან ავიანებს.

Ich verlasse mich darauf, dass du mir hilfst.

იმის იმედი მაქვს, რომ მომებარები.

Auf Grund der Tatsache, dass er krank war, wurde er von der Prüfung befreit.

ავადმყოფობის საფუძველზე იგი გამოცდილან გაათავისუფლეს.

5. გერმანულ დამოუკიდებელ წინადაღებას თავისებური სიტყვათწყობა გააჩნია:

ა) შემასმენლის ულლებადი ნაწილი დგას წინადაღების ბოლოს (არაულლებადი ნაწილის შემდეგ)

Er begreift, dass er einen Fehler macht.

მას ესმის, რომ შეცდომას სჩადის.

Sie geht ins Ausland, nachdem sie ihre Prüfung abgelegt hat.

ის მიღის საზღვარგარეთ მას შემდეგ, რაც გამოცდას ჩააბარებს.

ბ) შემასმენლის ულლებადი ნაწილი შეიძლება იდგეს არაულებადის წინ, თუ წინადაღებაში გვაქვს ორი ან სამი ერთმანეთზე გამოკიდებული ინტენიტივის ფორმა:

Er sagte, dass er heute früh hat aufstehen müssen.

მან თქვა, რომ დღეს ადრე უნდა მდგარიყო.

Ich habe erfahren, warum du deinen Freund nicht hast weggehen lassen wollen.

მე შევიტყვა, რატომ არ გინდოდა მეგობრის გაშვება (რომ წასულიყო).



6. დამოკიდებულ წინადაღებაში მოცილებაღთავსართოზე
ზმნა, რომელიც დგას აქტივის მარტივი დროის ფორმებში –
Präsens-სა და Präteritum-ში, ზმნის პირიან ფორმასთან ერთად დგას
წინადაღების ბოლოს.

Ich weiß doch nicht, wann du aufstehst?

მე ხომ არ ვიცი, როდის დგები შენ?

Der Freund fragte ihn, **ob** er am Konzert teilnahm.

მეგობარმა პკითხა მას, მონაწილეობდა თუ არა იგი კონ-
ცერტში.

7. თუ დამოკიდებული წინადაღება წინ უძღვის მთავარს, მათი
შემასმენდების უღლებადი ნაწილები ერთად იყრიან თავს და
მძიმით გამოიყოფანა.

Wenn du mir hilfst, gehen wir nach Hause zusammen.

თუ მომეხმარები, სახლში ერთად წავალო.

Da mein Freund Kriminalist werden will, muss er Kriminologie studieren.

რადგან ჩემს მეგობარს სურს სისხლის სამართლის სპეციალ-
ისტი გამოვიდეს, მან კრიმინოლოგია უნდა შეისწავლოს.

8. ა) თუ დამოკიდებულ წინადაღებაში შემასმენელი გამოხა-
ტულია უკუჭცევითი ზმნით, ხოლო ქვემდებარე – პირის ნაცვალ-
სახელით, **sich** უკუჭცევითი ნაცვალსახელი დგას ქვემდებარის შემ-
დებ.

Ich weiß, dass er sich jeden Tag wäscht.

ვიცი, რომ ის ყოველდღე ბანაობს.

Mein Freund fragte mich, **ob ich mich** an ihn oft erinnerte.

ჩემმა მეგობარმა პკითხა, ხშირად ვიგონებდი თუ არა მას.

ბ) თუ დამოკიდებულ წინადაღებაში შემასმენელი გა-
მოხატულია უკუჭცევითი ზმნით, ხოლო ქვემდებარე – არსებითი
სახელით, უკუჭცევითი ნაცვალსახელი **sich** დგას ქვემდებარის წინ.

Ich weiß, dass sich das Kind jeden Tag wäscht.

მე ვიცი, რომ ბავშვი ყოველდღე ბანაობს.

Er fragte mich, **ob sich der Freund** an uns oft erinnerte.



Was ist – კინ არის? თუ არა გენერაცია? ვა ვრცელდება?

მან მკითხა, მეგობარი ხშირად გვიგონებდა თუ არა.

9. დამოკიდებული წინადაღება შეიძლება იდგეს მთავარი წინადაღების წინ, შუაში ან მის შემდეგ:

Was mich beunruhigt, ist ihre schlechte Gesundheit. (Vordersatz).

რაც მე მატუხებს, ეს მისი ცუდი ჯანმრთელობაა

Für wen er sich interessiert, den lädt er häufig ein. (Vordersatz)

ვინც მას აინტერესებს, მას ხშირად პატიუებს.

Das Foto, das ich dir geschickt habe, kannst du behalten. (Zwischensatz)

ფოტო, რომელიც გამოვიგზავნე, შეგიძლია შენთვის დაიტოვო.

Er hofft, dass er seine Freunde bald wiedersieht. (Nachsatz)

ის იმედოვნებს, რომ მალე ნახავს თავის მეგობრებს.

Der Fußballspieler ist noch nicht in bester Form, weil er lange verletzt war. (Nachsatz)

ფეხბურთელი ჯერ არ არის საუკეთესო ფორმაში, რადგან დიდხანს ტრავმირებული იყო.

შენიშვნა: იმისათვის, რომ გავიგოთ, რა სახის დამოკიდებულ წინადაღებასთან გვაქვს საქმე, კითხვა უნდა დავუსვათ მთავარი წინადაღების შემასმენელს!

დამოკიდებული წინადაღებების სინტაქსური სახეობები

(Syntaktische Arten der Nebensätze)

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, დამოკიდებული წინადაღება ას- რულებს მთავარი წინადაღების რომელიმე წევრის სინტაქსურ ფუნქციას. ამდენად, არსებობს წინადაღების წევრთა შესაბამისი და- მოკიდებული წინადაღების სახეობები. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.



ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღება (Der Subjektsatz)

ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღება პასუხობს კითხვაზე: *wer – ვინ? ვის? was – რა? რას?*

მთავარ წინადაღებას იგი უკავშირდება კითხვითი ნაცვალ-სახელებით და მაქვემდებარებელი კავშირებით: *wer (wem, wen), dass, ob.*

1) თუ ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღება დგას მთავარი წინადაღების შემდეგ, მაშინ მთავარ წინადაღებაში აუცილებლად უნდა იყოს კორელატი – *es*.

Es beunruhigt mich, dass er so spät nach Haus kommt.

მაწუხებს ის, რომ იგი ასე გვიან მოდის სახლში.

Es wundert mich sehr, dass du unzufrieden bist.

ძალიან მაოცებს, რომ უკმაყოფილო ხარ.

2) თუ ქვემდებარული დამოკიდებული წინადაღება დგას მთავარი წინადაღების წინ, მაშინ კორელატი დამოკიდებულ ნაწილში არ დგას, მაგრამ შესაძლოა იყოს მთავარში:

Wer die Reise durch Amerika machte, (der) erzählte begeistert davon.

ის, ვინც ამერიკაში იმოგზაურა, ალფროთოვანებული ყვებოდა ამის შესახებ.

Wen meine Schwester einmal heiratet, (der) ist zu beneiden.

ვისაც ჩემი და ცოლად გაჰყვება, იმისი შეიძლება შეშურდეს კაცს.

Dass niemand zu Hause ist, (das) wundert mich sehr.

ის, რომ სახლში არავინ არ არის, ძალიან მაოცებს.

შემასმენლური დამოკიდებული წინადაღება

(Der Prädikativsatz)

შემასმენლური დამოკიდებული წინადაღება განმარტავს მთავარი წინადაღების შემასმენლის სახელად ნაწილს და პასუხობს კითხვებზე:

was ist – ვინ არის? რა არის ქვემდებარე? **was wird?** რად
ხდება ქვემდებარე? **was bleibt?** – რად რჩება ქვემდებარე? **was scheint** – რად ჩანს ქვემდებარე? **wie heisst** – რა ჰქონია, რა გჭირდება
ქვემდებარეს?

დამოკიდებული წინადადება მთავარ წინადადებას უკავშირდება
კითხვითი ნაცვალსახელებით: **wer, was, wie** და კავშირით **dass:**

Bleibe (du), **wer du bist!**

დარჩი იმად, ვინც ხარ!

Du bist nicht (**das**), **was du scheinst.**

შენ ის არა ხარ, რაც (გარედან) ჩანხარ.

Sein Fehler war (es), dass er dieses Mädchen geheiratet hat.

მისი შეცდომა ის იყო, რომ მან ეს გოგონა შეირთო.

დამატებითი დამოკიდებული წინადადება

(**Der Objektsatz**)

დამატებითი დამოკიდებული წინადადება ასრულებს Genitiv-ში, Dativ-სა და Akkusativ-ში მდგომი დამატების და წინდებულიანი დამატების ფუნქციას. იგი პასუხობს კითხვებზე:

wen? ვინ? ვის? **wessen** ვისი? **wem?** ვის? **was?** რა? რას? და მთავარ წინადადებას უკავშირდება მაქვემდებარებელი კავშირებით: **dass** – რომ, **ob** – თუ არ. კითხვითი ნაცვალსახელებითა და ნაცვალსახელური ზმნიზედებით: **wer, was, wo, wie, wann, woran, womit, wozu, wofür, wodurch** და ა.შ.

კორელატის როლში გამოდის ნაცვალსახელი **es**, თუ მთავარი წინადადება წინ უძლვის დამოკიდებულს, და, ნაცვალსახელი **das**, თუ მთავარი წინადადება დგას დამოკიდებულის შემდეგ. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, კორელატების საჭიროება-არსაჭიროება დამოკიდებულია ზმნების მართვაზე: ზოგ შემთხვევაში მათი გამოყენება აუცილებელია, ზოგჯერ კი შეიძლება მათი გამოტოვება.

თაღ ტერმ გვა ჩვლილების ძირი არ შეიძლო შე - კანკენული
მაგ..

Ich finde es gut, dass du mich informiert hast.

ვფიქრობ, კარგია, რომ ინფორმაცია მომაწოდე.

Dass du mich informiert hast, (das) finde ich gut.

ის, რომ ინფორმაცია მომაწოდე, ვფიქრობ, კარგია.

Die Mutter hat ihn (danach) gefragt, ob er zum Abendessen kommt.

დედამ ჰყითხა მას, მოვიდოდა თუ არა (ის) სავაჭმოდ.

Ich danke Ihnen (dafür), dass Sie mich nach Haus gebracht haben.

მადლობას გიხდით (იმისათვის), რომ სახლში მიმიყვანეთ.

Erinnere ihn daran, dass er mich anrufen soll.

